ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 ნოემბერი **სამშაბათი** 2009
№ 271 (12 950) ფასი 60 თეთრი



>> გვერდი 13

# იტალიასთან, უდინეში

# აღარ გავიმეოროთ შეცდომები!

## საქართველო შვეიცარიამდე

>> გვერდი 2

# იტალია ლიპის შემცვლელს ეძებს











შეიძლება ითქვას, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია უკვე შეუდგა **მარჩელო ლიპის** შემცვლელის ძიებას. „მაესტრომ“ ყველას გასაგონად თქვა, რომ მუნდიალის შემდეგ „სკუადრა აძურას“ მწვრთნელი აღარ იქნება. თუმცა ხალხს ისიც ახსოვს, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან ტრიუმფით წასული ლიპი ორი წლის შემდეგ „აძურაში“ დიდი ზარ-ზეიმით რომ დაბრუნდა...

თუმცა ამჯერად ეს უკვე გამორიცხულია. ნამუნდიალევს ლიპი დიდი ალბათობით „იუვენტუსის“ სპორტული დირექტორი გახდება, რითიც წერტილს დაუსვამს სამწვრთნელო კარიერას. მაგრამ ვინ იცის...

ჰო, რაც შეეხება მის შემცვლელს. ფედერკალჩოს პრეზიდენტი **ჯანკარლო აბეტე** ერთ რამეში დარწმუნებულია - ჯერ ცოტა ადრე კია, მაგრამ ზოგადად გამართლებული იქნება, თუ ლიპის მემკვიდრის ვინაობა მუნდიალის დაწყებამდე გაირკვევა. აბეტეს ამას მწარე გამოცდილება ჰკარნახობს - ევრო 2008-მდე ფეხბურთის ფედერაციამ ვერა და ვერ გაარკვია, როგორი იქნებოდა **რობერტო დონადონის** მომავალი...

სავარაუდო კანდიდატურებს შორის კი **რობერტო მანჩინის, ლუჩანო სპალეტის, ჩეზარე პრანდელისა** და **კარლო ანჩელოტის** ასახელებენ. ეს უკანასკნელი, რომელსაც დღეს „ჩელსიში“ ერთობ მყარი პოზიციები აქვს, ძალზე საეჭვო ვარიანტია, თუმც ადრე არაერთხელ უთქვამს, რომ მთავარი სანაკრებო პოსტი აინტერესებს. უცნობია, სურს თუ არა ეროვნულ გუნდში მუშაობა „ფიორენტინას“ მწვრთნელ პრანდელის, ხოლო მანჩინიმ და სპალეტიმ ფედერაციას საკუთარი კანდიდატურები უკვე შესთავაზეს...



>> გვერდი 13

# კლოდ სორელი ნორჩ მორაგბეებთან



ეროვნული ბიბლიოთეკა



U 21. ევროპის ჩემპიონატი — შვეიცარია-საქართველო — შესარჩევი მატჩი

# აღარ გავიმეოროთ შეცდომები!

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლუგანოში ჩავიდა და შვეიცარიის ნაკრებთან 18 ნოემბრის შეხვედრისთვის ემზადება. ირლანდიასთან თბილისურმა მატჩმა უკმაყოფილების გრძნობა დაგვიტოვა. ყველაზე მეტად მწვრთნელი და ფეხბურთელები წუხან - შეგვეძლო, მაგრამ ვერ მოვიგეთო, სინანულით ამბობენ. ეს თითოეული მათგანის კომენტარიდან ჩანს. დღეს გიორგი გაბედავასა და ირაკლი კლიმიაშვილის მცირე ინტერვიუებს შემოგთავაზებთ...







### გიორგი გაბედავა

## სითამამე დაგვაკლდა

ოთარ გაბელია გიორგი გაბედავასგან მეტ სტაბილურობას ითხოვდა და დღესაც ითხოვს. ადრე სწორედ არასტაბილურობის გამო არ იწვევდა ნაკრებში. და აი, „გაგრას" 20 წლის თავდამსხმელმა ირლანდიელებთან ოფიციალური სადებიუტო მატჩიც ჩაატარა. ის მეორე ტაიმში შეუშვეს მოედანზე. გაბედავას თამაშის გამწვავება დაევალა. სხვა ღირსებებთან ერთად, მას ძლიერი დარტყმებიც აქვს და ეტყობა, გაბელიამ ამაზეც გააკეთა გათვლა. ამგვარი დარტყმებით მას არაერთხელ გამოუჩენია თავი საქართველოს პირველობაზე, მაგრამ ერთია ჩვენი ჩემპიონატი, ხოლო მეორე - საერთაშორისო შეხვედრები.

გაბელიამ გაბედავა შვეიცარიაშიც დაიმგზავრა. გიორგის ლუგანოში წასვლამდე გავესაუბრეთ...

**- გიორგი, ბევრჯერ სცადე, მაგრამ კარში კარგად მაინც ვერ დაარტყი. ირლანდიელი მცველების წინააღმდეგ თამაში რთული აღმოჩნდა?**

- ჯერ ერთი, მჭიდროდ თამაშობდნენ და მეორეც - ძალიან კარგი ფეხბურთელები იყვნენ. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ მათთან ბრძოლა რთული გამოდგა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მათი უმრავლესობა სერიოზულ ბრიტანულ კლუბებში თამაშობს. მე კი ახალგაზრდულში პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩავატარე. ჩემი მთავარი ამოცანა იყო, რაც შეიძლებოდა გამემწვავებინა თამაში. მწვრთნელები განსჯიან, რამდენად მოვახერხე ეს.

**- დამეთანხმები, ჩვენი ფეხბურთელები ცნობილი კლუბების ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ მოწინააღმდეგეს რიდით ეთამაშებით. არადა, ამ ირლანდიელებში „ახალი მესი" ნამდვილად არ ყოფილა...**

- ვარსკვლავებს არ წყვეტდნენ, მაგრამ საკმაოდ კარგად იყვნენ მომზადებულები. კარგ კლუბში თამაში ფეხბურთელს უფრო თავდაჯერებულს ხდის. ჩვენ ვერც ფიზიკურ მომზადებაში დაგვჩაგრეს და მით უფრო - ვერც ტექნიკაში. სამაგიეროდ, სტუმრებმა ტაქტიკურად გამართულად ითამაშეს და მათი დაცვის გარღვევა ამიტომაც გაგვიჭირდა. არადა, მწვრთნელის დავალება რომ შეგვესრულებინა, ეს შესაძლებელი იყო. იღბალიც არ გვწყალობდა. ჯერ - უხეირო მოედნის გამო უაზრო ბურთი გავუშვით, მერე კი რამდენი შანსი ვერ გამოვიყენეთ. ვფიქრობ, პირველივე წუთებიდან უფრო თამამად რომ გვეთამაშა, უფრო გახსნილ და შემტევ ფეხბურთზე რომ გაგვეკეთებინა აქცენტი, აუცილებლად მოვიგებდით. სითამამე ნაღდად დაგვაკლდა.

### ირაკლი კლიმიაშვილი

## ასე ხომ არ შეიძლება!

ირლანდიასთან მატჩის შედეგით უკმაყოფილო დარჩა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ნახევარმცველი ირაკლი კლიმიაშვილიც. ის მიიჩნევს, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა არა მეტოქის სიძლიერის, არამედ თავისივე შეცდომების გამო ვერ მოიგო...

**- ირაკლი, ირლანდიასთან ისე მხნედ ვერ გამოიყურებოდით, როგორც თურქეთთან. ჩანდა, რომ გუნდი ღელავდა? რა გქონდათ სანერვიულო?**

- მიზეზებზე ლაპარაკი გამიჭირდება. ფაქტია, რომ თავიდან მართლა ვღელავდით. შეიძლება, იმის გამოც, რომ სტადიონზე ბევრი ხალხი მოვიდა და არ გვინდოდა, ქომაგებისთვის იმედები გაგვეცრუებინა.

**- ირლანდიელებისგან რა ფეხბურთს ელოდით?**

- ზუსტად ისეთს, როგორიც ითამაშეს. ვიცოდით, რომ კონტრშეტევებზე სახიფათოდ და სწრაფად მოქმედებდნენ, მწვრთნელებმაც გაგვაფრთხილეს, რომ დაცვაში მეტი ყურადღებით გვეთამაშა, მაგრამ... მაგრამ მაინც გავიმეორეთ ის შეცდომა, რაც აქამდეც არა ერთხელ დავუშვით. მწვრთნელმა დავალება მოგვცა, რომ 90 წუთის განმავლობაში ყურადღება არ მოგვედუნებინა. სამწუხაროდ, ზუსტად ისეთი გოლი გავუშვით, როგორიც ირლანდიაში - კუთხურის მოწოდების შემდეგ მათი კონტრშეტევა გაგვეპარა. ასე ხომ არ შეიძლება! ძალიან დასანანია, მუდმივად მსგავს შეცდომებს ვუშვებთ და ირლანდიასთან ორივე შეხვედრა, პლუს ესტონეთთან, სწორედ ამის გამო ვერ მოვიგეთ.

**- საგოლე მომენტების რეალიზაცია არანაკლები პრობლემაა - პირადად შენ პირველ ტაიმში ძალზე რეალური შანსი ვერ გამოიყენე...**

- მომენტების გამოუყენებლობაც დიდ პრობლემად გვექცა. შემეძლო ჩვენი გუნდის დაწინაურება და მერე სულ სხვა თამაში წავიდოდა, კიდევ რამდენიმე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ამ ნაკლის გამოსწორებაზე ბევრი უნდა ვიმუშაოთ.

**- რაც იყო, იყო, ეს უკვე წარსულია. ახლა შვეიცარიასთან თამაშობთ. რას იტყვი მომავალ მატჩზე?**

- რაზეც ვილაპარაკე, ის შეცდომები უნდა გამოვასწოროთ. სხვა გზა არ არსებობს გუნდისთვის, რომელიც წარმატებაზე ფიქრობს. ასეთ შეცდომებს არც ერთი მეტოქე არ გვაპატიებს.

პრესკონფერენცია

# ფანტაზი ფუტბოლი გაქართულდა

გუშინ „აჭარაბეთის" საპრესკონფერენციო დარბაზში საფეხბურთო ინტერნეტჟურნალ fanebi.com-ის დირექციამ პრესკონფერენცია გამართა. მედიის წინაშე ვებგვერდის დამფუძნებელი გურამ თათეშვილი, მთავარი რედაქტორი თორნიკე ცირამუა და მარკეტინგის მენეჯერი ბექა ჯღარკავა წარდგნენ. მათ ცნობილი ინტერნეტთამაშის „ფანტაზი ფუტბოლის" ქართულენოვანი სატესტო ვერსია წარმოადგინეს და ამავე ვერსიის პირველი გამარჯვებული, 13 წლის ნიკა თოთაძე 30 ლარით დააჯილდოვეს...

თორნიკე ცირამუა, ვებგვერდის მთავარი რედაქტორი: „ახალი პროექტი ქართულ სპორტულ სამყაროში სიახლეა. მართალია, პროფესიული ფეხბურთის ლიგამ შემოგვთავაზა ინტერნეტთამაში „ჩვენი ფეხბურთი", მაგრამ ის მხოლოდ ჩვენს პირველობას უკავშირდებოდა. „ფანტაზი ფუტბოლის" ქართული ვერსიით კი სხვა ქვეყნების ვირტუალურ ჩემპიონატებში ჩართვასაც შეძლებთ. ამჟამად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ამერიკელ პარტნიორ რობერტ სმიტთან, რომელიც სწორედ სპორტითა და სპორტული თამაშებით არის დაინტერესებული. ის ახალი პროექტის განხორციელებაში გვეხმარება და ამზადებს პროექტს, რომელსაც მოგვაწვდის და შემდეგ იხილავთ ფართომასშტაბიან სისტემას, რომლის ანალოგიც ქართულ სივრცეში არ იქნება. გვაქვს მოლაპარაკებები სხვადასხვა სპორტულ საიტთან, რათა მოვაწყოთ ერთობლივი აქციები. ჩვენ ყოველდღიურად 1500 მომხმარებელი გვყავს, რაც პროექტის პერსპექტივაზე მეტყველებს".

**გურამ თათეშვილი**, დამფუძნებელი: „ორი კვირის წინ პროექტის სატესტო ვარიანტი გავუშვით. „ფანტაზი ფუტბოლი" უცხოეთში ძალიან პოპულარული თამაშია და მილიონობით მომხმარებელი ჰყავს. სატესტო ვერსიაც გუშინ დასრულდა და ვფიქრობ, მომხმარებელს მოეწონება ჩვენი ნაშრომი. სეზონი 16 ნოემბერს დაიწყო და 22 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის შედეგების შეყვანით დასრულდება. ანუ რეალურად, მაისის ბოლოს ჩვენ საერთო გამარჯვებული გვეყოლება. ვიმედოვნებთ, რომ ამ დროის განმავლობაში, უამრავ სპონსორს მოვიზიდავთ და სოლიდური პრიზებით ყოველი კვირის, თვისა და სეზონის გამარჯვებულებს დავაჯილდოვებთ. ახლა ჩვენი პროექტის პარტნიორი და სპონსორი „აჭარაბეთია", რომელიც გამარჯვებულებს ყოველთვიურად სათამაშო ვაუჩერებით დააჯილდოვებს, ხოლო სპონსორია ტურისტული სააგენტო „კერა თრეველი", რომელმაც წლის გამარჯვებულისთვის ანტალიაში ერთკვირიანი საგზური დააწესა. ჩვენ საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებაც გვსურს. ეს ჩვენი პირველობის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს".

**ბექა ჯღარკავა**, მენეჯერი: „ინტერნეტჟურნალი 2008 წლის მარტში დაარსდა. ქართულ ინტერნეტსივრცეში იყო საინფორმაციო წყაროთა მოთხოვნილება და სწორედ ამიტომ სტუდია „ჯი-აი-ბი გრუპმა" გადაწყვიტა ასეთი პროექტის გაკეთება. თითქმის ორი წლის განმავლობაში ნელ-ნელა ვყალიბდებოდით ქართულ საფეხბურთო საინფორმაციო წყაროდ. მომავალში, გვსურს, ეროვნული ჩემპიონატის პირდაპირი ტექსტური რეპორტაჟები შემოგთავაზოთ. ახლაც გვქონდა ამის მცდელობა, მაგრამ ბევრ სტადიონზე ინტერნეტით სარგებლობის საშუალება არ არის და პროექტიც ამიტომ შეჩერდა. პარალელურად, უმაღლესი ლიგის კლუბებსაც ვთავაზობთ თანამშრომლობას. ოთხ მათგანს საკუთარი ინტერნეტმისამართიც არ გააჩნია, არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. „გაგრას" საკუთარ ვებგვერდზე ფორუმის დამატება სურდა და ამ საკითხში ვითანამშრომლეთ. მალე ამუშავდება რუსთავის „ოლიმპის" ვებგვერდი, რომლის მისამართია www.fcolimpi.ge".

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **ოოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ცვლილებები კალენდარში

## უმაღლესი ლიგა შაბათიდან კვირას

მოგეხსენებათ, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ირლანდიასთან საშინაო ფრის (1:1) შემდეგ, საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ შეხვედრას 18 ნოემბერს, შვეიცარიასთან სტუმრად გამართავს. **ოთარ გაბელიას** გუნდი, რომელშიც ქართული კლუბების რამდენიმე ფეხბურთელია, სამშობლოში 20 ნოემბერს დაბრუნდება. სწორედ ამან განაპირობა ცვლილებები კალენდარში - კლუბებმა პროფესიული ფეხბურთის ლიგას ტურის მატჩების გადადება სთხოვეს. საკითხი დადებითად გადაწყდა. შესაბამისად, უმაღლეს ლიგაში მორიგი, მე-15 ტურის შეხვედრები 21-ის ნაცვლად 22 ნოემბერს გაიმართება. შეგახსენებთ იმასაც, რომ როგორ უმაღლეს, ასევე პირველ ლიგაში მატჩები 14 საათზე იწყება. ბარემ წყვილებსაც გადავხედოთ: **„ლოკომოტივი"-„გაგრა", „ზესტაფონი"-„ვიტ ჯორჯია", „სამტრედია"-„სპარტაკი", „ბაია-სიონი"** და **„ოლიმპი"-„დინამო"**. ამ უკანასკნელის ჩანაწერს ტელემაყურებელი კვირას, 18 საათზე, „პირველი არხის" ეთერით მიადევნებს თვალს.

ახლა რაც შეეხებათ უმაღლესი ლიგის კლუბებში დისკვალიფიცირებულ მოთამაშეებს: **თორნიკე ოქრიაშვილი** (გაგრა), **გიგა ბეჟვაია, ლაშა ჯაფარიძე** (ორივე ვიტ ჯორჯია), **თორნიკე აფციაური** (ზესტაფონი), **დავით ბაქრაძე** (სპარტაკი), **ზურაბ ექონია, რევაზ ჯიქია** (ორივე ბაია), **მამუკა მესიაჩენკო** (სამტრედია, მწვრთნელი).

როგორც ხედავთ, „ზესტაფონსა" და „ვიტ ჯორჯიას" შორის ტურის ერთ-ერთ გამორჩეულ დაპირისპირებას მეტოქენი საგრძნობი დანაკლისით ხვდებიან.

გადავიდეთ პირველ ლიგაზე. აქ 22 ნოემბრის ნაცვლად 5 მატჩი 21-ში ჩატარდება. საბოლოოდ, პირველი ლიგაში მე-14 ტურის მატჩების ჩამონათვალი და ჩატარების თარიღები ასეთია: 21 ნოემბერი. **„ნორჩი დინამოელი"-„ჩიხურა", „ჭიათურა"-„მერცხალი", „მერანი"-IBSU, „ჰერეთი"-„კოლხეთი" (ფ), „მეშახტე"-„ბათუმი"**;

22 ნოემბერი. **„გურია"-„კოლხეთი" (ხ), „მესხეთი"-35-ე საფეხბურთო სკოლა.**

პირველი ლიგის კლუბებში დისკვალიფიცირებულნი არიან: **ირაკლი ზაბახიძე, ალექსანდრე როგავა** (ორივე ჩიხურა), **გიორგი ძაძამია** (ნორჩი დინამოელი), **ლაშა ნორაკიძე, გელა ბართაია** (ორივე IBSU), **დავით ბერუაშვილი** (მერანი), **პაატა გვირჯიშვილი** (მესხეთი), **რომეო კეკუშაძე** (მეშახტე).

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# მსუყე ფრე მეშახტესთან და მზადება ბათუმში

ეროვნულ ჩემპიონატში სანკრებო პაუზაა და ჩვეულებისამებრ, გუნდები ამ პერიოდს ამხანაგური მატჩების გასამართად იყენებენ ხოლმე. ამ მხრივ, არც „ზესტაფონია" გამონაკლისი - **გია გეგუჩაძის** გუნდმა საკონტროლო შეხვედრაში ტყიბულის „მეშახტეს" უმასპინძლა. ზესტაფონელთა კლუბის პრესსამსახურის ცნობით, მასპინძელთა თავკაცმა მატჩი გადახალისებული შემადგენლობით დაიწყო და პირველი ტაიმის ბოლოსთვის ამან სენსაციური შედეგიც მოიტანა - 25-ე და 38-ე წუთზე ტყიბულელთა თავდამსხმელმა **იაკობ დეისაძემ** ორი ბურთი გაიტანა და „მეშახტეს" კარგი ფორა შეუქმნა.

შესვენებისას გეგუჩაძემ ერთბაშად 8 ახალი ფეხბურთელი შეიყვანა მოედანზე და ეს მალე შედეგშიც აისახა. მეორე ნახევარში მასპინძლები უკვე სრულად აკონტროლებდნენ თამაშს. ჯერ **ნიკა გელაშვილმა** შეამცირა სხვაობა მინიმუმამდე, ოთხ წუთში **ირაკლი ძარიამ** წონასწორობა აღადგინა, ხოლო 69-ე წუთზე **ჯაბა დვალმა** პენალტი აქცია გოლად და „ზესტაფონი" წინ გაიყვანა - 3:2.

გეგუჩაძის სამწყსოს კიდევ ორი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზას სიზუსტე აკლდა. ამ დროს კი იერიშებში გართულ „ზესტაფონს" 77-ე წუთზე **გიორგი მიქაბერიძის** სოლორეიდი გამოეპარა და ტყიბულელებმა ანგარიში გაათანაბრეს. დარჩენილ დროში მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. საბოლოოდ, 3:3. ზესტაფონელთა შორის ითამაშეს: **მეშველიანი (46. მამალაძე), მჭედლიშვილი (46. ლობჟანიძე), კაჭკაჭიშვილი (46. გ. ონიანი), ქორთუა, მაკარიანი, გორგიაშვილი (46. გრიგალაშვილი), ცხადაია (46. ძარია), კორლალიძე, ნ. კვასხვაძე (46. აფციაური), წინამძღვრიშვილი (46. დვალი), იონანიძე (46. გელაშვილი).**

გუშინ „ზესტაფონი" ბათუმში ჩავიდა. 20 ნოემბრამდე იმერლები აჭარაში მოემზადებიან. ისინი ადლიის სპორტკომპლექსში ივარჯიშებენ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი



# კალაძის მეოთხე პოზიცია

## ნაკრების კაპიტანმა მილანის ჭაბუკებთან გაივარჯიშა

ერთ-ერთმა უკრაინულმა ვებგვერდმა საინტერესო შეჯამება გამოაქვეყნა. თავიდანვე გეტყვით, რომ წერილი იქაური კლუბების სატრანსფერო პოლიტიკას ეხება. მასალის ერთ ქვეთავში ჩვენებურიცაა ნახსენები და ამიტომაც გავამახვილეთ ყურადღება, შესაბამისად, ამ შეჯამებას ქართველ მკითხველსაც ვთავაზობთ. უკრაინული კლუბების მიერ ძვირადღირებული, გასხვისებული ფეხბურთელების ჩამონათვალში ჩვენი ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** მე-4 ადგილზეა. თუმცა ჯერ წინა სამეული ვნახოთ. პირველზე **დმიტრი ჩიგრინსკია**, რომელიც „შახტარმა" „ბარსელონაში" 25 მილიონ ევროდ გაყიდა. მეორეა კიევის „დინამოდან" „მილანში" 23 მილიონ ევროდ წასული **ანდრეი შევჩენკო,** მესამე კი - **სერგეი რებროვი**, რომელიც თავის დროზე „ტოტენჰემმა", ასევე „დინამოსგან", 18 მილიონ ევროდ შეიძინა.

და აი, მივადექით კალაძესაც. 2001 წელს „მილანმა" ქართველი მცველის სანაცვლოდ კიეველებს 16 მილიონი ევრო გადაუხადა. საიტი იქვე შენიშნავს, რომ ფასები პოპულარული ვებგვერდის www.transfermarkt.de-ს მიხედვითაა მითითებული.

კიდევ ერთი ამბავი კალაძესთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ბოლო რამდენიმე მატჩია, რაც ის „მილანის" რიგებში აღარ ჩანს. სანაკრებო პაუზის დროს „როსონერის" თავკაცმა **ლეონარდომ** გუნდი „მილანის" ჭაბუკთა კრებულთან გააჯიბრა. უფროსებმა 2:0 მოიგეს. ლეონარდომ პირველ ტაიმში მთავარი შემადგენლობა (ცხადია, იმათი გამოკლებით, ვინც ეროვნულ ნაკრებშია მიწვეული) ათამაშა. ორივე გოლი შესვენებამდე გავიდა. **ალეშანდრო პატომ** დუბლი მიითვალა. კალაძე მთავარი გუნდის სასტარტოში იყო. მან ბოლომდე ითამაშა. არ არის გამორიცხული, ლეონარდო კალაძეს სერია A-ს უახლოესი მატჩისთვის ამზადებს. ეს მატჩი კი კვირას, 22 ნოემბერს, „კალიარიასთან" „სან სიროზე" გაიმართება. ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ 12 ტურის შემდეგ „როსონერი" 22 ქულით მე-3 ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

# გიორგი ხიდეშელი ფეხბურთზე კონცენტრირებას ვერ ვახერხებთ

**მიმდინარე სეზონში ბოლნისის „სიონი" არასტაბილურად ასპარეზობს. უკვე ნათელია, რომ ქვემოქართლელები ვერც მაღალი საფეხურებისთვის იბრძოლებენ და არც უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე დაემუქრებათ. ყველასთვის ცნობილია, რომ „სიონის" წარუმატებლობების უმთავრესი მიზეზი ფინანსური პრობლემაა. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ხიდეშელი მიიჩნევს, რომ სათანადო პირობების ქონის შემთხვევაში, მისი გუნდი უმაღლეს მიზნებს შეეჭიდებოდა.**

**- როდის დაიწყო „სიონის" პრობლემები?**

- სეზონის დასაწყისში ყველაფერი რიგზე იყო. წინა სეზონშიც „სიონში" ვთამაშობდი და მაშინ არანაირი პრობლემა არ გვქონია, მიმდინარე სეზონში კი, სამწუხაროდ, ისეთ სიტუაციაში ვართ, ფეხბურთზე კონცენტრირებას ვერ ვახერხებთ.

**- სიტუაციის გამოსწორების იმედი არ არსებობს?**

- გვპირდებიან, რომ ყველაფერი მალე მოგვარდება. დავალიანების ნაწილი უკვე გაგვისტუმრეს და იმედია, დანარჩენსაც ავიღებთ. ძალიან მეგობრული გუნდი გვყავს და თუ ფინანსური სიტუაცია გამოსწორდება, გაცილებით უფრო შედეგიანად ავთამაშდებით. არასტაბილურობის მიუხედავად, „სიონმა" რამდენიმე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა და დაამტკიცა, რომ არაა ხელწამოსაკრავი გუნდი.

**- ამ სეზონში „სიონის" ყველაზე გამორჩეული მატჩი რომელი იყო?**

- „სიონისთვისაც" და პირადად ჩემთვისაც ყველაზე შთამბეჭდავი თბილისის „დინამოსთან" შეხვედრა იყო. თბილისში მას დამაჯერებლად მოვუგეთ. „დინამოს" დამარცხება ბოლნისშიც შეგვეძლო, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენე და ფრეს დავჯერდით.

**- ამ ჩემპიონატში ჯერ ერთი მატჩიც არ გაგიცდენია და „სიონის" ერთ-ერთი ლიდერიც ხარ...**

- საკუთარ თავს ლიდერს ვერ ვუწოდებ, მაგრამ როცა თამაში მიმდის, მართლაც ვახერხებ „სიონისთვის" სარგებლობის მოტანას.

**- საკუთარი ფორმით კმაყოფილი ხარ?**

- კმაყოფილი ვერ ვიქნები, რადგან მოსამზადებელი შეკრება არ გამივლია, მხოლოდ თამაშებით კი ოპტიმალურ ფორმაში ვერ შევხვალ.

**- გუნდის შეცვლაზე ხომ არ ფიქრობ?**

- „სიონი" ძალიან მეგობრული გუნდია და აქედან წასვლა ნამდვილად არ მინდა. იმედია, სიტუაცია გამოსწორდება და საქმე აქამდე არ მივა. თუ არადა, ჩემ მიმართ ინტერესი არსებობს და ადგილსამყოფელს შევიცვლი.

**- შენი ყოფილი გუნდიდან, ცხინვალის „სპარტაკიდან" ხომ არ შეგხმიანებიან?**

- კი, „სპარტაკიდანაც" მაქვს მოწვევა. დაველოდები „სიონში" ვითარების გარკვევას და გადაწყვეტილებას ამის მიხედვით მივიღებ.

**- რომელ ამპლუაში გირჩევნია თამაში?**

- გუნდში ხან უკანა თავდამსხმელად მათამაშებენ, ხან მარჯვენა ნახევარმცველად. ჩემს თავს თავდამსხმელად უფრო მივიჩნევ.

**- საქართველოს ჩემპიონატამდე გერმანიაში თამაშობდი...**

- გერმანიაში ოთხი წელიწადი გავატარე. ბავშვთა ლიგაში ვთამაშობდი „კობლენცის" შემადგენლობაში, ამ გუნდის ღირსება რეგიონალლიგაშიც დამიცავს. სამწუხაროდ, გერმანიიდან დაბრუნებამ მომიწია, რის შემდეგაც ყველაზე კარგი პერიოდი ცხინვალის „სპარტაკში" გავატარე. კარგად მაგონდება „სიონში" გატარებული წინა სეზონიც. ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის კობა ჟორჟიკაშვილს, რომლის ხელმძღვანელობითაც ჯერ „დერბიში" ვვარჯიშობდი, შემდეგ კი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიმიწვია. სამწუხაროდ, იქ თამაშის საშუალება არ მომეცა, რადგან ჩემი კონკურენტები სანდრო იაშვილი და გოგი ფიფია იყვნენ, რომლებიც იმ პერიოდში საუცხოოდ თამაშობდნენ.

**- საკუთარ თავს როგორ დაახასიათებდი?**

- ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ როგორც ყველა ფეხბურთელს, მეც მაქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. ფიზიკურ მომზადებაში მოვიკოჭლებ, რაც ჩემი ბრალი ნამდვილად არაა - როცა ჩემი გუნდი კარგად მოემზადება, ეს ხარვეზი უმალ მოგვარდება. მაქვს კარგი დარტყმა, თუ ბევრი ვიშრომე, ჩემგან ნორმალური თავდამსხმელი დადგება.

**- მიმდინარე ჩემპიონატში რომელ გუნდს და ფეხბურთელს გამოარჩევდი?**

- საუკეთესო ფეხბურთელი უდავოდ ბრაზილიელი აკინოა, ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად კი მისი „ოლიმპი" მიმაჩნია. „ზესტაფონიც" კარგი გუნდია, მაგრამ „ოლიმპს" მეტი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავს და ჩემპიონის ბედს, ალბათ, სწორედ ეს ფაქტორი გადაწყვეტს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონერები

# დუბლი და ნაბიჯი ძირითადისკენ

**მიხეილ ბარაბაძე** კვლავ საფრანგეთის მესამე დივიზიონის ბინადარ „რუენის" ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად იბრძვის. ახალგაზრდა ქართველ ფორვარდს, უმეტესად, შეცვლებზე ათამაშებენ.

*„გუნდში ახალი მისული ვარ და ეს ნორმალურია. თუმცა უფრო მეტი მინდა და საამისოდ ცდას არ ვაკლებ. კონკურენცია დიდია და ვიცი, რომ ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად დიდი ბრძოლა მომიწევს, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვარ"*, - გვითხრა 21 წლის ბარაბაძემ, რომელიც „რუენის" ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია. მან საბოლოოდ მოიშუშა ტრავმა, რომელმაც რამდენიმე მატჩი გააცდენინა.

მიმდინარე სეზონის ყველაზე შედეგიანი მატჩი მან რამდენიმე დღის წინ ჩაატარა საფრანგეთის თასზე. „რუენმა" მეორე ეტაპზე „ბას-სანი" 12:0 გაანადგურა. მიშა თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო და დუბლი შეასრულა. *„მართალია, მეტოქე სუსტი იყო, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, მოედანზე ყველაფერი გამომდიოდა. მწვრთნელები ჩემით კმაყოფილი დარჩნენ და შესაძლოა, ჩემპიონატის შემდეგ ტურში ძირითად შემადგენლობაში დამაყენონ"*.

ბარაბაძე საფრანგეთში გადასვლას წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია. *„მართალია, მესამე ლიგაა, მაგრამ აქაც საკმაოდ მაღალი დონეა. ყველა ფეხბურთელი მონდომებულია, რადგან აქ თავის გამოჩენის შემთხვევაში, მაღალი ლიგის კლუბებიდან მოწვევა არ დააყოვნებს. ჩვენს თამაშებს ყოველთვის ესწრება ათი ათასამდე მაყურებელი და მატჩი ისე არ ჩაივლის, „როუენის" ფეხბურთელებს ათი აგენტი მაინც არ დააკვირდეს. მთავარია, ფეხბურთელს შრომა არ დაეზაროს და განვითარების საშუალება აუცილებლად მიეცემა. აქამდეც საფეხბურთო ქვეყანაში ვთამაშობდი, მაგრამ შედარება არაა. დანიას ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს, მაგრამ საფრანგეთში საფეხბურთო დონეც გაცილებით მაღალია და პირობებიც უკეთესია"*.

დღეისათვის „რუენი" საფრანგეთის მესამე დივიზიონში, რომელშიც 20 გუნდი თამაშობს, მე-15 ადგილზეა და გასავარდნ ზონას სამი ქულით უსწრებს.

ბარაბაძემ საქართველო-ირლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩსაც ადევნა თვალი: *„ფაქტია, რომ მოსაგები თამაში იყო. ბიჭებმა ძალიან მონდომებულად ითამაშეს, მაგრამ მიზეზთა გამო, მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ. საკმაოდ კარგი თაობაა, ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს, რომელსაც ყველა მეტოქესთან შეუძლია ღირსეულად თამაში"*.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მიხეილ ბარაბაძე

უკრაინა

# გურულმა კარპატულ დერბიში იმარჯვა

## ვინ არიან დნიპროში მოთამაშე არველაძე, მახარაძე და ბოხაშვილი?

**სანდრო გურულის** ლვოვის „კარპატიმ" სანაკრებო პაუზით ისარგებლა და უჟგოროდის „ზაკარპატიესთან" საკონტროლო მატჩი გამართა. ლვოველებმა მეტოქე დაჯაბნეს - 3:0. ქართველი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში იყო. ის 71-ე წუთზე შეცვალეს, როცა ტაბლოზე უკვე საბოლოო ანგარიში ენთო.

უკრაინაში ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრებს შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა მატჩმა, რომელშიც ზაპოროჟიეს „მეტალურგისა" და „დნიპროს" დუბლები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. შეხვედრა ზაპოროჟიელებმა მოიგეს - 4:1.

უკრაინული ვებგვერდის „უა-ფუტბოლის" ინფორმაციით, დნეპროპეტროვსკელთაგან ერთადერთი ბურთი 16 წლის ფორვარდმა **ევგენი ბოხაშვილმა** გაიტანა. იქვე ბოხაშვილის გოლიცაა აღწერილი: *„16 წლის თავდამსხმელი ბოხაშვილი ორ ზაპოროჟიელ მცველს შორის გაძვრა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და მომენტი, რომელიც თავად შექმნა, გოლად აქცია"*.

„დნიპროს" დუბლების ჩამონათვალში კიდევ ორი ქართული გვარი ამოვიკითხეთ - მეორე ტაიმი სრულად ითამაშა მცველმა **ლევან მახარაძემ**. მე-60 წუთიდან კი თამაშში ნახევარმცველი **ლევან არველაძეც** ჩაერთო. უცნობ ქართველებზე ინფორმაციები „დნიპროს" ოფიციალურ ვებგვერდზე მოვიძიეთ.



ევგენი ბოხაშვილი



ლევან მახარაძე

თავდამსხმელი ევგენი ბოხაშვილი, რომელიც 77-ე ნომრით თამაშობს, 1993 წლის 5 იანვარს დნეპროპეტროვსკშია დაბადებული. მისი სიმაღლე 182 სმ-ია და 69 კგ-ს იწონის. მიმდინარე სეზონში ბოხაშვილმა „დნიპროს" დუბლებში 12 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

მცველი ლევან მახარაძე კი 50-ნომრიანი მაისურით თამაშობს. ისიც დნეპროპეტროვსკშია დაბადებული (1993 წლის 14 აგვისტო). მახარაძის სიმაღლე 187 სმ-ია, წონა - 73 კგ. მისი საამსეზონო მონაგარი მწირია - მხოლოდ ერთი მატჩი „დნიპროს" დუბლებში.

რაც შეეხება ნახევარმცველ ლევან არველაძეს, ის „დნიპროს" 16-წლამდელთა გუნდშია. არველაძე 1994 წლის 6 აპრილსაა დაბადებული. დნეპროპეტროვსკელთა გუნდის ოფიციალური ვებგვერდი ლევანის შესახებ არაფერს გვიამბობს.

იმედია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაინტერესდება, თუ ვინ არიან ეს ქართველები, რომლებიც ხვალ-ზეგ შეიძლება ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს გამოადგნენ.

**დავით ცაბაძე**

საბერძნეთი

# შაშიაშვილმა მოყვარულები დაამარცხა

ბერძნული სუპერლიგის „ერგოტელისმა" მორიგი საკონტროლო შეხვედრა გამართა. **გიორგი შაშიაშვილის** გუნდი, რომელიც 14 ქულით მე-7 ადგილზეა, ბოლო საფეხურზე მყოფ „პანთრაკიკოსს" შეხვდა და 3:1 მოუგო. ქართველმა მცველმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**დავით ცაბაძე**



# იაშვილის დუბლი



საკონტროლო მატჩი ჩაატარა „კარლსრუემ", რომელიც რეგიონალლიგელ „აალენს" დაუპირისპირდა. გასაკვირი არაა, რომ მატჩი „კარლსრუეს" უდიდესი უპირატესობით წარიმართა და ლოგიკური შედეგით, 3:0 დასრულდა. მეორებუნდესლიგელებმა საბოლოო ანგარიში პირველივე ტაიმში დააფიქსირეს. რაც ყველაზე მთავარია, დუბლი შეასრულა გუნდის კაპიტანმა **ალექსანდრე იაშვილმა**, რომელმაც გოლები 29-ე და 34-ე წუთებზე გაიტანა. პირველი ტაიმის ბოლოს „აალენის" კარში კიდევ ერთი ბურთი გავიდა. იაშვილი, ისევე როგორც ძირითად შემადგენლობაში გამწესებული დანარჩენი ათი კარლსრუელი, შესვენების შემდეგ შეცვალეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქალთა ფეხბურთი

საერთაშორისო ტურნირი

# ბაია მილანში მიიწვიეს

თუ შემთხვევით რუბრიკა არ წაიკითხეთ, მაშინ აქვე დავაზუსტოთ - ლაპარაკია არა ზუგდიდის „ბაიას" ვაჟთა, არამედ ქალთა გუნდზე. ეს ინფორმაცია გუშინ იტალიურმა საიტებმა და ქალთა იქაური საფეხბურთო კლუბის „ატლეტიკო მილანოს" ოფიციალურმა ვებგვერდმა გაახმაურეს. როგორც ირკვევა, მილანი 21-წლამდელ ქალ ფეხბურთელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირ milady cup 2009-ს მასპინძლობს. საქართველოდან შეჯიბრებაში ზუგდიდის „ბაიაა" მიწვეული. ზუგდიდელებმა მიწვევა აგვისტოში, ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორის, **მარკო პენატისგან** მიიღეს. იტალიური ვებგვერდების ცნობით, მილანში ჩასულ ქართულ დელეგაციას, რომელსაც საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნინო სორდია** ხელმძღვანელობს, ტურნირის ორგანიზატორთა გარდა, **კახა კალაძეც** დახვდა. იმასაც დავძენთ რომ milady cup 2009 ჩატარდება ახალ სპორტკომპლექსში, რომლის გახსნის ცერემონიალიც გუშინ გაიმართა.

**დავით ცაბაძე**

რუსეთი

# ასათიანი VS მუჯირი არ შედგა



მოსკოვში „ლოკომოტივმა" ჩაატარა საკლუბო ტურნირი, რომელშიც მთავარი გუნდი, მისი დუბლები და ამავე კლუბის ორი სხვადასხვა ასაკის გუნდი მონაწილეობდა. ოთხთა შეჯიბრება კლასიკური რეგლამენტით ჩატარდა - პირველ მატჩებში მოგებულებმა ფინალში ითამაშეს, დამარცხებულები კი მე-3 ადგილისთვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ტურნირში რკინიგზელთა კლუბის ორივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა, ოღონდ - სხვადასხვა გუნდში. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, **იური სიომინის** კრებულმა პირველ შეხვედრაში „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლის გუნდს ვერ მოუგო - შეხვედრა 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი სკოლის ჭაბუკებმა 4:2 მოიგეს. მთავარ გუნდში **მალხაზ ასათიანმა** სრულად ითამაშა.

ამის შემდეგ „ლოკომოტივი 2"-მა კლუბის ახალგაზრდულ გუნდს 2:0 სძლია. სწორედ ამ ახალგაზრდებში ითამაშა **დავით მუჯირმა**. როგორც ხედავთ, ორივე ჩვენებური ნახევარფინალში დამარცხდა. წესით, ისინი მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში უნდა დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ასათიანისგან განსხვავებით, მუჯირი მოედანზე აღარ გამოჩენილა. რაც შეეხება თავად მატჩს, ის 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი „ლოკომოტივის" მთავარმა გუნდმა გაიმარჯვა - 5:4. ფინალში „ლოკომოტივი 2"-ს ამავე კლუბის სკოლის გუნდმა აჯობა - უგოლო მატჩის შემდეგ დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც სკოლელებმა 4:2 მოიგეს.

**დავით ცაბაძე**

იტალია

# შეყილაძემ ემპოლის მოაგებინა



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ფორვარდ **ირაკლი შეყილაძეზე** გუშინ სასიამოვნო ამბები გავიგეთ. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ქართველი თავდამსხმელი „ემპოლის" 19-წლამდელთა გუნდიდან დუბლებში გადაიყვანეს და ირაკლიც ამართლებს რეზერვისტთა გუნდის მთავარი მწვრთნელის **მასიმო დონატის** იმედებს. „ემპოლის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ამავე კლუბის დუბლშემადგენლობამ „სიენას" სარეზერვო გუნდს უმასპინძლა. „ემპოლიმ" ტოსკანური დერბი 1:0 მოიგო. შეყილაძე სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა. ის **კასტელანის** ნაცვლად 41-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და თავის გამოსაჩენად 20 წუთი იკმარა - 61-ე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი სწორედ შეყილაძემ გაიტანა.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

შეჯამება. სომხეთი

# 12 ქართველის ამბავი

სომხეთის მე-18 ჩემპიონატი ახალი დასრულებულია, გამარჯვებული მეთორმეტედ გახდა ერევნის „პიუნიკი", რომელიც სომხურ ფეხბურთში ყველაზე ტიტულოვანი კლუბია (ადრეული ფლაგმანი ერევნის „არარატი" მხოლოდ ერთხელ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, წლეულს კი საერთოდ გავარდა). სომხური პრემიერლიგის 8-დან ნახევარში ქართველი ლეგიონერები თამაშობდნენ.

კარგი სეზონი გამოუვიდა ერევნის „მიკას", რომელმაც საბოლოოდ 58 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ასე რომ, სომხეთის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ **სოსო გრიშიკაშვილი** და **ირაკლი ცანავა**. ამ გუნდის სპორტული დირექტორი კი **ლევან ნოდია** გახლავთ. მეტიც, სეზონი მთავარი მწვრთნელის რანგში დაიწყო და კონსულტანტად გააგრძელა ჩვენთვის კარგად ნაცნობმა **ივო შუშაკმა**.

ვერ ვიტყვით, რომ 35 წლის სოსო გრიშიკაშვილმა შეძლო პირველი მეკარეობის დაბევება გუნდში, თუმცა ამაში დამნაშავე უფრო ხშირი ტრავმებია. გრიშიკაშვილი მეორე სეზონია „მიკაში", შარშან მან 10 მატჩში მიიღო მონაწილეობა, წლეულს - 14-ში (13 გოლი გაუშვა). ამ სეზონში, „არარატთან" მატჩში გრიშიკაშვილს უთანხმოება მოუვიდა თავისივე გუნდის მცველ **ალექსთან**, რის გამოც მსაჯმა ქართველი გოლკიპერი მოედნიდან გააძევა. ნახევარმცველმა ირაკლი ცანავამ 7-ჯერ მოირგო „მიკას" წითელი მაისურა ამ სეზონში. მე-13 ტურის შემდეგ ის გუნდში აღარ გამოჩენილა.

ერევნის „ულისე" 53 ქულით ბრინჯაოს მედლებს და ევროთასების საგზურს შესწვდა. „ულისე" ერთ-ერთი ყველაზე „ქართული" გუნდია სომხეთში. გუნდის დაცვის რედუტებს სამი ჩვენებური ამაგრებდა. **გაგა თიბილაშვილი, ლევან აკობია** და **თენგიზ უგრეხელიძე**. გაგა სომხური პირველობის „ვეტერანია", 25 წლის ქართველი 2007 წლიდან სამეზობლოში თამაშობს. წლეულს ის კაპანის „განძასარიდან", სადაც გუნდის ლიდერი იყო, „ულისეში" გადავიდა. თიბილაშვილმა უფრო მაღალი კლასის გუნდშიც იყოჩაღა, 18 თამაშში 5 გოლი გაიტანა, რაც მცველისთვის ბრწყინვალე შედეგია. 29 წლის აკობია ჩვენში თიბილაშვილზე ცნობილი ფეხბურთელია. მას 2006/07 წლების სეზონში თბილისის „დინამოშიც" კი უთამაშია. აკობიამ 16 მატჩში ითამაშა ამ სეზონში. 28 წლის თენგიზ უგრეხელიძე მესამე სეზონია „ულისეში", ამ სეზონში მან 13 მატჩში ითამაშა.

კიდევ ერთი „ქართული" გუნდი კაპანის „განძასარია", რომელმაც სეზონი 38 ქულით მე-5 ადგილზე დაასრულა. ამ სეზონში რეგიონული გუნდის მაისურა ოთხმა ქართველმა მოირგო: **დავით ხანიშვილმა, ლევან ბუბუტეიშვილმა, ზაზა სახოკიამ** და **მიხეილ თაყაძემ**. სხვათა შორის, 26 წლის გოლკიპერმა ლევან ბუბუტეიშვილმა მატჩების ნახევარი სასტარტოში ჩაატარა. მცველმა დავით ხანიშვილმა სეზონში 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა, შემტევმა ნახევარმცველმა ზაზა სახოკიამ სულ სამ თამაშში ითამაშა, მაგრამ 2 გოლის გატანა შეძლო. შეგახსენებთ, რომ ახლა ეს ფეხბურთელი რუსთავის „ოლიმპში" ისინჯება. თაყაძის შესახებ სტატისტიკურ მაჩვენებლებს ვერ შემოგთავაზებთ, რადგან ეს ფეხბურთელი მხოლოდ დასაწყისში ირიცხებოდა „განძასარში".

ერევნის „არარატმა" წლეულს 14 ქულა მოაგროვა და ბოლო ადგილი დაიკავა. გუნდში სამმა ქართველმა ითამაშა: **გიორგი კრასოვსკიმ, გიორგი ალავიძემ** და **ბიძინა ცინცაძემ**. ბოლომდე მხოლოდ 30 წლის კრასოვსკიმ ითამაშა, რომელმაც სეზონში 14 თამაშში მიიღო მონაწილეობა. 20 წლის ცინცაძე და 19 წლის ალავიძე კი ბოლოს აღარ ჩანდნენ „არარატის" შემადგენლობაში. „არარატის" ნაცვლად სომხურ პრემიერლიგაში დილიჯანის „იმპულსი" ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფუტზალი

# იბერია იტალიისკენ

დღეს საღამოს საქართველოს ჩემპიონი „იბერია" იტალიისკენ გაემგზავრება, სადაც ევროპის ფუტზალის თასის ელიტრაუნდში იასპარეზებს. მსგავს წარმატებას ქართულმა კლუბმა პირველად მიაღწია და ვიმედოვნებთ, „იბერია" არც ელიტრაუნდში შეირცხვენს თავს.

შეგახსენებთ, ჩვენი გუნდი A ჯგუფში მოხვდა და პადოვაში მისი მეტოქეები ადგილობრივი „ლუპარენსე", ესპანური „მურსია" და ბელგიური „შარლერუა" იქნებიან. ჯგუფის სრული კალენდარი ასეთია:

**19 ნოემბერი**
მურსია-იბერია
ლუპარენსე-შარლერუა

**20 ნოემბერი**
შარლერუა-მურსია
ლუპარენსე-იბერია

**22 ნოემბერი**
იბერია-შარლერუა
მურსია-ლუპარენსე

ელიტრაუნდში სულ ოთხი ჯგუფია, ფინალურ ეტაპზე კი მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ. „იბერია" იტალიაში ამ შემადგენლობით გაემგზავრა: **ბომი, სალომაო, დუდა, რონი, ლეანდრო, რუდოლფო, ჟოანი** (ყველა ბრაზილია), **შაიტანოვი** (უკრაინა), **ჯამბურია, ძაბირაძე, ალთუნაშვილი, წერეთელი**.

*„ელიტრაუნდისთვის სრულფასოვნად მოვემზადეთ. გუნდი საბრძოლოდაა განწყობილი, საბედნიეროდ, ტრავმა არავის აწუხებს და იმის მიუხედავად, რომ უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით, გამარჯვებისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ"*, - გვითხრა „იბერიას" ერთ-ერთმა ნამყვანმა ფეხბურთელმა **ალექსანდრე ძაბირაძემ**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პირველი ლიგა

XIII ტური

**მერცხალი-გურია 0:2**

0:1 კვერენჩხილაძე (40), 0:2 კვერენჩხილაძე (43)

მერცხალი: ძაგანია, ვ. რამიშვილი (57. ზ. ქათამაძე), ქობულაძე, ხამაშურიძე, რ. ჭეიშვილი, ტუტოიანი, ლომჯარია (53. სურგულაძე), სიამაშვილი, ს.ვ. ჩიგოგიძე, ნაკაიძე, ს. გ. ჩიგოგიძე (46. ლ. ჩხაიძე).

*სათადარიგოები:* ქუტიძე, მაჭავარიანი, ტულუში, გოგუა

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

გურია: გოგუაძე, ბრეგაძე, რ. კუკულაძე, კილაძე, ქურიძე, შეწირული, გოგიბერიძე, ჯაყელი (75. მ. კოტრიკაძე), მგელაძე, ტ. კუკულაძე (89. ს. ურუშაძე), კვერენჩხილაძე.

*სათადარიგოები:* ეზიეშვილი, წილოსანი, ლ. ციკოლია

*მთავარი მწვრთნელი:* რამაზ ფირცხალაიშვილი

გაფრთხილება: ხამაშურიძე, ტუტოიანი, ჯაყელი

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**კოლხეთი (ფ)-მარტვილი 3:0**

1:0 დ. სიჭინავა (73), 2:0 გულუა (87), 3:0 ციცხვაია (89)

კოლხეთი: გ. შენგელია, ცხვიტარია, თედიაშვილი, ფარცვანია, ლემონჯავა (72. გულუა), ჯოჯუა (84. გოგონაია), გვალია, გელაჭეიშვილი, დ. სიჭინავა, ციცხვაია, წიქარიშვილი (84. მალიჩავა).

*სათადარიგოები:* გეგელია, გ. ციკოლია

*მთავარი მწვრთნელი:* ზაზა ინაშვილი

მარტვილი: ჯ. შეროზია, ჩხიკვაძე, იობაშვილი, პადოპულოსი, მელიავა, გ. ილურიძე (80. ო. ტორაძე), ბერუაშვილი, ც. ბუკია, გიორგობიანი (80. ფაცაცია), ამბროლაძე, კუჭუხიძე (65. წონორია).

*სათადარიგოები:* თ. თურმანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: ბერუაშვილი, მელიავა, გ. ილურიძე, ცხვიტარია, ციცხვაია

გაძევება: ბერუაშვილი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**ბათუმი-მესხეთი 3:0**

1:0 თედორაძე (12-პენ), 2:0 თედორაძე (14-პენ), 3:0 ბოხუა (16)

დინამო: მამინაშვილი, ფარტენაძე, ლ. რამიშვილი (67. მამეიშვილი), ხუხია, თედორაძე, სამსეიშვილი, ე. გრიგალაშვილი, დემურაძე, ბოხუა, ბეჟანიძე (59. ზოიძე), მ. ჯორბენაძე (46. ბერიძე).

*სათადარიგოები:* ი. ტულუში, მალაზონია, ტაკიძე, თ. კაკალაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

მესხეთი: ძამუნაშვილი, დარჩია (67. ქურდაძე), ყულიჯანიშვილი, ბარამიძე, თელიაშვილი, თ. გრიგალაშვილი, ლეკიშვილი, აფრიამაშვილი, პარუნაშვილი, სუდაძე, ცნობილაძე.

*სათადარიგოები:* რეხვიაშვილი, მუმლაძე, ჯაფარიძე

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა გოგოლაძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**IBSU-ჭიათურა 3:0**

1:0 ტეტუნაშვილი (42), 2:0 ქუცურუა (61), 3:0 ბენდიანაშვილი (90)

IBSU: ბილიხოძე, პირველი, ა. კუჭუხიძე, ტეტუნაშვილი, ცხოიძე, გვიჩია, ბართია (88. ოდიშარია) არახამია (63. ნორაკიძე), თავბერიძე, ქუცურუა, ხოსრუაშვილი (88. ბენდიანაშვილი).

*სათადარიგოები:* ჯოლოგუა, თ. კვარაცხელია. ა. ნოზაძე, ბაიაშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* გოჩა ჟორჟოლიანი

ჭიათურა: ბადურაშვილი, ტყემალაძე, ჭუმბურიძე, მეცხოვრიშვილი (61. სარალიძე), ცუცქირიძე, დ. შეყილაძე, გიორგაძე, ტაბატაძე, თემურ მიშველიძე (87. იობიძე), ვაშაძე, გაფრინდაშვილი.

*სათადარიგოები:* რობაქიძე, აბესაძე, ღვალაძე, დარბაიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი

გაფრთხილება: თავბერიძე, ნორაკიძე, ბართია, ბილიხოძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**ჩიხურა ა-ტორპედო 1:1**

0:1 ფარულავა (21), 1:1 ქამუშაძე (43)

ჩიხურა: დოლაძე, მაჭარაშვილი, ცარციძე, მგალობლიშვილი, ტყებუჩავა (67. გვეტაძე), ჭიღლაძე (35. სტეფანიშვილი), ზაბახიძე, ქამუშაძე, დეკანოიძე, გ. ენუქიძე (64. ბ. პეტრიაშვილი), კობახიძე.

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, დ. ენუქიძე, ა. ივანიშვილი, ზ. ნოზაძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

ტორპედო: მიგინეიშვილი, ფარულავა, ბიბილაშვილი, ლონლაძე, ჭანკვეტაძე, ბ. ჩხეტიანი (81. გურული), გ. ჩხეტიანი (57. რ. კვერნაძე), ზვ. ჩხეტიანი, მემარნიშვილი, კირკიტაძე, შ. ჯიქია (90. ზაქარაშვილი).

*სათადარიგოები:* ი. კუჭუხიძე, ჩიხლაძე, ხარებავა, ლაღაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გია გიგატაძე

გაფრთხილება: ცარციძე, ზაბახიძე, ბ. ჩხეტიანი, შ. ჯიქია

არბიტრი: გ. ვაადაჭკორია

**კოლხეთი (ხ)-ნ/დინამოელი 1:4**

0:1 გ. მაისურაძე (1), 0:2 ი. ქავთარაძე (54), 0:3 გ. მაისურაძე (57), 0:4 ი. შენგელია (69), 1:4 ფიფია (81)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, მ. შონია (55. გაბრავა), გ. გოგენია, კვირკველია, ოთარ ფიფია, ალანია, ფირცხალავა, სართანია (70. ბ. ბუკია), გაგუა, ცობეხია (69. გრიგოლია), ლომაია.

*სათადარიგოები:* ღურჭულია, ლ. გოგენია, თოდუა, ომერ ფიფია

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

ნ/დინამოელი: ძაძამია, გაჩეჩილაძე, სულაძე, დაბრუნდაშვილი, მერეჩკო, მამუდოვი (55. გულორდავა), ხვთისავრიშვილი, დეკანოსიძე, ი. ქავთარაძე (76. ახალაია), ი. შენგელია (78. გაბისონია), გ. მაისურაძე.

*სათადარიგოები:* ცინცაბაძე, მახარობლიძე, ბულკაშვილი, ვ. კვარაცხელია

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან გაგუა

გაფრთხილება: გულორდავა, ძაძამია

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

**30 ნოემბერი**

**35-ე სკ-ჰერეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 13 | 10 | 1 | 2 | 37-7 | 31 |
| 2. ბათუმი | 13 | 9 | 3 | 1 | 21-5 | 30 |
| 3. ნ/დინამოელი | 12 | 7 | 4 | 1 | 26-15 | 25 |
| 4. ჩიხურა | 12 | 7 | 2 | 3 | 24-11 | 23 |
| 5. კოლხეთი (ფ) | 12 | 7 | 2 | 3 | 15-11 | 23 |
| 6. გურია | 12 | 6 | 2 | 4 | 21-18 | 20 |
| 7. მარტვილი | 12 | 5 | 2 | 5 | 17-19 | 17 |
| 8. მეშახტე | 12 | 5 | 1 | 6 | 20-30 | 16 |
| 9. IBSU | 12 | 4 | 3 | 5 | 19-15 | 15 |
| 10. ჰერეთი | 11 | 3 | 2 | 6 | 14-19 | 11 |
| 11. მერცხალი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-19 | 11 |
| 12. მესხეთი | 12 | 4 | 1 | 7 | 11-19 | 10 |
| 13. კოლხეთი (ხ) | 12 | 3 | 1 | 8 | 14-27 | 10 |
| 14. ჭიათურა | 12 | 3 | 0 | 9 | 12-33 | 9 |
| 15. 35-ე ს. სკოლა | 11 | 0 | 2 | 9 | 6-22 | 2 |

**ჭაბუკთა ლიგა**

**1992-93. XI ტური**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-ბაია | 0:3 |
| ვიტ ჯორჯია-სამტრედია | 3:0 |
| დინამო-სიონი | 7:1 |
| სპარტაკი-ოლიმპი | 0:1 |
| ლოკომოტივი-გაგრა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 11 | 9 | 2 | 0 | 42-16 | 29 |
| 2. ბაია | 11 | 9 | 2 | 0 | 34-15 | 29 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 1 | 4 | 22-17 | 19 |
| 4. ზესტაფონი | 11 | 6 | 1 | 4 | 20-22 | 19 |
| 5. სამტრედია | 11 | 4 | 3 | 4 | 23-21 | 15 |
| 6. ოლიმპი | 11 | 4 | 2 | 5 | 20-23 | 14 |
| 7. გაგრა | 11 | 4 | 1 | 6 | 20-24 | 13 |
| 8. ლოკომოტივი | 11 | 3 | 2 | 6 | 14-20 | 11 |
| 9. სიონი | 11 | 1 | 1 | 9 | 14-36 | 4 |
| 10. სპარტაკი | 11 | 1 | 1 | 9 | 5-20 | 4 |

**1994-95**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-ბაია | 0:3 |
| ვიტ ჯორჯია-სამტრედია | 1:0 |
| დინამო-სიონი | 4:1 |
| სპარტაკი-ოლიმპი | 2:4 |
| ლოკომოტივი-გაგრა | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 11 | 10 | 1 | 0 | 35-6 | 31 |
| 2. ბაია | 11 | 9 | 1 | 1 | 33-10 | 28 |
| 3. დინამო | 11 | 6 | 3 | 2 | 17-14 | 21 |
| 4. ლოკომოტივი | 11 | 6 | 1 | 4 | 19-9 | 19 |
| 5. სამტრედია | 11 | 5 | 0 | 6 | 15-15 | 15 |
| 6. სპარტაკი | 11 | 4 | 1 | 6 | 11-19 | 13 |
| 7. სიონი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-21 | 12 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 11 | 3 | 2 | 6 | 8-15 | 11 |
| 9. ზესტაფონი | 11 | 0 | 3 | 8 | 6-25 | 3 |
| 10. გაგრა | 11 | 0 | 3 | 8 | 4-23 | 3 |



## უცხოური ფეხბურთი

მწვრთნელის ბედი



ჯორჯ ბარლი ასე მონდომებით იწყება

# შოტლანდიამ თქვა: კმარა, ჯორჯ!

ამხანაგურ მატჩში ნაგებისთვის ნაკრების მწვრთნელს იშვიათად ათავისუფლებენ, მაგრამ თუ მეტოქე ტრადიციული მეტოქეა? წარმოიდგინეთ, საქართველოს ნაკრებმა რომ ამხანაგური მატჩი წააგოს სომხეთთან, როგორ ფიქრობთ, თავზე ხელს გადაუსვამენ ჩვენს მწვრთნელს? - ბრიტანეთშიც დაახლოებით ეს მოხდა - შოტლანდიის ნაკრებმა უელსთან 0:3 წააგო. შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამაც მხოლოდ ერთი დღე-ღამე იფიქრა და ორშაბათს **ჯორჯ ბარლის** კარზე მიუთითა.

ასოციაციის ბოსების შეკრება დაჩქარებული წესით გაიმართა (წესით, დღეს უნდა შემდგარიყო), რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ შოტლანდიის ნაკრების თავკაცად ჯორჯ ბარლის მუშაობა აღარ შეიძლება. *„ვწუხვართ, მაგრამ დღეიდან ჯორჯ ბარლი ველარ იქნება შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მომავალ მატჩამდე, რომელიც ჩეხეთის ნაკრებთან გვაქვს, 4 ოვე გვრჩება. მანამდე დროა და ჩვენ კარგად უნდა მოვიფიქროთ ბარლის ყველაზე საუკეთესო შემცვლელის ვინაობა. ჩვენი გადაწყვეტილება მხოლოდ უელსთან 0:3 მარცხს არ უკავშირდება, მთავარია, რომ ნაკრებმა ვერ აჩვენა ის თამაში, რასაც მისგან ჩვენი ფანები ითხოვდნენ“*, - განაცხადა ასოციაციის შეფმა **გორდონ სმითმა.** სხვათა შორის, ბარლისთან ერთად მოხსნეს მისი ასისტენტებიც, **პოლ ჰეგარტი** და **ტერი ბატჩერი.**

*„მინდა მადლობა გადავუხადო ტარტანის არმიას, რომელიც ჩემი თავკაცობის განმავლობაში დიდად მიჭერდა მხარს მეც და ეროვნულ ნაკრებსაც. ეროვნულ გუნდს მომავალში დიდ წარმატებებს ვუსურვებ“*, - განაცხადა თანამდებობიდან გადაყენებულმა ჯორჯ ბარლიმ.

ჯორჯ ბარლი 53 წლისაა, ფეხბურთელობისას ის ნ...რჯვენა მცველი იყო და ყველაზე დიდი ხანი „იფსვიჩ თაუნში“ ითამაშა. ბარლიმ ნაკრების მაისურა 11-ჯერ მოირგო. ყველაზე დიდი ხანი მწვრთნელის რანგშიც ამ ინგლისურ კლუბში გაატარა.

### კარვაჰალი სპორტინგში

კიდევ ერთი სამწვრთნელო ცვლა - ამჯერად, საკლუბო. ლისაბონის „სპორტინგის“ დამრიგებლის პოსტზე **კარლუშ კარვაჰალი** დაინიშნა. ის სეზონის ბოლომდე შეცვლის **პაულუ ბენტოს,** რომლის გადადგომის მიზეზი ეროვნულ ჩემპიონატში ცუდი შედეგები იყო. თუკი კარვაჰალი კარგად გაუძღვება გუნდს, სეზონის ბოლოს მას კონტრაქტს გაუგრძელებენ. 43 წლის კარვაჰალმა პირველად საფეხბურთო სამყაროს 2002 წელს გააცნო თავი, როცა მესამე ლიგის „ლეიქსაოში“ პორტუგალიის თასის ფინალში გაიყვანა. კარვაჰალი სექტემბერში მადეირული „მარიტიმუს“ თავკაცობიდან მოხსნეს. ფეხბურთელობისას კარვაჰალი „ბრაგას“ მცველი იყო. დღესათვის „სპორტინგი“ მე-8 ადგილზეა და 11 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ბრაგას“.

პლეი ოფი. საპასუხო მატჩების წინ

# ფრანგებს ტრავმები მოეძალათ

პარიზული პლეი ოფის წინ საფრანგეთის ნაკრებმა ერთბურთიანი უპირატესობა დაიბევა ირლანდიის ნაკრებზე მას შემდეგ, რაც „კროკ პარკზე“ 1:0 მოიგო, მაგრამ **რაიმონ დომენეშის** გუნდს პრობლემები მოეძალა. „არსენალის“ 22 წლის მცველმა **აბუ დიაბიმ** ტრავმის გამო დატოვა კლერფონტეინის სანაკრებო ბაზა, მისი თამაში ოთხშაბათს გამორიცხულია. დიაბიმ მარცხენა ფეხზე მიიღო კუნთის ტრავმა. არადა, ინგლისური კლუბი აპროტესტებდა დიაბის ჩართვას ეროვნული ნაკრების სამზადისში, ლონდონელთა აზრით, დიაბი ჯერ არ იყო მზად დატვირთვებისთვის. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ „არსენალის“ ბოსები მართლები იყვნენ. „არსენალის“ ექიმთა ვარაუდით, დიაბის თამაში მხოლოდ ნოემბრის ბოლოდან უნდა დაეწყო, მაგრამ ეს საფრანგეთის ნაკრების შტაბში კლუბის ეშმაკობად ჩათვალეს.

რაიმონ დომენეშმა ბოლო 24 საათში სამი მნიშვნელოვანი დაცვითი სტილის ფეხბურთელი დაკარგა, დიაბის გარდა, ბაზა ტრავმებით **ჟერემი ტულალანმა** (ლიონი) და **ერიკ აბიდალმა** (ბარსელონა) დატოვეს. მართალია, ძნელი სათქმელია, მოხვდებოდა თუ არა დიაბი სასტარტო შემადგენლობაში, მაგრამ ცხადია, ტულალანი აუცილებლად იქნებოდა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, ხოლო აბიდალი დაცვის ცენტრში ითამაშებდა.

„ლურჯებს“, რომელთაც ისედაც აკლდათ ლიდერი **ფრანკ რიბერი,** ტრავმირებული სამეულის გარეშე მოუწევთ ირლანდიური ბარიერის დაძლევა. დომენეშმა ამ სიტუაციაში ცოტა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, საფრანგეთის ნაკრების ბანაკს არავინ დაამატა.

ამასობაში თანაგუნდელებს მედიის საშუალებით მიმართა პირველი მატჩის გმირმა **ნიკოლა ანელკამ:** *„დაცვითი მენტალიტეტი გამოგვიმუშავდა თითქოს, ყველა იმაზე საუბრობს, რომ მთავარია ეს უპირატესობა შევინარჩუნოთ. ბიჭებო, ეს დამოკიდებულება დამღუპველია, პარიზში მოედანზე მხოლოდ მოსაგებად უნდა გავიდეთ. რა თქმა უნდა, კარგია პლეი ოფში გოლის გატანა გასვლით მატჩში, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ, მოდით, დავივიწყოთ ეგ გოლი, ვითომ არ გამიტანია და ისე დავიწყოთ საპასუხო მატჩი ნულიდან“*, - განაცხადა „ჩელსის“ 30 წლის ვარსკვლავმა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

გამარჯვების შემდეგ

# რუფერის ნაკვალევზე

ახალ ზელანდიას ისტორიულ გამარჯვებაში საკმაოდ მოულოდნელი გმირი ჰყავდა, ის ზუსტად იმ წელს დაიბადა, როცა „გრძელი თეთრი ღრუბლის“ ქვეყნის ნაკრებმა პირველად იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. რა თქმა უნდა, ბაჰრეინის ნაკრების ორი მატჩის ჯამში დამარცხებისთვის ბევრი იშრომეს კაპიტანმა **რაიან ნელსენმა** და **ივან ვისელიჩმა,** ბევრი აღნიშნავდა, თუ რა ძნელი დარტყმები მოიგერია გოლკიპერმა **მარკ პესტონმა,** მაგრამ ზელანდიური ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით შევა **რორი ფელონის** გოლი, რომელმაც ქვეყანას მეორედ მოუპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური. პირველად, ესპანეთში 1982 წელს ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ზელანდიის ნაკრებს **უინსტონ რუფერმა** მოუპოვა, რომელიც შემდგომ ოკეანეთის საუკუნის (!) საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

სხვათა შორის, რორის მამა **კევინი** 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ზელანდიის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი იყო, ესეც საოცარი დამთხვევა. საკმაოდ საინტერესო ისტორიისაა თავად რორის კარიერაც, ზელანდიაში დაბადებულმა ახალგაზრდა ფორვარდმა პირველად... ინგლისის ასაკობრივი ნაკრების ფორმა მოირგო. ზელანდიის ნაკრებში კი მისი დებიუტი ახლახან, სექტემბერში შედგა და მან მაშინვე სარგებელი მოუტანა ქვეყნის მთავარ გუნდს. სამ თამაშში რორის 2 გოლი აქვს გატანილი „ოლ ვაითსის“ მაისურით. 27 წლის გისბორნელი უკვე მესამე სეზონია ინგლისური ჩემპიონშიპის „პლიმუთის“ ღირსებას იცავს.

*„1982 წლის გუნდის თამაშები ბევრჯერ მაქვს ნანახი. როდესაც ბაჰრეინთან მატჩისთვის ვემზადებოდი, სულ იმ გუნდზე ვფიქრობდი. საოცრად მომინდა გამარჯვება და საგზურის მოპოვება, „ის“ გუნდი ქვეყანაში მაინც ახსოვთ, არადა, 27 წელია გასული. ძალიან მვინდოდა ჩვენი ქვეყნისთვის კარგი გაგვეკეთებინა და მიხარია, რომ ეს შევძელით. ჩვენი სლოგანი თამაშამდე იყო - ერთი გოლი დიდებამდე. რა კარგია, რომ ეს გოლი მე გავიტანე“*, - განაცხადა მატჩის გმირმა.

ფელონმა **ლეო ბერტოსის** ჩამოწოდებულ კუთხურს დაუხვედრა თავი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე და ისეთი ძალით დაარტყა, მეკარეს მოგერიების შანსი არ დაუტოვა. სხვათა შორის, რამდენიმე წუთით ადრე ზუსტად ანალოგიურ სიტუაციაში ფელონს ბაჰრეინელთა მეკარე **საიედ ჯაფარმა** სასწაულებრივ აუღო ახლო კუთხეში დარტყმული თავური: *„პირველ შემთხვევაში მეკარემ საოცარი ნახტომით ამილო ბურთი, ღმერთს ვთხოვდი, ჩემთვის კიდევ ერთი შანსი მოეცა და ეს შანსიც მივიღე“.*

რორის მამა კევინი მხოლოდ 1982 წლის კამპანიით არ არის ცნობილი ზელანდიურ ფეხბურთში - კევინ ფელონი დიდ ხანს წვრთნიდა ზელანდიის ეროვნულ ნაკრებს. მუდამ დინჯი და სიტყაძუნწი კევინი ბაჰრეინთან მატჩის დაწყებამდეც კი ვერ იკავებდა ცრემლებს. *„მინდა მადლობა გადავუხადო მამას იმ წლებისთვის, რაც ჩემს გაზრდაში დახარჯა. არასოდეს დამავიწყდება მისი ღვაწლი, ყოველ დღე 6 საათზე ადგომა ჩემი გულისთვის, ჭკუის დარიგება“,* - იგონებს რორი. *„დიდებული გრძნობაა, როცა შენი შვილი ქვეყნისთვის, რაღაც ძალიან კარგს აკეთებს, ეს ჩემი უბედნიერესი დღეა“,* - აცხადებს კევინ ფელონი. 1982 წლის ნაკრების კაპიტანი **სტივ სამნერი** ფელონის ტალანტის დიდი დამფასებელია: *„ახლა მან ზელანდიური ფეხბურთის ისტორიაში ახალი თავი უნდა გახსნას, ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით 27 წლის წინათ“...*

U 17. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ

# ევროპას დიდებას უბრუნებს... შვეიცარია

ნიგერიაში დასრულდა მსოფლიოს 17-წლამდელთა მორიგი ჩემპიონატი, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად შვეიცარიის ნაკრების ტრიუმფით დასრულდა. ყველაზე ღარიბმა კონტინენტმა როგორც შეეძლო უმასპინძლა ასეთი დონის ტურნირს. იყო ბევრი კაზუსი - მაგალითისთვის, ესპანეთისა და ამერიკის მატჩი ორჯერ შეწყდა, ორივეჯერ შუქი ჩაქრა სტადიონზე. ერთხელ ტროპიკული წვიმის გამო ჩაიშალა მატჩი. ავად თუ კარგად, მსოფლიოს ჩემპიონატი მაინც ჩატარდა...

შვეიცარიის ნაკრებმა პირველი ტიტული მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში (ეს ეხება ნებისმიერი ასაკის გუნდს). თანაც ფინალში ევროპელებმა, რომელიც ქალაქ აბუჯაში გაიმართა, მასპინძლები ნიგერიელი „მართვეები“ დაამარცხა **ჰარის სეფეროვიჩის** ერთადერთი გოლის წყალობით - 1:0. შვეიცარია მხოლოდ მესამე ევროპული ნაკრებია, რომელმაც 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. 1987 წელს საბჭოთა კავშირმა იმარჯვა, 2001 წელს კი - საფრანგეთმა. შვეიცარიელები პირველად მონაწილეობდნენ 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და ტიტული მოიგეს, ამ ტურნირზე მათ 2003 წლის მერე პირველი მარცხი მიაყენეს ნიგერიის ნაკრებს.




ტრიუმფატორები

შვეიცარიელებმა ტიტულამდე გზად მექსიკა, იაპონია, ბრაზილია, გერმანია, იტალია, კოლუმბია და ნიგერია ჩამოიცილეს. *„ჩვენ მივაღწიეთ შეუძლებელს - ის, რაზეც მხოლოდ ვოცნებობდით, რეალობად გვექცა. ჩვენ ეს კარგი თამაშითა და მატჩისთვის ბრწყინვალე მომზადებით მივაღწიეთ. ნიგერიელთა სიჩქარეს ჩვენი კოზირები დავუპირისპირეთ“,* - განაცხადა შვეიცარიის ნაკრების თავკაცმა **დენი რიზერმა.**

ესპანეთის ნაკრებმა მე-3 ადგილისთვის მატჩში **ისკოს** გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა კოლუმბია. ჩემპიონატის ბომბარდირები 5 გატანილი გოლით ესპანელი **ბორხა გონსალესი,** შვეიცარიელი სეფეროვიჩი, ნიგერიელი **სანი ემანუელი** და ურუგვაელი **სებასტიან გალიეგოსი** გახდნენ, მაგრამ მეტი საგოლე პასის წყალობით, „ადიდასის“ დაწესებული პრიზი გონსალესს გადასცეს. ნიგერიელი ფორვარდი კი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, ემანუელიმ ხმათა 30 პროცენტი მიიღო, მეორე ადგილზე შვეიცარიელი **ნასიმ ბენ ხალიფა** გავიდა, მესამეზე - ნიგერიელი **რამონ აზეეზი.** „ფეერ პლეის“ პრიზი კი მასპინძელთა გუნდს გადაეცა.

ამბები

სამხ. აფრიკა 2010

### ქალაქის სიამაყე და სიხარული

პირველი სტადიონი, რომლის მშენებლობაც დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამხრეთ აფრიკაში, პორტ ელიზაბეტის „ნელსონ მანდელა ბეია“. ამ უქმეებზე სტადიონი პირველად შეივსო ფანებით და გაისმა ვუვუზელას ხმა - სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა იაპონიას ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა.

სტადიონით ქალაქის მაცხოვრებლები ამაყები დარჩნენ. მაგალითად, ტექნიკოსი **ვუიანი სკოკვანა** თავისი ნაკრების საქომაგოდ მეუღლესთან და 11 თვის გოგონასთან ერთად მივიდა. მთელი ოჯახი შეიარაღებული იყო ვუვუზელათი, პატარა გოგონაც კი. როგორც ჩანს, ევროპელი ფანები უნდა შეეგუონ მათთვის მომაბეზრებელ ვუვუზელას, აქ ამის გარეშე სტადიონზე მისვლაც კი ვერ წარმოუდგენიათ: *„დიდებული სტადიონი აუშენებიათ, ძალიან მომწონს აქაური აურა. სახელიც კარგად არის შერჩეული. ახლა უკვე მიმაჩნია, რომ ჩვენი ქალაქი მზად არის მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ“,* - განაცხადა სკოკვანამ.

ახალი სტადიონი 46 ათასზე ოდნავ მეტ მაყურებელს იტევს. „ნელსონ მანდელა ბეიზე“ მსოფლიოს ჩემპიონატის 8 მატჩი გაიმართება, მათ შორის შეხვედრა მე-3 ადგილისათვის.

### კიდევ ერთი ტრაგედია

გუშინ გულის შეტევით გარდაიცვალა ბერძნული „ლარისას“ მექსიკელი ლეგიონერი **ანტონიო დე ნიგრისი.** ამის შესახებ, თავად კლუბის წარმომადგენლებმა განაცხადეს. გარდაცვლილს ლარისას ჰოსპიტალში ჩაუტარდება ექსპერტიზა სიკვდილის ზუსტი მიზეზის დასადგენად. 31 წლის ფეხბურთელი „ლარისაში“ ამ ზაფხულს გადავიდა თურქული „ანკარაგიუჯუდან“, ახალ კლუბში მან 7-ჯერ მოასწრო თამაში. დე ნიგრისი საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი იყო, მას ერთი სეზონი ესპანურ „ვილიარეალში“ აქვს გატარებული, 2001 წლიდან 2008 წლის ჩათვლით დე ნიგრისმა 16-ჯერ მოირგო მექსიკის ნაკრების მაისურა და 4 გოლი გაიტანა.

ინგლისი-ბრაზილიის შემდეგ

# ვინ ვის დასცინა და... მეკარე


კარლოს დუნგა


ფაბიო კაპელო

საოცრად თავმოყვარე, უფრო სწორად კი, ამპარტავანი ხალხია ინგლისელები. აი, კიდევ ერთი ნათელი მაგალითი: მოგეხსენებათ, ყატარის დედაქალაქ დოჰაში ინგლისისა და ბრაზილიის ნაკრებებმა ამხანაგური შეხვედრა გამართეს, რომელიც სამხრეთამერიკელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა. როგორც თავად ინგლისის ნაკრების წარმომადგენლებმა, კაპიტანმა **უეინ რუნიმ** და მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** განაცხადეს, ბრაზილიელები მათ სჯობდნენ. რუნიმ ასეთი რამაც კი თქვა:

*„ბრაზილიამ გვაჯობა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. მათ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ. ისინი ისე თამაშობენ, რომ მთელი 90 წუთის განმავლობაში იძულებული ხარ, ბურთს სდიო“.*

მაგრამ საკმარისი იყო, დაახლოებით იგივე აზრი ინგლისელთა ბანაკის წარმომადგენელს კი არა, ბრაზილიელს, კერძოდ პენტაკამპეონთა მწვრთნელ **დუნგას** წამოსცდენოდა, რომ ბრიტანეთში ეს მწარე გაკენწვლად მიიღეს. კერძოდ, დუნგამ ბრძანა:

*„ინგლისელებს შეუძლიათ ჩვენგან დრიბლინგი ისწავლონ. ვფიქრობ, ფიზიკური მომზადების გარდა ბევრი რამ ტექნიკაზეა დამოკიდებული. ჩემს ფეხბურთელებს ხშირად ვეუბნები, რომ მართალია, ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ისინი ნაკრებში ჯერ კიდევ დიდხანს ითამაშებენ, მაგრამ სინამდვილეში ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა და ამიტომ, თითოეული წამით უნდა ისიამოვნო. ჩვენთან შეხვედრაში ინგლისელები თერთმეტი კაცით თავს იცავდნენ“.*

დუნგას ამ გამონათქვამს, მაგალითად, გაზეთმა „სანმა“ ასეთი შესავალი დაურთო: ბრაზილიელთა ბოსმა დუნგამ ინგლისს წიხლი დააჭირა. მან თქვა, ბოდიში, მაგრამ თქვენ დრიბლინგით გაპამპულებული ადამიანების ჯგუფივით თამაშობდითო.

ვინ უფრო თქვა ასეთი რამ, დუნგამ თუ რუნიმ, თავად განსაჯეთ, თუმცა მეტოქე გუნდის მწვრთნელი გამარჯვების შემდეგ დიპლომატიის ნორმებს თუნდაც სულ ოდნავაც რომ არღვევს და ამბობს, თქვენ ჩვენგან სწავლა გმართებთო, რასაკვირველია, სასიამოვნო მოსასმენი არ არის.

დუნგამ, რომლის გუნდიც დღეისათვის ესპანეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ტოტალიზატორებში მუნდიალზე გამარჯვების მთავარ ფავორიტად ითვლება, **რობინიოს** გამოძახების ამბავიც განმარტა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელებმა ნაკრებში „მანჩესტერ სიტის“ ჯერაც მოუშუშებელი ფორვარდი რობინიო იხმეს, რასაც ისტლენდელთა მხრიდან პროტესტი მოჰყვა. უფრო სწორად, „სიტიმ“ ფეხბურთელი შეკრებაზე გაუშვა - რათა შეკრებისთვის გამოყოფილი დღეები ნაკრების გარემოში გაეტარებინა - მაგრამ როდესაც ბრაზილიელებმა თქვეს, რომ შესაძლოა თავდამსხმელი მოედანზეც შეეშვათ, აღშფოთდნენ.

დუნგა: *„ომი არც ერთი ევროპული კლუბისთვის არ გამომიცხადებია. უბრალოდ, ხალხი მართალია, როდესაც ამბობს, რომ ბრაზილიის ნაკრები უფრო ორგანიზებული უნდა იყოს. სწორედ ეს გავაკეთეთ ჩვენც“.*

ამასობაში კი, დოჰადან დაბრუნებულ ფაბიო კაპელოს მეკარის კრიზისი უდგას. კერძოდ, 39 წლის **დევიდ ჯეიმსს** მთელი სეზონის განმავლობაში მუხლის პრობლემა აწუხებს, არა და არ უჩანს პირი ფეხბურთელის გამოჯანმრთელებას, რის გამოც მწვრთნელი იძულებულია განაცხადოს, რომ თუ ჯეიმსის საქმეები სასიკეთოდ არ წავა, იგი „პორტსმუთის“ გოლკიპერს სამხრეთ აფრიკაში არ წაიყვანს. ყატარში, ბრაზილიელების წინააღმდეგ, ინგლისელთა კარში „მანჩესტერ იუნაიტედის“ სათადარიგო მეკარე **ბენ ფოსტერი** იდგა, რომელსაც საკმაოდ რთული საათ-ნახევარი გადახდა. შეხვედრის შემდეგ, ფოსტერს ქარაგმულად ისიც კი უთქვამს, ნაკრებში ადგილის შესანარჩუნებლად იქნებ „იუნაიტედიდან“ სადმე, სხვა გუნდში გადავიდეო. ეს ბუნებრივიცაა, შენი ქვეყნის ეროვნული გუნდის კარი მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ განდონ, სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პრაქტიკა საკმარისი არ არის.

დავუბრუნდეთ ჯეიმსს, რომელმაც გასულ ზაფხულს პატარა ოპერაციის გაკეთება ამჯობინა. თან იცოდა, რომ მომავალში მხარზეც ექნებოდა კიდევ ერთი ოპერაცია გასაკეთებელი, რაც მას 6-10 კვირით დატოვებდა უფეხბურთოდ, მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და გაირკვა, რომ მთავარი პრობლემა მუხლი ყოფილა. კაპელოს თქმით, გოლკიპერი ისეთ დღეშია, რომ „პორტსმუთის“ თამაშების შემდეგ ორი დღის განმავლობაში უბრალოდ ვერ ვარჯიშობს. სწორედ ამიტომ არ წაიყვანეს ინგლისელებმა ვეტერანი დოჰაში.

*„ჩვენ დევიდ ჯეიმსს ველაპარაკეთ, - თქვა კაპელომ, - მას ყოველი შეხვედრის შემდეგ მეტი დრო სჭირდება ტკივილების დასაამებლად და ძალების აღსადგენად. სწორედ ამიტომ დავტოვეთ შინ. თუ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამოჯანმრთელდება, ჩვენთან ერთად იქნება, ხოლო თუ ვერა, იძულებულნი ვიქნებით სხვა გზას ვეწიოთ“.*

რაც შეეხება ბრაზილიასთან ფოსტერის თამაშს, ამ ამბავმა ინგლისში ბევრი მიმომხილველი გააოცა. ყველანი უფრო „ვესტ ჰემის“ გოლკიპერ **რობერტ გრინის** თამაშს ელოდნენ. თავად ფოსტერი ასე ამბობს:

*„დღეისთვის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მესამე გოლკიპერი გახლავართ, მაგრამ ნაკრებში მაინც მათამაშებენ. ეს, რაღაც ბედისწერას ჰგავს. არ მინდა ისე გამომივიდეს, თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლას ვეშურებოდე, მაგრამ... დავიცადოთ და ვნახოთ. ფეხბურთში ხომ იცით, ყველაფერი ხდება. ის, რომ „იუნაიტედში“ არ მათამაშებენ, ცხოვრებას ძალიან მირთულებს. არადა, რა გინდა ქნა? ჩვენთან, მანჩესტერში, კარს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, ედვინ ვან დერ სარი იცავს. შეუძლებელია, ასეთ სიტუაციაში მწვრთნელს კარზე დაუკაკუნო და უთხრა, რომ ის არ ვარგა და სჯობს მის ნაცვლად შენ გათამაშოს. თუმცა, როგორც ჩანს, მატჩებში მონაწილეობა ყოველთვის ყველაფერს არ წყვეტს. მე, ყველაფრის მიუხედავად, თავგადაკლული ვვარჯიშობ და ეტყობა ესეც ფასდება. ყოველ შემთხვევაში, ბრაზილიასთან ნაკრებში გამოძახებას ნამდვილად არ ველოდი“.*

სამომავლო გეგმები

# მოურინიოს ფეხბურთი ინგლისურია

**ჟოზე მოურინიო** ამტკიცებს, რომ მისი მომავალი მხოლოდ და მხოლოდ ინგლისურ ფეხბურთთან არის დაკავშირებული. არადა, მოგეხსენებათ, „ჩელსის“ ყოფილი თავკაცი მილანის „ინტერს“ ცუდად არ ხელმძღვანელობს: გასულ სეზონში „ნერაძური“ სერია A-ს ჩემპიონი გახდა, მიმდინარე ჩემპიონატის ცხრილში კი ხუთი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს ბოლო შვიდ წელიწადში, პორტუგალიელმა მწვრთნელმა სამ სხვადასხვა ქვეყანაში მოსინჯა ძალა და ხუთჯერ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მაგრამ მილნევებით გაუმაძღარმა „თაიმსის“ ჟურნალისტს ასე უთხრა:


ჟოზე მოურინიოს გული მაინც ინგლისისკენ მიუწევს

*„რაღაც საფუძვლიანის აშენება მინდა. რასაკვირველია, სერ ალექს ფერგიუსონის მსგავსად ერთ კლუბში ათწლეულობით გაჩერება რეალური არ არის, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემი კარიერის შემდეგი ფაზისთვის მზად ვარ. მომავალში სხვანაირი მიზნების დასახვა მსურს. „პორტუში“ ჩემი ამოცანა ჯილდოების მოგება და საზღვარგარეთ წასვლა იყო, „ჩელსიში“ კი ისტორიის შექმნა მინდოდა. ამასთან, ყოველთვის ვიცოდი, რომ „ჩელსის“ ინგლისელთათვის დამახასიათებელი სტაბილურობა აკლდა. თავი არასდროს მომიტყუებია. ყოველთვის ვხვდებოდი, როგორი პიროვნება იყო კლუბის მეპატრონე რომან აბრამოვიჩი და როგორი ხალხი ტრიალებდა მის გარშემო. აშკარა იყო, რომ ჩემთვის ეს ათწლიანი სამუშაო ვერ იქნებოდა“.*

შეგახსენებთ, რომ 56 წლის სპეციალისტმა „ჩელსი“ 2007 წელს დატოვა. მან დასძინა: *„ჩემი ახლანდელი კლუბი „ინტერი“ ძალიან მიყვარს და აქ სიამოვნებით ვუხელმძღვანელებდი სამომავლო პროექტებს. კაცმა რომ თქვას, ამას ვაკეთებ კიდეც, რადგან ეგოისტი არ ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ადრე თუ გვიან წავალ, ამ კლუბის მომავალზე ვზრუნავ - ვავითარებ ახალგაზრდული გუნდების სტრუქტურასა და პირველი გუნდის ასაკობრივ საფუძველს, მაგრამ საქმეს ძირფესვიანად რომ შევუდგე, საჩემო ქვეყანა ინგლისია. ჩემი ფეხბურთიც ინგლისური ფეხბურთი გახლავთ“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოხმაურება



ტრავმირებული ვან პერსი მოედნიდან გაჰყავთ...

# დაბრუნდება, მაგრამ როდის?

**რობინ ვან პერსი** იტალიასთან შეხვედრაში რომ დაშავდა, გაზეთებში სხვადასხვა ვერსია გამოითქვა. ერთ-ერთ ვერსიად თქვეს, რომ მყესების განყვეტა ჰოლანდიელს მხოლოდ სამ კვირას გამოატოვებინებდა, კოჭის გატეხა კი - მთელ სეზონს. ამგვარად, ყველანი, თავად ფეხბურთელისა და მისი ნაკრების თუ კლუბის, „არსენალის" მწვრთნელის **არსენ ვენგერის** ჩათვლით, დაძაბულები ელოდნენ დეტალური გამოკვლევის შედეგებს. საამისოდ ფეხბურთელი იტალიიდან მშობლიურ ჰოლანდიაში გადაფრინდა და ამსტერდამის „აკადემიურ სამედიცინო ცენტრში" მივიდა, სადაც სპორტული ტრავმატოლოგიის გამოცდილ სპეციალისტს, პროფესორ **კორნელის ნიკ ვან დიიკს** მიაკითხა და აი, გამოკვლევის შედეგიც: ვან პერსის მყესები აქვს განყვეტილი, მაგრამ... ნუ გაგიკვირდებათ და გაზეთებში კვლავ სხვადასხვა ვერსია იწერება. კერძოდ, ზოგი წერს, რომ ყველაზე უარესი ვარიანტი სწორედ ეს არის - მყესების განყვეტა ნიშნავს, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელი მთელ დარჩენილ სეზონს გამოტოვებს, ზოგის ინფორმაციით კი ვან პერსი „მეთოფეებს" მაქსიმუმ ექვს კვირაში დაუბრუნდება. ექვს კვირასთან დაკავშირებით: ყველა გაზეთი ერთსულოვნად გვარწმუნებს, რომ ამ დროში გამოჯანმრთელებაზე არც მეტი, არც ნაკლები თავად თავდამსხმელი ლაპარაკობს, თან დაბეჯითებით. „როგორც ჩანს ოთხიდან ექვს კვირამდე მომიწევს მკურნალობა", - ასე განუცხადებია ვან პერსის.

ვენგერი კი ამბობს: „ტრავმა ძალიან სერიოზულია, მაგრამ ვადა, რომლის მერეც ფეხბურთელი დაგვიბრუნდება, თითქოს მთლად საშინელი, არ არის". ვენგერი, რომელსაც დღეისათვის გუნდი პრემიერლიგის ცხრილში მეორე ადგილზე ჰყავს, იმედოვნებს, რომ ჰოლანდიელი ფორვარდის ტრავმის გამო ჩრდილოლონდონელთა გუნდს იგივე არ დაემართება, რაც ორი სეზონის წინ გახორვატებული ბრაზილიელის, **ედუარდოს** ტრავმის შემდეგ მოუვიდა. მოგეხსენებათ, ორი სეზონის წინ, კერძოდ კი 2008 წლის თებერვალში ედუარდომ ფეხი მოიტეხა, მოულოდნელად მის გარეშე დარჩენილი „არსენალი" კი პირველი ადგილიდან ჩამოვარდა და საბოლოოდ მესამეზე გავიდა.

ვინაიდან და რადგანაც „არსენალის" კიდევ ერთი თავდამსხმელი, **ნიკლას ბენდტნერი** დაშავებულია და საზარდულის ოპერაციის გამო ახალ წლამდე ვერ ითამაშებს, ინგლისური პრესა გამოთქვამს ვარაუდს, რომ როგორც კი სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, ვენგერი ახალ ფორვარდს შეიმატებს, თუმცა მთლად სარწმუნო არც ეს ვარაუდი უნდა იყოს. „ლელოს" მკითხველს ეხსომება, რომ ამასწინათ, ვენგერი ერთ-ერთ ინტერვიუში, „არსენალის" თავდამსხმელებს თვლიდა და ამბობდა, რომ ასეთი პოტენციალის მქონე გუნდს სატრანსფერო ბაზარზე არაფერი ესაქმება. კერძოდ, შეგახსენებთ, რომ ზაფხულზე „არსენალს" **სამირ ნასრი** დაუშავდა, მაგრამ ვენგერი მის სანაცვლოდ ახალი ფეხბურთელის საყიდლად ბაზარზე არ გავარდნილა. „მეთოფეთა" მწვრთნელი ამტკიცებდა, რომ შეტევაში სხვადასხვა ვარიანტით თამაშის საშუალება აქვს და რომელიმე ფეხბურთელის გამოკლების შემთხვევაში შეუძლია ახალი კი არ იყიდოს, უბრალოდ სისტემა გამოცვალოს.

გაზეთმა „სანმა" კი საინტერესო სტატისტიკა შემოგვთავაზა. მან შეგვახსენა, სერიოზულად როდის და რამდენჯერ დაშავდა ბოლო დროს ვან პერსი:

2006 წლის იანვარში, როდესაც ფეხბურთის ასოციაციის თასზე „კარდიფთან" მიღებული ტრავმის გამო ერთი თვე მკურნალობას მოუნდა; 2007 წლის იანვარში, როდესაც ტერფზე ძვლები დაემსხვრა და მთელი დარჩენილი სეზონი გამოტოვა; იმავე წლის ოქტომბერში, ნაკრებში კოჭი იღრძო და დეკემბრამდე მის დაამებას ელოდა, ხოლო დეკემბერში, მოედანზე რომ დაბრუნდა, მუხლმა შეახსენა თავი - ორი თვე ექიმებთან იჯდა.

საინტერესოა ასეთი სტატისტიკაც: 2004 წლიდან მოყოლებული, „არსენალმა" რობინ ვან პერსისთან ერთად 126 შეხვედრიდან 70 მოიგო, რაც მხოლოდ და მხოლოდ 56 პროცენტია. ვან პერსის გარეშე გამარჯვებათა საქმე ასეა: 75 მატჩიდან 46 - პროცენტებში 61 გამოდის. როდესაც ვან პერსი მოედანზეა, „არსენალს" საშუალოდ, ერთ შეხვედრაში 1,98 გოლი გააქვს, ხოლო, როდესაც არ არის - 1,96. ნეტავ რამეს თუ ნიშნავს ეს?

ილია ბაბუნაშვილი

გერმანიის ნაკრები

# უარი კლოზეს, ღორის გრიპის გამო!

## კოტ დ'ივუართან გერმანელები სამგლოვიარო ატმოსფეროში ითამაშებენ

გუშინწინ საფეხბურთო გერმანიამ **რობერტ ენკე** დაკრძალა, მაგრამ გლოვა გრძელდება და ბუნდესგუნდის მეკარის თვითმკვლელობა კიდევ დიდხანს იქნება გერმანული მედიის ერთ-ერთი მთავარი თემა. როგორც იცით, ბუნდესნაკრებს შაბათს ჩილესთან ამხანაგურად უნდა ეთამაშა, მაგრამ ენკეს თვითმკვლელობის გამო ეს მატჩი არ ჩატარდა. ოთხშაბათს **იოახიმ ლიოვის** გუნდი გელზენკირხენში კოტ დ'ივუარს მასპინძლობს და ბუნდესგუნდი ამ თამაშს ნაღდად ველარ გადადებდა.

*„რობერტ ენკეს ტრაგედიამ გერმანიის ნაკრები კიდევ უფრო შეკრა და შემართა. დიახ, ჩვენ ვითამაშებთ კოტ დ'ივუართან, რადგან ყველა აცნობიერებს, რომ ეს აუცილებელია. დარწმუნებულები ვართ, რომ არც თვითონ რობერტი მოისურვებდა ორივე თამაშის გადადებას. აზრი ფეხბურთელებსაც ვკითხეთ და ისინიც იმ აზრზე არიან, რომ ოთხშაბათს აუცილებლად უნდა ითამაშონ, გაიმარჯვონ და ეს გამარჯვება რობერტ ენკეს ხსოვნას მიუძღვნან,"* - განუცხადა ბუნდესგუნდის მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** „ბილდს".

გუშინწინ ბუნდესნაკრები სრული შემადგენლობით ენკეს დაკრძალვას დაესწრო, რის შემდეგაც გუნდმა დიუსელდორფისკენ აიღო გეზი, სადაც ოთხშაბათის მატჩისთვის მზადებას შეუდგა და უკვე დღეს პირველ სრულყოფილ ვარჯიშს ჩაატარებს. თუმცა ფაქტია, რომ ამ დღეებში ფეხბურთი მაინც მეორეხარისხოვანი იქნება. „შალკეს" სტადიონზე, მატჩის დაწყებამდე ენკეს ვიდეორგოლს და მისი კარიერის ფოტოკოლაჟს აჩვენებენ - გერმანიის ნაკრები ფაქტობრივად სამგლოვიარო სიტუაციაში ითამაშებს. სხვა სანაკრებო მატჩებისგან განსხვავებით, „არენა აუფ შალკეზე" ხმამაღალი მუსიკა არ ჩაირთვება, სტადიონზე არ დაიშვებიან საყვირიანი გულშემატკივრები და ა.შ.

გადაწყვეტილია ისიც, რომ კოტ დ'ივუართან გერმანიის ნაკრების მეკარეს პირველნომრიანი ფორმა არ ეცმევა. ცნობილია, რომ ბუნდესგუნდის კარი შალკელმა **მანუელ ნოიერმა** უნდა დაიცვას, მეორე ტაიმში კი ბრემენელმა **ტიმ ვიზემ** უნდა ითამაშოს, რადგან მას ჩილესთან 90 წუთი უნდა ესასპარეზა. დაგეგმილია სხვა სიმბოლური ქმედებებიც. მაგალითად, არსებობს იდეა, რომ ყველა გერმანელ ფეხბურთელს ნომრის ზემოთ ენკე ეწეროს და ა.შ.

დიდი შანსია, რომ გერმანიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდეს „ვერდერის" ნახევარმცველ **აარონ ჰანტს**, რომელსაც ლიოვმა თავის გუნდში პირველად უხმო. **მიროსლავ კლოზეს** თამაში შეუძლია, მაგრამ იოგიმ „ბაიერნის" თავდამსხმელის გამოძახება არ გარისკა. კლოზეს შვილებს ე.წ. „ღორის გრიპი" აქვთ და თვითონ მიროც კარანტინში იმყოფებოდა.

*„ჩვენ ვიცით, რომ მიროს ვირუსის არანაირი სიმპტომები არ აქვს, მაგრამ არ გვინდა, რომ ოდნავ მაინც გავრისკოთ. ამიტომაც, კვირას მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, კლოზე სახლში დარჩება,"* - უთხრა ბირჰოფმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. თებერვლის შემდეგ ბუნდესგუნდში პირველადაა გამოძახებული **შტეფან კისლინგი**, რომელიც კოტ დ'ივუართან, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება გამწესებული.

გოტფრიდ ლენცი



მირო კლოზეს შვილებს ეგრეთ წოდებული ღორის გრიპი აქვთ და გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა მისი გამოძახება ვერ გარისკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# გეკასი ბერლინში?

## შტუტგარტი კი თავდამსხმელს ბრაზილიაში ეძებს

ბერლინის „ჰერტას" გენერალური მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი** გამუდმებით იმაზე ფიქრობს, როგორ და რომელი ფეხბურთელებით გააძლიეროს გუნდი, რათა ბერლინელები მეორე ბუნდესლიგაში არ დაქვეითდნენ. „ჰერტას" პირველ რიგში მაღალი კლასის თავდამსხმელი სჭირდება. წინა ხაზში საჭიროებს გაძლიერებას ასევე კრიზისში მყოფი „შტუტგარტიც" და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, შვაბებმა მიზანი ბრაზილიისკენ მიმართეს.

„ჰერტა" ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა და თუ ზამთარში გუნდმა საკადრო ცვლილებები არ გაატარა, ეჭვი არავის ეპარება, რომ ბერლინელები მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდებიან. მენეჯერი პრეეტცი ახალ თავდამსხმელს ეძებს და რამდენიმე ვარიანტის მოსინჯვის შემდეგ, როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, „ლევერკუზენისა" და საბერძნეთის ნაკრების ფორვარდ **თეოფანის გეკასს** დაადგა თვალი. როგორც „ბერლინერ ცაითუნგი" წერს, პრეეტცი უკვე ესაუბრა „ლევერკუზენის" სპორტულ დირექტორ **რუდი ფიოლერს** და მას გეკასზე ჩამოუგდო სიტყვა. ხსენებული გამოცემა იმასაც წერს, რომ ფიოლერმა ბერძენი თავდამსხმელი სამ მილიონ ევროდ შეაფასა და რომ „ჰერტაც" მზად არის, ეს თანხა გადაიხადოს.

ხეირიან თავდამსხმელს ეძებს „შტუტგარტიც". ახლა უკვე ცხადზე უცხადესია, რომ **მარიო გომესის** შემცვლელად ნაყიდმა რუსმა ფორვარდმა **პაველ პოგრებნიაკმა** იმედები ვერ გაამართლა. გერმანული და ბრაზილიური პრესის ცნობით, შვაბები „ვასკო და გამას" გოლეადორ **ელტონს** უმიზნებენ, რომელმაც წინა სეზონში 16 გოლი გაიტანა. პოგრებნიაკთან ერთად, აბსოლუტურად უნიათოა რუმინელი **ჩიპრიან მარიკაც** და ისე გამოდის, რომ **მარკუს ბაბელის** გუნდს წინა ხაზი საერთოდ არ უვარგა.

### მუსა სისოკო ბაიერნშიო...

არსებული ვითარებით უკმაყოფილოები არიან „ბაიერნშიც". მიუნხენური გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან ვარდება და ბუნდესლიგაშიც ცუდად აქვს საქმე. სწორედ ამიტომ, ზამთარში გაძლიერებაზე რეკორდმაისტერიც ფიქრობს და როგორც „ბილდი" იტყობინება, მენეჯერმა **ული ჰიონესმა** მიზანი საფრანგეთისკენ მიმართა, საიდანაც „ტულუზის" 20 წლის ნახევარმცველ **მუსა სისოკოს** გადაბირება უნდა. „ბილდის" ინფორმაციით ბავარიელები ახალგაზრდა ნახევარმცველს ბოლო დროს ხშირად აკვირდებიან. სისოკოს „ტულუზთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს. ზაფხულში მისი შეძენა ინგლისურ „ტოტენჰემს" სურდა და „ტულუზს" 15 მილიონი ევროც შესთავაზა, მაგრამ ფრანგული კლუბისგან უარი მიიღო. სისოკოს ოქტომბერში საფრანგეთის ნაკრებში ჰქონდა დებიუტი.



თეოფანის გეკასი

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქუადრა აძურა

# იტალია სახეს არ დაკარგავს

## კასანოს გამო უკვე მოედანზეც შერბიან...

იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა მეტად მძიმე შეხვედრა ჩაატარა ჰოლანდიასთან და შედეგიც შესაბამისი მიიღო, ნულოვანი ფრე. მძიმეში იმას არ ვგულისხმობთ, რომ „აძურას“ ძლიერი მეტოქე ჰყავდა და იოლად ვერ გატეხა. ეს თავისთავად, მაგრამ მატჩი ამხანაგური იყო და შედეგს არც ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა - უბრალოდ, იტალიის ნაკრებმა ითამაშა პროგნოზირებადი, მეტოქისთვის იოლად წასაკითხი ფეხბურთი. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ მარჩელო ლიპი ფანტაზიორებს არ წყალობს და გუნდში მეტწილად მშრომელი ფეხბურთელები აჰყავს.



### კასანო კვლავ აქტუალურია

აგერ უკვე ორი დღეა იტალიური პრესა ზოგად პრობლებზე წერით არის დაკავებული და არა კონკრეტული შეხვედრის გარჩევით. ხარვეზი ბევრია და აღმოფხვრა სჭირდება, მაგრამ იქნებ ვითარების გამოსასწორებლად ეს არც არის საკმარისი და რაღაც უფრო მეტია შესაცვლელი. სწორედ ასე ფიქრობს **მარიო ფერი**. ალბათ იკითხავთ, ეგ ვინ-ლააო - მარიო გენუელი გულშემატკივარია, რომელიც ეს დღეებია მასმედიის ინტერესის სფეროშია მოქცეული. ფერიმ იტალია-ჰოლანდიის მატჩის მსვლელობისას ტრიბუნიდან მოედანზე გადახტომა მოახერხა და **მარჩელო ლიპისკენ** გაემართა, მის მაისურას შემდეგი წარწერა ამშვენებდა: „კასანო ნაკრებში“.

დასრულდა თუ არა შეხვედრა, ტელეკომპანია რაი-ს ჟურნალისტმა ლიპის ასეთი კითხვა დაუსვა: *„რას იტყვით ახალგაზრდა გულშემატკივრის საქციელზე, დაუჯერებთ მას?“* - ლიპიმ კონტრკითხვა დასვა: *„ვინ გულშემატკივარი, რაზე მეუბნებით?“*. ჟურნალისტმა მარჩელოს აუხსნა, რომ გულშემატკივარი მას კასანოს ნაკრებში გამოძახებისკენ მოუწოდებდა, ლიპიმ კი შემდეგი მიუგო: *„ხანდახან მგონია, რომ ჟურნალისტები მთლად დალაგებულები არ ხართ. ერთმანეთის წინააღმდეგ ორმა დიდმა გუნდმა ითამაშა, იტალია ჰოლანდიას ეპაექრა და ამ დროს, თქვენ ერთი ქომაგის საქციელზე მეკითხებით? - ვერაფერს გეტყვით, იმ დროს სათვალე მოხსნილი მქონდა და ნამდვილად არ დამინახავს, რა ეწერა მაისურზე. სიმართლე გითხრათ, არც დავინტერესებულვარ“.*

მარიო ფერი საპირისპიროს ამტკიცებს და შემდეგს აცხადებს: *„მეგობრებს ვუთხარი, რომ პესკარაში ჩასვლას და მოედანზე შევარდნას ვაპირებდი. არ დამიჯერეს, მეუბნებოდნენ, ვერ გაბედავო, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე იყო. გეგმაში მქონდა, რომ სადღაც მეოცე წუთისთვის განმეხორციელებინა ჩანაფიქრი, მაგრამ თამაში დაიწყო თუ არა, მივხვდი, რომ მოედანზე გადახტომის ჩინებული შანსი მეძლეოდა - მეც აღარ დავახანე და ლიპის მიმართულებით გავიქეცი. მარჩელომ დამინახა და ისე დაკვირვებით მიყურებდა, რომ დარწმუნებული ვარ, წარწერა წაიკითხა. ასე რომ, როდესაც ამბობს, ვერაფერი დავინახეო, ცრუობს“.*

აი ასეა, 22 წლის მარიო ფერი მაესტროსთან ჩაება პოლემიკაში და თავის სიმართლეს ამტკიცებს: *„რატომ მოვიქეცი ასე? - მიზეზი მარტივია, გული შემტკივა ჩვენს ნაკრებზე და გულხელდაკრეფილი ვერ ვუყურებ იმას, რომ „აძურას“ თამაში მატჩიდან მატჩამდე უფერული ხდება. სწორხაზოვან ფეხბურთს ვთამაშობთ, ფეხბურთელებს იმპროვიზაციის უნარი არ გააჩნიათ და ამ დროს, უარს ვამბობთ ანტონიო კასანოზე, ნამდვილ ფანტაზიორზე. თუ გვინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებას მივაღწიოთ, კასანო აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს „აძურას“.*

### იტალია სახეს არ დაკარგავს

სხვათა შორის, ეს თემა ქართული ფეხბურთისთვისაც აქტუალურია, რადგან საუბარი ნატურალიზებულ ფეხბურთელებზე გვექნება. ამას წინათ, **მაურო სარატეს** ძმის, რომელიც ამავდროულად მისი პირადი აგენტიც გახლავთ, სიტყვები გავაცანით. აგენტის თქმით, ორიოდე თვის წინ მას ფედერკალჩოს წარმომადგენელი დაუკავშირდა და მაუროს იტალიის ნაკრებში მიწვევის თაობაზე ჩამოუგდო სიტყვა. მეტიც, პირდაპირ გვითხრეს, სურვილის შემთხვევაში უახლოეს შეხვედრაში სარატეს **მარჩელო ლიპი** გამოიძახებსო. ეს ამბავი ჟურნალისტებმა უმალ აიტაცეს და ერთი ამბავი ატეხეს. ბუნებრივია, თავისი სიტყვა უნდა ეთქვა ფედერკალჩოს და აგერ პრეზიდენტის, **ჯანკარლო აბეტეს** სიტყვებიც:

*„სარატეს ძმას, აგენტს, თუ არ აქვს მნიშვნელობა ვის, ვურჩევდი, რომ ასეთი აბსურდული ინფორმაციები აღარ გაავრცელოს. მაუროსთვის რომ ვინმეს იტალიის ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობა შეეთავაზებინა, ეს პირველ რიგში მე მეცოდინებოდა. ოფიციალურ პირს მისთვის ნამდვილად არ დაურეკავს და თუ ვინმემ იმაყირა, ეს ჩვენი პრობლემა არ არის. არ გეგონოთ გაცხარებული ვიყო, უბრალოდ მაკვირვებს, თუ რაში სჭირდება ხალხს ასეთი ცრუ ინფორმაციების გავრცელება. სარატე ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მისი გაიტალიელება აზრადაც არ მომსვლია“.*

აბეტემ ეს თემა კიდევ უფრო განავრცო: *„ფეხბურთელის ნატურალიზებასთან დაკავშირებით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციას განსაკუთრებული მიდგომა აქვს. იტალიურ ფეხბურთს, მათ შორის ეროვნულ ნაკრებს, თავისი სახე აქვს, რომელიც არ უნდა დავკარგოთ. ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, კარგი თაობა მოდის და არ არის იმის საჭიროება, რომ ვინც კი სერია A-ში თავს გამოიჩენს, „აძურაში“ გამოვიძახოთ. სულ რომ გვიჭირდეს, არ მიმაჩნია სწორად ყველანაირი საფუძვლის გარეშე, უცხოელ ფეხბურთელს ცისფერი მაისურა მოვარგოთ. ბუნებრივია, მე არ ვარ დისკრიმინაციის მომხრე და ვემორჩილები იტალიის კონსტიტუციას - ანუ, ადამიანი, რომელიც ჩვენი კანომდებლობის თანახმად, იღებს იტალიის პასპორტს, აქვს უფლება ითამაშოს ქვეყნის სახელით. მაგრამ, მეორე მხრივ, გამორიცხულია, რაც არ უნდა ძლიერი მოთამაშე იყოს, პასპორტი ხელოვნური, დაჩქარებული გზით მივცეთ და შემდეგ „აძურაში“ გამოვიძახოთ“.*

### ლიპის მემკვიდრე

იტალიურ პრესაში კიდევ არაერთი საინტერესო თემა წამოიწია, მათ შორის მარჩელო ლიპის მემკვიდრის საკითხი. რამდენიმე გაზეთმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მაესტროს **ჩეზარე პრანდელი** შეცვლის. 2010 წლის მუნდიალის შემდეგ ლიპი პოსტს დატოვებს და „აძურას“ სკამიც ვაკანტური გახდება. ვინ შეცვლის მას? - ექსპერტთა უმეტესობა უპირატესობას სწორედ „ფიორენტინას“ თავკაცს ანიჭებს. ჰოლნადიასთან გამართული პაექრობის შემდეგ, ჟურნალისტმა **ალბერტო ჯილარდინო** დაიმარტოხელა და ასეთი კითხვა დაუსვა: *„მუნდიალის შემდეგ იტალიის ნაკრებს შესაძლოა პრანდელი ჩაუდგეს სათავეში, მხარს დაუჭერთ მის კანდიდატურას“? - ჯილარდინო: „რა თქმა უნდა. ამის შესახებ მართლაც ბევრს ლაპარაკობენ და ეს ძალიან მახარებს. ჩემი აზრით, პრანდელი შესანიშნავად მოერგება ნაკრებს და წარმატებებსაც მიაღწევს. თუმცა, იქამდე მასთან ერთად „ფიორენტინაში“ უნდა მოვიგო რაიმე ტიტული. ჩეზარემ უდიდესი შრომა გასწია კლუბში და ამას იმსახურებს“.*

მოკლედ, ლიპის თქმის არ იყოს, ამხელა მატჩი ჩატარდა, ჟურნალისტებს კი სულ სხვა თემები აინტერესებთ. ჯილაც ერთობ გაკვირვებული ჩანდა, როდესაც არა პაექრობაზე, არამედ რატომღაც ლიპის მემკვიდრეზე ალაპარაკეს.






ამბები

# სტორარი ჯანზეა

სეზონის სტარტზე „მილანის“ კარს **მარკო სტორარი** იცავდა და არცთუ ურიგოდ. ბევრისთვის მოულოდნელად მან პირველი კიპერის როლი მოირგო და არც აღარავის უთმობდა ადგილს. თუმცა, არ გაუმართლა, მძიმე ტრავმა მიიღო და მისი ადგილი **ნელსონ დიდამ** დაიკავა. იტალიური პრესის ცნობით, სტორარი უკვე გამოჯანმრთელდა და სრულფასოვან წვრთნებშია ჩართული. შესაბამისად, დიდი იმედი აქვს, რომ უკვე მომდევნო ტურში მოედანზე გასვლა მოუწევს:

*„ტრავმა სრულად მოვიშუშე და ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები. მსურს, რომ ფორმა რაც შეიძლება მალე აღვიდგინო და ძირითად შემადგენლობას დავუბრუნდე. ვგრძნობ, რომ ყველაფერი კარგად მიდის და წვრთნებისას აღარ ვიღლები. ვითამაშებ თუ არა „კალიარის“ წინააღმდეგ? - აბა, რა გითხრათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ მთავარ მწვრთნელზეა დამოკიდებული. იქამდე ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგები და დიდი იმედი მაქვს, რომ ლეონარდო არჩევანს ჩემზე შეაჩერებს“.*

# მაიკონი არსადაც არ მიდის




დუგლას მაიკონი

**დუგლას მაიკონის** შესახებ იტალიურ პრესაში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ხშირად წერენ, რომ ბრაზილიელს კლუბის გამოცვლა სურს და ამის გაკეთებას ამ ზამთარსვე აპირებს. თავად ფეხბურთელმა ეს ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ „ინტერში“ ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს:

*„არ დავმალავ, სეზონის წინ კლუბის გამოცვლაზე დავფიქრდი და წინადადებების განხილვაც დავიწყე. მაგრამ, შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი ადგილი „ინტერშია“. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, ყველაფერი მაკმაყოფილებს და რატომ უნდა შევიცვალო ნავსაყუდელი? ამიტომ, არსად წასვლას აღარ ვაპირებ. გავახანგრძლივებ თუ არა კონტრაქტს? - რადგან ვამბობ, რომ არსად წასვლას არ ვაპირებ, ე.ი. ახალი ხელშეკრულება აუცილებლად გაფორმდება“.*

მაიკონი რომ „ინტერში“ საჭირო ფეხბურთელია, ამაზე **ჟოზე მოურინიოს** სიტყვებიც მეტყველებს: *„თუ გვინდა, რომ ვიყოთ კონკურენტუნარიანნი, მაიკონი არ უნდა გავყიდოთ“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაიერნი




ჰამით ალთინთოფი ბაიერნიდან ალბათ წავა

# საით ჰამით, სამშობლოში?

## ვან ბომელს, ვან ბუიტენს და ბუტს მიუნხენში დარჩენა სურთ, მაგრამ...

სანაკრებო პაუზამ მიუნხენის „ბაიერნის" სულზე მოუსწრო, რადგან მიუნხენურ კლუბში საკმაოდ კრიტიკული ვითარება შეიქმნა, ორკვირიანი შესვენების გამო კი, მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** საკმარისად აქვს დრო იმისათვის, რომ გუნდში ვითარება დაარეგულიროს. თუმცა რეკორდმაისტერს უახლოეს მომავალში მშვიდი დღეები არ უწერია. თუნდაც იმიტომ, რომ ამ სეზონის ბოლოს „ბაიერნის" ექვს ფეხბურთელს კონტრაქტები უმთავრდება.

სათადარიგო მეკარე **მიხაელ რეინზინგი** (25 წლის), ძირითადი კიპერი **ჰანს-იორგ ბუტი** (35), დაცვის ბურჯი **დანიელ ვან ბუიტენი** (31), კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** (32), რეზერვისტები **ანდრეას გიორლიტცი** (27) და **ჰამით ალთინთოფი** (26) - აი, იმ მოთამაშეების ჩამონათვალი, რომლებსაც მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე კონტრაქტები უმთავრდებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლიათ, ზაფხულში მიუნხენი ყოველგვარი საზღაურის გარეშე დატოვონ. „ბაიერნის" ხელმძღვანელებს არც ერთ მათგანთან მოლაპარაკება არ გაუმართავთ.

განსაკუთრებით საინტერესოა ალთინთოფის შემთხვევა. თურქეთის ნაკრების ნახევარმცველი უკმაყოფილოა იმით, რომ ვან გაალი მას სათადარიგოთა სკამს ახეხინებს. მართალია, მიუნხენური გრანდის შეფებს ჰამითი ძალიან უყვართ, რადგან ეს უკანასკნელი როცა თამაშობს, თავს არასდროს ზოგავს და რეკორდმაისტერში ერთ-ერთი ყველაზე მონდომებული ფეხბურთელია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თურქი ნახევარმცველი მიუნხენში არ დარჩება. მას მშობლიური გრანდები, „გალათასარაი" და „ფენერბაჰჩე" ეპატიჟებიან.

ექვს ფეხბურთელს კონტრაქტი ეწურება, მაგრამ „ბაიერნის" ბოსები სიმშვიდეს ინარჩუნებენ და როგორც „ბილდი" წერს, მენეჯერ **ული ჰიონესს** და ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** მოთამაშეებთან გასაუბრება იანვარში აქვთ გადაწყვეტილი. მანამდე კი ამ თემის წამოწევა არ სურთ. არადა, იანვარი ის თვეა, როცა ეს ფეხბურთელები სხვა კლუბებისგან მიიღებენ წინადადებებს.

ბუტს, ვან ბუიტენსა და ვან ბომელს „ბაიერნში" დარჩენა სურთ, მაგრამ ამ ეტაპზე უცნობია შეფების პოზიცია. გიორლიტცს „ბაიერნიდან" წასვლა ზამთარშივე სურს, რადგან ვან გაალი მას საერთოდ არ ენდობა, რენზინგს კი მაქსიმუმ ზაფხულში, რადგან ერთ დროს **ოლივერ კანის** შემცვლელად დასახელებული მეკარეც დარწმუნდა, რომ მას მიუნხენში მომავალი არ აქვს.

ცხოვრება გრძელდება

# აბა, შენ იცი, ფლო!

## ფლორიან ფრომლოვიტცს რთული მისია ხვდა: მან ენკე უნდა შეცვალოს



ფლორიან ფრომლოვიტცი

**„ჰანოვერის"** ფეხბურთელებს, **თომას ვესტფალს, არნოლდ ბრუგინკს, ჰანო ბალიტშს, ირჟი შტაინერს, სტივენ ჩერუნდოლოსა** და **ალტინ ლალას** კვირას უმძიმესი მისია დაეკისრათ: სწორედ მათ გმოიტანეს სტადიონიდან გარდაცვლილი **რობერტ ენკეს** სასახლე. *„ავტობუსში, გასახდელში, სავარჯიშო მოედანსა თუ სტადიონზე - რობერტი უკვე ყველგან გვაკლია და ჯერ არ ვიცით, როგორ უნდა ვიყოთ მის გარეშე,"* - აღნიშნა დასაფლავების შემდეგ ყველაზე გამოცდილმა ჰანოვერელმა ირჟი შტაინერმა.

მაგრამ ცხოვრება გრძელდება და მიუხედავად ყველაფრისა, ფეხბურთელებიც ხვდებიან, რომ ჩვეულებრივ ყოველდღიურობას უნდა დაუბრუნდნენ, თუმცა „ჰანოვერში" ყველა აღიარებს, რომ გუნდში სამგლოვიარო ვითარება კიდევ დიდხანს იქნება. გუშინ „წითლებმა" ცოტათი ნაივარჯიშეს, მაგრამ ამას სრულყოფილ ვარჯიშს ვერ დავარქმევთ. იყო საუბარი იმის შესახებ, რომ შეიძლებოდა, შაბათს დაგეგმილი კალენდარული მატჩი „შალკესთან" გადადებულიყო, მაგრამ გუნდის სპორტული დირექტორი **იორგ შმადტკე** ამბობს, რომ მატჩი დაგეგმილ დროს ჩატარდება.

ჰანოვერელებს 5 დღის განმავლობაში არ უვარჯიშიათ, თუ არ ჩავთვლით **იან როზენტალის**, ბალიტშისა და შტაინერის მსუბუქ სირბილს ხუთშაბათს და იმას, რომ შტაინერმა პარასკევს მარტომ ივარჯიშა. ყველაზე რთული მისია კი მაინც გუნდის აწ უკვე პირველ მეკარე **ფლორიან ფრომლოვიტცს** აკისრია, რომელიც ენკეს შემცვლელი იყო. ამიერიდან „ჰანოვერის" კარში სწორედ ფრომლოვიტცი უნდა ჩადგეს.

*„ფლოს სპეციალური პროგრამით ვარჯიში არ სჭირდება. ვფიქრობ, ის მზად არის იმისთვის, რომ ასეთ მძიმე სიტუაციაში ბუნდესლიგაში ითამაშოს. არ გვინდა, რომ ზედმეტი სტრესი ჰქონდეს. ფლორიანი ბუნდესლიგისთვის მზად არის,* - განუცხადა „კიკერს" 23 წლის ფრომლოვიტცის მენეჯერმა და მეგობარმა **მიხაელ სერმა** და იქვე დასძინა, - *ფლორიანს ენკესთან ძალიან კარგი, ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, რაც მას კიდევ უფრო აძლიერებს და მოტივაციას მატებს."*

ფლორიან ფრომლოვიტცს ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს, მაგრამ არასტაბილურ მეკარედ მიიჩნევა - შეუძლია, ერთ თამაშში სასწაულები აკეთოს, მეორე შეხვედრაში კი კატასტროფული შეცდომები დაუშვას...

თავდამსხმელი კრიზისში

# შვედური გამოცანა: მარკუს როზენბერგი

## თავდამსხმელი, რომელსაც 15 მარტის მერე გოლი არ გაუტანია...

ბუნდესლიგის მოყვარულებო, რამდენად კარგი მახსოვრობა გაქვთ? შეგიძლიათ, პასუხი გასცეთ ამ კითხვას: როდის გაიტანა „ვერდერის" თავდამსხმელმა **მარკუს როზენბერგმა** ბოლოს გოლი ოფიციალურ მატჩში? დაგვეთანხმებით, რთული გასახსენებელია და რომც ეძებოთ, დიდხანს მოგიწევთ არქივში ქექვა. არ გაწვალებთ: ბრემენული კლუბის შვედმა თავდამსხმელმა (ეს სიტყვა მასთან მიმართებაში, შეგვიძლია, ბრჭყალებში ჩავსვათ) უკანასკნელი გოლი 15 მარტს გაიტანა და სხვათა შორის, დუბლი შეასრულა - ბუნდესლიგაში, „შტუტგარტთან" 4:0-ზე მოგებულ მატჩში.

მიმდინარე სეზონში როზენბერგი არაფრად ვარგა. ბუნდესლიგაში ხუთ თამაშში მიიღო მონაწილეობა, ერთხელ გერმანიის თასზე ითამაშა და სამჯერ ევროსარბიელზე. არც ერთი გოლი - ასეთია „როზის" მონაგარი და რაც მისთვის ყველაზე სავალალოა, როზენბერგის საქმე უკან-უკან მიდის. აგერ, „ბოხუმთან" მატჩში, „ვერდერის" მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** საშინელ ფორმაში მყოფი თავდამსხმელი საერთოდ განაცხადს მიღმა დატოვა, რადგან მანამდე, ვენაში შეცვლაზე რომ ათამაშა, როზენბერგმა უბრალოდ ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა: არც ერთი ორთაბრძოლა არ მოუგია, აღარაფერს ვამბობთ საგოლე პასის გაკეთებაზე, ან სულაც გოლის გატანაზე. შედეგად, შააფმა რამდენიმე დღის შემდეგ, გერმანიის თასზე, ქვედალიგელ „ზტ. პაულისთან" განაცხადში მის ნაცვლად ახალგაზრდა ფორვარდი **ტორსტენ იორლი** ათამაშა.

მარკუს როზენბერგი მშვიდი და გაწონასწორებული პიროვნებაა, მაგრამ აქ კი აფეთქდა და განაცხადა, რომ წარმოდგენა არ აქვს, რატომ დატოვეს განაცხადს მიღმა. როზენბერგი თვითკრიტიკული არ არის, სამაგიეროდ, მას კრიტიკის ქარცეცხლში გუნდის შეფი **კლაუს ალოფსი** ატარებს, რომელიც ამბობს, შვედი თავდამსხმელი არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჯერ განაცხადში, მერე კი სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დაიბრუნოსო. *„იყო დრო, როცა მარკუსი სულ სხვანაირად თამაშობდა. ჩვენ სწორედ ის როზენბერგი გვჭირდება,"* - აცხადებს „ვერდერის" შეფი.

მართლაც: როზენბერგი სულ სხვა ტიპი იყო, როცა 2007 წლის იანვარში „ვერდერში" პირველად გამოჩნდა. ბრემენელებმა მაშინ ამსტერდამის „აიაქსს" მის სანაცვლოდ 3 მილიონი ევრო გადაუხადეს. მისთვის საუკეთესო სეზონიც სწორედ 2007/2008 წლებისა იყო, როცა ბუნდესლიგის 30 შეხვედრაში 14 გოლის გატანა მოახერხა. მარკუსს საერთო ჯამშიც არ აქვს მაინცდამაინც საშინელი კვოტა: 29 გოლი 78 მატჩში (უარესებიც ვიცით) და 6 გოლი გერმანიის თასის 9 შეხვედრაში. აი, ევროსარბიელზე კი საშინელ დღეშია: მხოლოდ და მხოლოდ 2 გოლი ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის 29 მატჩში.

მიუხედავად ყველაფრისა, ბრემენში ჯერ კიდევ აქვთ იმის იმედი, რომ როზენბერგი ძველებურ ფორმას დაიბრუნებს და ათამაშდება. ალოფსი, როგორც ყოფილი თავდამსხმელი და თავდამსხმელების ექსპერტი, შვედისგან მეტ მონდომებას ითხოვს. ფაქტია, რომ თუ მარკუსმა არ მოინდომა, „ვერდერთან" გამოთხოვება მოუწევს. დღეისათვის **კლაუდიო პისაროს** და **მარკო მარინს** ძირითად შემადგენლობაში ადგილი განაღდებული აქვთ. სათადარიგოთა სკამზე ზის უაღრესად მონდომებული **უგო ალმეიდა**, რომელსაც შააფმა გვერდით ნიჭიერი იორლიც მიუსვა. როზენბერგი კი განაცხადშიც კი ველარ ხვდება და თუ პროგრესი არ დაეტყო, ზამთარში ბრემენიდან აბარგება მოუწევს, რადგან ასეთი თავდამსხმელისთვის ხელფასის ხდა, ფულის წყალში გადაყრას ნიშნავს...



ვერდერისა და შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი მარკუს როზენბერგი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სიტი: 22 მილიონი სუბოტიჩისთვის!

## შეუძლია კი დორტმუნდს ასეთ წინადადებაზე უარის თქმა?

როგორც ბრიტანული გამოცემა „სანდი მირორი" იუწყება, „მანჩესტერ სიტის" დორტმუნდის „ბორუსიას" დაცვის ბურჯ **ნევენ სუბოტიჩის** შეძენა უნდა და მზადაა, ზამთარში ახალგაზრდა და უაღრესად პერსპექტიული უკანახაზელის სანაცვლოდ 22 მილიონი ევრო გადაიხადოს. როგორც ჩვენი ინგლისელი კოლეგები იუწყებიან, „სიტის" თავკაც **მარკ ჰიუზს** სერბი მცველის შეძენა ზამთარშივე სურს.

დორტმუნდელთა ბოსი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** არ დრკება, მანჩესტერელებს შეუძლიათ, წინადადებით მოგვმართონ, ეს მათი უფლებაა, მაგრამ ჩვენ არაერთხელ ვთქვით, რომ ნევენი არ იყიდება. თუმცა ეს პირველი კომენტარია. ისე კი, 22 მილიონი ევრო „ბორუსიასთვის" დიდი ფულია. მით უმეტეს, რომ შავ-ყვითლებმა თავის დროზე სუბოტიჩი „მაინციდან" 4.5 მილიონად იყიდეს. ასე რომ, თუ „სიტი" სერიოზულად ფიქრობს ნევენზე, დიდი შანსია, რომ „ბორუსიამ" 22 მილიონზე უარი ვერ თქვას. ასეთ შემთხვევაში სუბოტიჩი „დორტმუნდისთვის" ყველა დროის ყველაზე ძვირად გაყიდული ფეხბურთელი გახდება. სადღეისოდ კი ასეთი ყოფილი ფეხბურთელი **იორგ ჰაინრიხია**, რომელშიც ფლორენციის „ფიორენტინამ" 1998 წელს 25 მილიონი მარკა გადაიხადა. ხვალ სუბოტიჩი სერბეთის ნაკრებთან ერთად, ლონდონში სამხრეთ კორეის წინააღმდეგ იასპარეზებს და მანჩესტერელებს შეუძლიათ, ნევენს კიდევ ერთხელ დააკვირდნენ.

*„ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ „მანჩესტერ სიტი" დაინტერესდა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2014 წლამდე მაკავშირებს,"* - განუცხადა სუბოტიჩმა „ბილდს". ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ნევენის გადაბირება ლონდონის „არსენალსაც" უნდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა | ქველიაშვილის ხსოვნის ტურნირი

# მასპინძლებმა უკეთ ისროლეს

**ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირმა კვირა-ორშაბათს შოთა ქველიაშვილის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა პნევმატური პისტოლეტით სროლაში, რომელშიც მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანელებიც მონაწილეობდნენ ოთხი სპორტსმენით, საქართველოს კი თბილისელი და ქუთაისელი მსროლელები წარმოადგენდნენ.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო - ქალთა ტურნირში მთავარი ბრძოლები ტირის მასპინძელს, ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძესა და აზერბაიჯანელ სტუმრებს შორის გაიმართა. ჩვენს სახელოვან სპორტსმენს მეტოქეობას მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ირადა აშუმოვა** და მისი დისშვილი **ნიგიარ ბაგიროვა** უწევდნენ. თუმცა მოულოდნელად, ჩვენებურის მთავარი კონკურენტი არა ბევრად გამოცდილი დეიდა, არამედ ახალგაზრდა დისშვილი აღმოჩნდა. საბედნიეროდ, სალუქვაძე თავიდანვე მონოდების სიმაღლეზე იყო და ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა. მან საკვალიფიკაციო ტურნირი 385 ქულით მოიგო და ერთი ქულით გაუსწრო ბაგიროვას, ოთხით - აშუმოვას. საფინალო სროლების შემდეგ სალუქვაძემ 484,8 ქულა დააგროვა და ჩემპიონი გახდა. ბაგიროვამ 482,9-ით ვერცხლი მოიპოვა, აშუმოვას კი 480,0 დაუგროვდა და ბრინჯაო ერგო.

ვაჟთა ტურნირი სტუმარ **რუსლან ლუნიოვის** უპირატესობით წარიმართა - საკვალიფიკაციო ეტაპზე 576 ქულა დააგროვა და საკმაო უპირატესობით გაუსწრო მეორეზე 559 ქულით გასულ **ლევან ქადაგიძეს**. მესამეზე ჩვენი ნაკრების წევრი **დავით ახვლედიანი** გავიდა 558-ით. ლუნიოვი რომ ტურნირს მოიგებდა, საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგვე გაცხადდა და მართლაც ვერავინ შეეცილა, მაგრამ მეორე ადგილისთვის ბრძოლა საინტერესოდ წარიმართა. ფინალში ქადაგიძემ შესაძლებლობებზე სუსტად ისროლა, რითაც კარგად ისარგებლა ახვლედიანმა და ვერცხლი მოიპოვა, ქადაგიძე კი მესამეზე დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ლუნიოვი წინა წლებშიც სტუმრობდა ჩვენს ტურნირს და სამშობლოში მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა.

ახალგაზრდებში სტუმართაგან მხოლოდ ერთადერთი გოგო გამოდიოდა, რომელიც პირველად ისროდა უცხოეთში. ის უფრო გამოცდილების მისაღებად ჩამოიყვანეს და გასაკვირი არაა, სუსტად რომ ისროლა. შედეგად, აქ ვაჟებშიც და გოგოებშიც ყველა მედალი მასპინძლებმა დაისაკუთრეს. ვაჟებში 561 ქულით თბილისელმა **გიორგი ბერიშვილმა** გაიმარჯვა, ვერცხლი 554 ქულით ქუთაისელმა **შოთა გირგვლიანმა** მოიპოვა, მესამეზე კი თბილისელი **გიორგი კაკალაშვილი** გავიდა 551 ქულით.

საინტერესოდ წარიმართა პაექრობა გოგოებში - **თეონა იაშვილმა** და **ლია ხაჩიძემ** 360-360 ქულა დააგროვეს, მაგრამ ბოლო სერიაში ნაჩვენები უკეთესი შედეგის გამო ოქრო იაშვილს ერგო. ბრინჯაო 354 ქულით **ანა გაგელაძემ** მოიპოვა.





ახალგაზრდების შედეგებით თუ ვაჟების მაჩვენებლებით ნინო სალუქვაძე კმაყოფილია - თითქმის ყველა მათგანმა საკუთარი შედეგი გააუმჯობესა. ეს იმ ფონზე, როცა ტურნირებში ასპარეზობა იშვიათად უწევთ და თან სპორტის ამ სახეობაშიც არც ისე დიდი ხანია, ვარჯიშობენ. მაგალითად, ლია ხაჩიძეს აქამდე უცხოეთში ერთადერთხელ უასპარეზია, თუმცა უკვე შეასრულა ის ნორმატივი, რაც სალიცენზიო შეჯიბრებებში გამოსვლის უფლებას აძლევს.

ირაკლი თაბაძე

სპორტული ცეკვები

# თბილისი ოქროს სანმისის მაძიებლებს დაემშვიდობა

თერთმეტი ქვეყნის 250 წყვილი მონაწილეობდა სპორტული ცეკვების (ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **თენგიზ გაჩეჩილაძე**) საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზი მასპინძლობდა. საგულისხმოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ „ოქროს სანმისის" მაძიებელთა შორის პირველად გამოჩნდნენ ლატვიის, ლიტვის, სლოვენიისა და სლოვაკეთის წარმომადგენლები, რომელთა ასპარეზობამაც ტურნირი საინტერესო და უფრო დაძაბული გახადა. განსაკუთრებით ეს ითქმის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატზე, სადაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე უკრაინელები — **მაქსიმ ლეტიუშკინი** და **კატერინა იოვიკი** ავიდნენ. მათ მცირედით ჩამორჩნენ **გენადი ცინკევიჩი** და **მზია ორველაშვილი** (საქართველო). მესამე ადგილი სომხებს — **ალბერტ აკოფიანსა** და **ქსენია იუზვას** ხვდათ. ლათინურამერიკული ცეკვების ღია საერთაშორისო ტურნირში ტოლი არ ჰყავდათ უცხოელებს. პირველობა უკრაინელთა დუეტს (**ლეტიუშკინი-იოვიკი**) ერგო, მეორე-მესამე ადგილებზე ისრაელის მოცეკვავეები — **შამრიელ დავიდოვი-ოლგა ჩუპილოვა** და **ვლადიმირ მარტინოვი-საროტ კონიკოვა** გავიდნენ. სამაგიეროდ, ევროპული ცეკვები ჩვენებურთა უპირატესობით წარიმართა. საპრიზო ადგილები აქ ასე განაწილდა:

**1. გენადი ცინკევიჩი-მზია ორველაშვილი, 2. ლევან ახვლედიანი-მარი ბეჟიაშვილი, 3. გიორგი გაჩეჩილაძე-სალომე ჭაჭუა.**

ახალგაზრდებში პირველი სამი ადგილიც საქართველოს მოცეკვავეებმა დაიკავეს: **1. სერგო წივწივაძე-ლიკა ცნობილაძე, 2. ოთარ ფოლადაშვილი-ანი კირაკოსიანი, 3. დიმა ხეთაგუროვი-რუსუდან ომიაძე.**

„ოქროს სანმისის" პროგრამით წლეულს პირველად გაიმართა შეჯიბრებები პროფესიონალ მოცეკვავეთა შორის. ევროპულ ცეკვებში პირველობა არავის დაუთმეს ბალტიისპირელებმა — **გატის სეველსმა** და **ელენა დანჩენკომ** (ლატვია), რომლებიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. მეორე საფეხურზეც უცხოელები აღმოჩნდნენ — **ნიკიტა სუხორუკოვი** და **ელვირა გოლდკინი** (ისრაელი), **ლევან ახვლედიანი** და **მარი ბეჟიაშვილი** (საქართველო) ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდნენ.

ლათინურამერიკულ ცეკვებშიც სტუმრებმა გვაჯობეს - მთავარი პრიზი **ვასილი მარჩენკოვმა და ელენა სკრიპნიჩენკომ** (რუსეთი) დაისაკუთრეს. მეორე-მესამე ადგილებზე ქართველთა წყვილები გავიდნენ: **გიორგი გაჩეჩილაძე და სალომე ჭაჭუა, ლევან ახვლედიანი და მარი ბეჟიაშვილი.**

ვაჟა დანელია

ფიგურული ციგურაობა



ოთარ ჯაფარიძე და ელისონ რიდი

# ჯაფარიძე და რიდი: წყვილი ამბავი

ამერიკულ საიტზე skatetoday გამოჩნდა ჩვენთვის ნაცნობი სახელები: **ოთარ ჯაფარიძე და ელისონ რიდი.** სწორედ ჩვენს ფიგურულ მოციგურავეებს ეძღვნება ეს პატარა სტატია.

„მსოფლიო საციგურაო ასპარეზზე გამოჩნდა რიდების ოჯახის მესამე წევრი, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებში ასპარეზობს.

ელისონ რიდის უფროსი და-ძმა – ჯეტი და კრისი – იაპონიის სახელით გამოდიან, მათ ხომ დედა იაპონელი ჰყავთ. ეს 15 წლის გოგონა ამ ცოტა ხნის წინათ შეუწყვილდა ქართველ ფიგურისტს ოთარ ჯაფარიძეს და ეს დუეტი საქართველოს სახელით ასპარეზობს.

ამ ახალმა წყვილმა სექტემბერში, ობერსდორფის სალიცენზიო ტურნირში ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა და რიდს შანსი მიეცა, თავის დედმამიშვილებს გაეჯიბროს.

ოთარ ჯაფარიძე: – საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაცია მოხარულია, რომ ჰყავს მოცეკვავეთა წყვილი. მას ხომ ადრე ძირითადად მხოლოდ ერთეულები ჰყავდა, სულ ახლო წარსულში რამდენიმე ოლიმპიადის მონაწილე **ვახტანგ მურვანიძე** და ჩვენი ნაკრების ამჟამინდელი ლიდერი **ელენე გედევანიშვილი,** რომელმაც პირველმა მოიპოვა ვანკუვერის ოლიმპიადის საგზური.

ელისონ რიდი: – 8 ივნისს შემისრულდა 15 წელი და მე უკვე შემიძლია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.

ოთარ ჯაფარიძე: – იმედი მაქვს, მხოლოდ მონაწილეობას არ დავჯერდებით და უფრო წინაც წავალთ. ოლიმპიური თამაშების შემდეგ ბევრი წყვილი დაანებებს თავს აქტიურ სპორტს და გაგვიჩნდება შანსი, საუკეთესოთა შორის დავიკავოთ ადგილი.

ოთარ ჯაფარიძემ 7 წლისამ დაიწყო ციგურაობა, მისი მშობლები მოციგურავეები არიან და პატარა ოთო მათ კვალს გაჰყვა. იგი 15 წლამდე ერთეულებში გამოდიოდა, მერე კი ცეკვებში გადაინაცვლა. რამდენიმე პარტნიორი ჰყავდა, რომლებთან ერთადაც მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატებში მონაწილეობდა: **მარინა შელცინა** (2004 წელს XXI ადგილი), **ეკატერინა ზაიკინა** (2006 წელს XXI ადგილი, 2007 წელს XVI ადგილი) და **იზაბელა ტობიასი** (2008 წელს XIV ადგილი).

ელისონ რიდმა 3 წლისამ დაიწყო ციგურაობა.

ელისონ რიდი: – დედაჩემი გამოდიოდა სპორტულ წყვილებში, ჩემი და-ძმა კი ცეკვავდა. ასე რომ, მე ლამის დაბადებიდან ყინულზე ვარ. ერთეულებში დავიწყე, მაგრამ ყოველთვის მიტაცებდა ყინულზე ცეკვა, მეც ხომ ჩემი და-ძმის მსგავსად მინდოდა მეცეკვა. ყოველთვის ვბაძავდი მათ და მიხარია, რომ ისინი ჩემი ერთგული დამრიგებლები არიან.

რიდი მხოლოდ ყინულზე კი არ ცეკვავდა...

ელისონ რიდი: – 5 წლის ასაკიდან ნიუ ჯერსის ბალეტში ვმონაწილეობ და ახლაც სიამოვნებით დავდივარ ბროდვეის საცეკვაო ცენტრში.

ჩვენი წყვილი 2009 წლის მაისში შედგა. მუდამ პარტნიორის ძებნაში ვიყავი. ორიოდე წლის წინაც ვცადე, გამეჩინა მეწყვილე, მაგრამ მაშინ ძალიან დაბალი ვიყავი. სიმაღლეში ოდნავ რომ მოვიმატე, გადავწყვიტე, საქმეს სერიოზულად მოვკიდებოდი.

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ევგენი პლატოვი** ცეკვებში მწვრთნელიცაა და ქორეოგრაფიც.

ოთარ ჯაფარიძე: – როცა პირველად ჩამოვედი შტატებში, ევგენისთან დავიწყე ვარჯიში, მერე ნიკოლაი მოროზოვის ჯგუფში გადავედი, სადაც იზაბელა ტობიასთან ერთად ვცეკვავდი, მაგრამ შემდეგ დავიშალეთ და სწორედ მაშინ გადავწყვიტე პლატოვთან დაბრუნება.

საქართველოში მხოლოდ ორი საციგურაო მოედანია, მაგრამ იმდენად პატარა, არასტანდარტული, რომ იქ მხოლოდ ბავშვები ოსტატდებიან, უფროსი ასაკის ფიგურისტებისთვის კი ვარჯიშის არანაირი საშუალება არ არის. ამიტომაც აღმოვჩნდი შტატებში. ამერიკა უნდა ამერჩია, ან კანადა და, როგორც ხედავთ, თქვენთან ვარჩიე.

მოცეკვავეები კვირაში ხუთ დღეს, 5-6 საათს ვარჯიშობენ ნიუ ჯერსიში. ყინულის გარდა კვირაში ორჯერ მათ აქვთ ქორეოგრაფიის და ფიზკულტურის გაკვეთილები.

ოთარ ჯაფარიძე: – ამ ზაფხულს დავამუშავეთ სავალდებულო პროგრამა, რომელიც მე ყოველთვის მომწონდა, არადა, ბევრს არ უყვარს. საქმე ისაა, რომ ამ პროგრამით ბევრს სწავლობ, ბევრს იძენ.

არც მე და არც ელისონს არასოდეს გვიცეკვია ოქროს ვალსი ან ტანგო. მიუხედავად იმისა, რომ ტანგოს ცეკვა ძნელია, დიდი სიამოვნებით ვსწავლობდით.

მოცეკვავეების დებიუტი აგვისტოში შედგა, მეორე ადგილი დაიკავეს ოქროს ვალსში, მესამე – სავალდებულო პროგრამაში. რიდს მანამდე არასოდეს ჰყოლია პარტნიორი და, საერთოდ, წლევანდელ აგვისტომდე არასოდეს მიუღია მონაწილეობა სპორტულ ცეკვებში ყინულზე.

ოთარ ჯაფარიძე: – ჩვენი ძირითადი პროგრამა ქართული ფოლკლორისგან შედგება. არ გვინდოდა, სხვა წყვილების მსგავსად ტრაფარეტული მუსიკის ფონზე გვეცეკვა. საქართველოში ცეკვა და სიმღერა ოდითგანვე პრიორიტეტულია.

ელისონ რიდი: – ჩვენი საცეკვაო მუსიკა სუხიშვილების ნაციონალური ბალეტის რეპერტუარიდან ავიღეთ, პროგრამის პირველი ნაწილი „ბუკნალარისგან" შედგება, მეორე – „ილოურისგან".

ოთარ ჯაფარიძე: – ამხანაგმა მუსიკალური სიდი მომცა, ძალიან მომეწონა და გადავიწერე. ევგენი პლატოვსაც მოეწონა და გადავწყვიტეთ, ამ მუსიკის ფონზე გვეცეკვა.

ოთარ ჯაფარიძე თავად მასწავლებლობს, რათა თავისი გადასახადები დაფაროს.

ოთარ ჯაფარიძე: – მწვრთნელობა შარშან დავიწყე, როცა, ფაქტობრივად, უსაქმოდ ვიყავი, მეწყვილეს ხომ თითქმის ერთი წელიწადი ველოდი. ეს საქმე ძალიან მომწონს და კარიერის დამთავრების შემდეგ მწვრთნელობას ავირჩევ.

ელისონ რიდი: – მე 9 ელასში ვარ და კოლეჯში მინდა ჩავაბარო, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია, რა განხრით წავიდე. სანამ შევძლებ, ყინულზე ვიცეკვებ. მიყვარს კინო და ცხენზე ჯირითიც. ვმონაწილეობ კიდეც საცხენოსნო შეჯიბრებებში და იმედი მაქვს, მალე საკუთარი ცხენი მეყოლება.

რიდი უსმენს როკს და ყველაფერს თანამედროვეს.

ელისონ რიდი: – ფლეიტაზე ვუკრავდი, ახლა გიტარაზე დაკვრა მინდა ვისწავლო.

ოთარ ჯაფარიძე: – მე მეგობრებთან ყოფნა მიყვარს, ტელევიზორის ყურება და კომპიუტერული თამაშები: ფეხბურთი და ჩოგბურთი.

მოამზადა
გიორგი ყიფშიძემ

ჭადრაკი

# ჰორიზონტის ბუნდოვანი კონტურები

ანტალიაში, ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე გუშინ მე-5 ტურის პარტიები გათამაშდა. კვლავ ისახელა თავი 16-წლიანებში **მერი არაბიძემ,** რომელმაც შავი ფიგურებით თანამემამულე **ნაზი პაიკიძე** დაამარცხა და 5 ქულით უნგრელ **პეპ პეტრას** მძლეველ პერუელ **დეისი კორთან** ერთად გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. მე-6 ტურში სწორედ ისინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შავებით ქართველი საერთაშორისო ოსტატი ითამაშებს.

ლიდერებს მჭიდროდ მიუახლოვდა **დავით ბენიძე** (18-წლიანებში) რომელსაც 4 ქულა აქვს და თურქ **მუსტაფა ილმაზს,** რუსებს **ნიკოლაი შახს** და **მაქსიმ მატლაკოვს,** ესპანელ **ივან ლოპეს სალგადოს** ნახევარი ქულით ჩამორჩება.

14-წლიან გოგონებში მოწინავეთა შორისაა **ანა კუჭავა.** მან მე-5 ტურში კოლუმბიელი **მელისა გომესი** დაამარცხა და 4,5 ქულა მოაგროვა, ანუ იმდენივე, რამდენიც უნგრელმა **სუზანა კაბაიმ,** ებრაელმა **მარსელ ეფროიმსკიმ,** ფრანგმა **სოფი აფლალომ** და ყაზახმა **დინარა სადუაკასოვამ.** მე-6 ტურში მისი მეტოქე იქნება ამერიკელი **ელენა კაში.** დანარჩენ ქართველ მოჭადრაკეებზე გამოკვეთილად რამის თქმა ჯერ ნაადრევია, რადგან ზოგი გათამაშების ცხრილის შუაგულშია, ზოგიც მის სიახლოვეს ტრიალებს, თუმცა პირველობის დამთავრებამდე 6 ტურია დარჩენილი და ეკვატორიდან ჰორიზონტზე ყველაფერი ბუნდოვნად ჩანს — ამ მარათონში ყველაფერია მოსალოდნელი.

ახლა კი ქართველ მოჭადრაკეთა მე-5 ტურის შედეგებს გაგაცნობთ:

8-წლიანები: **დავით კამკია (2)-გუილამ თროუვე 1:0, ლუკა ობოლაძე (2)-იასპერ ბეუკემა 1:0, დაჩი დონლვანი (2)-იუან თენ დე 0:1; გვანცა მარგველაშვილი (3)-ულქარ ჰასანზადა 0,5:0,5, გოიალ თარინი-ელენე კოსტავა (3) 0,5:0,5.**

10-წლიანები: **ჯონი გოგოხია (2)-დენიზან თემიზგაკანი 0:1, ირაკლი ახვლედიანი (1,5)-ერვინ ლიევერტი 1:0, ანასტასია პონომარჩუკი-თეა ჭოლაძე (3) 0:1, ნინო დახუნდარიძე (3)-გულრუჰბეგინ ტოხირიონოვა 0:1, ვერონიკა შილიაევა-ნინო ჯალალონია (2) 0:1.**

12-წლიანები: **ბილელ ბელაჩენე-ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (2,5) 0,5:0,5, ირაკლი კელაპტრიშვილი (1,5)-სიაომენ ჩუ 0,5:0,5; ირინა ფედუკი-ნინო ხომერიკი (3) 1:0.**

14-წლიანები: **ირაკლი ბერაძე (3,5)-იორგე კორი 0:1, ანა კუჭავა (3)-მელისა გასტრილონ გომესი 1:0, ალექსანდრა ლაჩი-ანა შამათავა (3) 1:0, კატრინა კორბანი-ნანი უნაფქოშვილი (2) 0:1, ლიკა კობეშავიძე (2)-დრაგანა ნიკოლოვსკა 1:0.**

16-წლიანები: **მოჰამედ გამილი-ზურაბ ჯავახაძე (2,5) 0:1, გიორგი ნიკოლაშვილი (2)-ვალენტინ როსთგაარდი 1:0; ნაზი პაიკიძე (3,5)-მერი არაბიძე (4) 0:1, მარიამ დანელია (3)-ხაიალა აბდულა 1:0, ბაიარ ანუ-დეა ჩაკვეტაძე (1,5) 1:0, მარიამ სულამანიძე (1)-ჩუ ჰო 1:0.**

18-წლიანები: **სებასტიან ბოგნერი-დავით ბენიძე (3,5) 0,5:0,5; სოფიკო გურამიშვილი (2,5)-ლხამოურენ უუგანბაიარი 1:0, ანაბელ გუანდამურო-ქეთი წანალაშვილი (2) 0:1.**

ვაჟა დანელია

ძიუდო

კახეთის პირველობა

# კახელები გაემზადნენ

რამდენჯერმე გადადებული ძიუდოისტ ვაჟთა პირველობაც კარს მოგვადგა - 5-6 დეკემბერს ქუთაისშია დანიშნული და, იმედია, ნამდვილად ჩატარდება, კახელებმა კი თადარიგი დაიჭირეს და ამ უქმეებზე რეგიონის პირველობა ჩაატარეს. ახმეტაში გამართულ ამ ტურნირს უნდა გამოევლინა ის ფალავნები, რომლებიც იმერეთის სატახტო ქალაქში იჭიდავებენ. კახეთზე, როგორც ნამყვან რეგიონზე, წონაში 4-4 კვოტაა გამოყოფილი და ამდენად, ქუთაისში ყველა პრიზიორი იასპარეზებს.

**კვარცხლბეკი**

60 კგ: 1. შმაგი ლაგაზაური (ახმეტა), 2. ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი), 3. ვალერი ლაფერიშვილი (საგარეჯო), 3. ზურაბ ქიზიყელაშვილი (ახმეტა).

66 კგ: 1. დავით უძილაური (თელავი), 2. მიხეილ მეკოკიშვილი (საგარეჯო), 3. ზეზვა არაბული (სამივე-დედოფლისწყარო), 3. გიგა ტურაშვილი (გურჯაანი).

73 კგ: 1. ბექა ბაიდაური (ახმეტა), 2. გიგა ჩოხელი, 3. ნიკა ბაშარული, 3. მიხეილ ჩოხელი (სამივე-დედოფლისწყარო).

81 კგ: 1. ვახტანგ სარაჯიშვილი, 2. ნოდარ მებალიშვილი (ორივე-ახმეტა), 3. შალვა ნინიძე (გურჯაანი), 3. გიორგი არაბული (საგარეჯო).

90 კგ: 1. ზვიად გოგოჭური, 2. ზვიად ჯაშიაშვილი (ორივე-ახმეტა); 3. დევი გობეჯიშვილი (საგარეჯო), 3. ხვთისო მოსულიშვილი (დედოფლისწყარო).

100 კგ: 1. ვალერი იმერლიშვილი (თელავი), 2. მიხეილ ნარიმანიძე (დედოფლისწყარო), 3. ბექა წყალობაშვილი (ყვარელი); 3. დიმიტრი ტურაშვილი (საგარეჯო).

+100 კგ: 1. ზვიად ხანჯალიაშვილი (თელავი); 2. მირიან გონჯილაშვილი (ახმეტა); 3. ზაზა ბალაშვილი (თელავი), 3. ალექსანდრე ალავიძე (ახმეტა).

ირაკლი თავაძე

# ქართლელებმა საუკეთესოები შეარჩიეს

ორი დღის წინ შიდაქართლელმა ძიუდოისტებმა გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზში რეგიონის პირველობა გამართეს. ამ შეჯიბრებაზე გორელმა, ქარელელმა, კასპელმა და ხაშურელმა ფალავნებმა იასპარეზეს და შეარჩიეს გუნდი, რომელიც 5-6 დეკემბერს ქუთაისში გასამართ საქართველოს ჩემპიონატზე მათი რეგიონის სახელს დაიცავს. გაგაცნობთ საუკეთესო ოთხეულებს თითოეულ წონით კატეგორიაში:

60 კგ - **პაატა მერებაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ლაშა გიუნაშვილი, გოჩა ვარძელაშვილი;**

66 კგ - **გიორგი ტაბატაძე, გიორგი პაპუნაშვილი, სოსო ქოქაშვილი, თენგიზ ჭიჭინაძე;**

73 კგ - **ზვიად ბაზანდარაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, გიორგი დილებაშვილი, ანზორ ხმიადაშვილი;**

81 კგ - **იოსებ ჩილინდრიშვილი, დავით ჭაბუკაშვილი, ნოდარ კუდუხაშვილი, ამირან იანვარაშვილი;**

90 კგ - **პაატა ღვინიაშვილი, ჯუმბერ გიგაური, ილია ძამაშვილი, გიორგი ბუცხულაშვილი;**

100 კგ - **ამირან მაჭავარიანი, იასონ კარიბოვი, გიორგი ბოლოთაშვილი, ნოდარ მეტრეველი;**

+ 100 კგ - **სოსო მსხალაძე, ილია მაჭავარიანი, გიორგი კარიბოვი, არჩილ ასტამაძე.**

გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ ქართლელი ძიუდოისტები ქვეყნის ჩემპიონატზე ფავორიტთა შორის მოიაზრებიან და როგორც მწვრთნელები, ისე მათი შეგირდები ქუთაისში მხოლოდ მედლების მოპოვებას გეგმავენ. საინტერესოა, რომ შერჩეული 28 ფალავნიდან უმრავლესობა (25 სპორტსმენი) გორის ძიუდოს სკოლათა აღზრდილებია.

ვასილ ბალახაძე
გორიდან
ავტორის ფოტო

ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი

# ჟამი კიმონოების ჩალაგებისა

იტალიურმა ლინიანომ ვეტერან ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. იტალიაში საჭიდაოდ საკუთარი ხარჯებით სამი ჩვენებური გაემგზავრა - **თემურ გიორგაძე** (60), **ოთარ ქენქაძე** (90) და **ოთარ ყურაშვილი** (+100), თუმცა ტურნირში მხოლოდ ყურაშვილმა იჭიდავა.

ეტყობა, წლევანდელ სეზონში ჩვენს ძიუდოისტებს გახარება არ უწერიათ - გინდ პროფესიონალებში და გინდ ვეტერანებში. ლინიანოში ყურაშვილმაც ისევე წარუმატებლად იჭიდავა, როგორც ჩვენმა ნაკრებმა - წლევანდელ სეზონში. ჩვენებურმა ორი შეხვედრა გამართა და ორივე წმინდად წააგო: პირველ შეხვედრაში გერმანელ **იურგენ კუმპფელთან** დამარცხდა, მერე კი რუსეთის სახელით მოჭიდავე **ბორის ბერიძესთანაც** წააგო, რომელიც ჩემპიონიც გახდა. ბერიძე რუსეთის ნაკრების ერთადერთი ქართველი არ ყოფილა - ამავე წონაში, ოღონდ სხვა ასაკობრივ ჯგუფში მათი სახელით **ნოდარ მარშანიაც** ჭიდაობდა.

ირაკლი თავაძე

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და ნინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

კალათბურთი




სერია A

## მარკოიშვილი ბომბარდირია

**მანუჩარ მარკოიშვილმა** იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში პირადი რეკორდი დაამყარა – 17 ქულა ჩააგდო. მანუ თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო, ამიტომაც დაიმსახურა გაზეთ "ბასკეტნეტისგან" უმაღლესი შეფასება – 6.

მანუჩარმა 34 წუთში 6-დან 3 სამქულიანი და 7-დან 4 ორქულიანი გამოიყენა. 17 ქულა მარკოიშვილის საამსეზონო რეკორდია, თორემ სერია A-ში მას ყველაზე მეტი ქულა 2003 წელს "ბენეტონის" მაისურით აქვს ჩაგდებული. სხვათა შორის, ეს რეკორდი მის ამჟამინდელ კლუბ "კანტუსთან" დაამყარა – 19 ქულა მიითვალა. იტალიელი ჟურნალისტების თქმით, იგი ერთადერთი კანტუელი იყო, რომელიც მილანის "არმანის" ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა. მილანელებმა შინ "კანტუ" 73:53 დაამარცხეს.

ამ ნაგების შემდეგ მარკოიშვილისა და **სანიკიძის** გუნდები სატურნირო ცხრილში ისევ დამეზობლდნენ. ორივეს 4-4 მოგება და 2-2 ნაგება აქვს და მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ.

21 ნოემბერს "კანტუ" "ბიელას" უმასპინძლებს, "ვირტუსი" – "აველინოს".

ვაჟა სიმონიშვილი

ესპანეთი

## ელისი შეუჩერებელია

მას შემდეგ, რაც ნეკნის ტრავმა მოიშუშა, **ტაირონ ელისი** ქულას ქულაზე აგდებს და თამაშს თამაშზე იგებს. ამჯერად მისმა "კახასოლმა" სევილიაში "ბილბაო" დაამარცხა – 70:64.

ტაირონმა 31 წუთი ითამაშა და თითქმის უშეცდომოდ ისროლა: 1 ორქულიანი (ერთი მცდელობიდან), 6 საჯარიმო (6-დან) და 8-დან 4 სამქულიანი. საბოლოოდ 20 ქულას მან თითო ჩაჭრა-პასი წაუმატა.

"კახასოლს" 3 მოგება, 4 ნაგება აქვს და მეცხრე-მეცამეტე ადგილებს ინაწილებს.

ვაჟა სიმონიშვილი

ადრიატიკის ლიგა

## ბოისამ პელიოსს აჯობა

ადრიატიკის თასის მეშვიდე ტურში მეოთხე მატჩი მოიგო **ვლადიმერ ბოისას** "ზადარმა". ხორვატებმა სლოვენიური "ჰელიოსი" შინ 97:70 დაამარცხეს.

საინტერესოა, რომ ზადარელებმა სამ პერიოდში ქულათა ერთნაირი რაოდენობა მიითვალეს – პირველ, მეორე და მეოთხე ათწუთეულებში 28-28 ქულა ჩააგდეს.

ვლადიმერ ბოისა ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა, 21 წუთში 9 ქულა, 3 მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-პასი მიითვალა. ზადარელთა ლიდერობა **მიკა დაუნსმა** იკისრა – 15 ქულა ჩააგდო.

ვაჟა სიმონიშვილი

სუმო

# შენ თუ ამასაც ასწევ...

სტარტიც „ასეთი“ უნდა - წლის უკანასკნელ ბაშოზე ქალაქ ფუკუოკაში ქართველებმა სასტარტო 6 ორთაბრძოლიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. ერთადერთი გამარჯვების ავტორი 22 წლის მე-8 მაეგაშირა **ტოჩინოშინია (ლევან გორგაძე)**, რომელიც კვლავ ინარჩუნებს ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტის სახელს. ლევანმა სუპერტურნირის მეორე დღეს მე-7 მაეგაშირა **ჰომაშო** ცურიდაშის ილეთით დაამარცხა. ცურიდაში საამაყო ილეთია, ის სპორტსმენისგან არანორმალური ძალის გამოვლენას ითხოვს. ტოჩინოშინმა მეტოქის მავაშის ხელი შემოავლო, ჰომაშო ჰაერში აიტაცა და დოჰიოს მიღმა ზურგს უკან მოისროლა. ყურადღება მიაქციეთ, ლაპარაკია გამოცდილი მებრძოლის ჰაერში ატაცებაზე, რომელიც 149 კილოგრამს იწონის! ლევანს 1-1 ბალანსი გაუხდა.

**კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ჯიქურ შეუტია 189-კილოიან **მიაბიამას**, მაგრამ ძვრა ვერ უყო, ამასობაში გოლიათმა იაპონელმა ხერხი იხმარა, ქართველს გამოეცალა და დოჰიოზე წაქცევაში „დაეხმარა“. კოკაის 0-2 ბალანსი აქვს.

დღეს კუნძულ კიუშუს ბაშოზე ტოჩინოშინი კოკაის დამმარცხებელ მიაბიამაზე შურისძიებას შეეცდება. ალბათ, ძნელია ვივარაუდოთ, რომ ქართველი მიაბიამასაც ჰაერში აიტაცებს, ბოლოს და ბოლოს, ის ჰომაშოზე 40 კილოგრამით მეტს იწონის, თუმცა ჩვენ ნებისმიერი ხერხით მოგება დაგვაკმაყოფილებს. ტოჩინოშინი მიაბიამას სულ სამჯერ შეხვედრია (სამჯერვე წლეულს), ქართველმა ერთი შერკინება მოიგო, იაპონელმა - ორი. ასე რომ, ლევანს საკუთარი ანგარიშიც გასასწორებელი აქვს მთაკაცთან.

კოკაის მეტოქე კი ძველი „მეგობარი“, მე-11 მაეგაშირა **ტაკამისაკარია**. ისინი ერთმანეთს 19-ჯერ შეხვდნენ, კოკაი 11-ჯერ დარჩა გამარჯვებული.

ძურიოში დებიუტი ხეირიანი ვერ გამოუვიდა **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)**. გუშინ მან 34 წლის **კასუგანიშიკის** მარცხენა ხელით შეუტია, მაგრამ ვეტერანს კონტრილეთის საშუალება მისცა და მანაც ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა. ძურიოს დივიზიონში გაგამარუს ჯერ არ გაუმარჯვია, ქართველის მორიგი მეტოქე დივიზიონის მე-12 ნომერი **ჩიოჰაკუჰოა**, რომელსაც უმაღლეს დივიზიონშიც უასპარეზია.

დიდმა ჩემპიონებმა კვლავ იმარჯვეს - **ასაშორიუმ** პირველი მაეგაშირა **ამინიშიკი** გააძევა დოჰიოდან, ხოლო **ჰაკუჰომ** ანალოგიური ილეთით 170 სანტიმეტრი სიმაღლის **ტაკეკაძე** დაამარცხა. დაუმარცხებელი სამი ოძეკია: **ჩიოტაიკაი, კოტოოშუ** და **კოტომიცუკი**.



**II დღე**

**მნიშვნელოვანი ბრძოლები**

| მაკუუჩი | |
|---|---|
| ტოჩინოშინი (მ 8)-ჰომაშო (მ 7) | ცურიდაში |
| მიაბიამა (მ 9)-კოკაი (მ 10) | ჰატაკიკომი |
| ჰაკუჰო (ი)-ტაკეკაძე (მ 1) | იორიკირი |
| ასაშორიუ (ი)-ამინიშიკი (მ 1) | იორიკირი |
| კოტომიცუკი (ო)-ტოკიტენკუ (მ 2) | კატასუკაში |
| ჰარუმაფუჯი (ო)-გოეიდო (კ) | იორიტაოში |
| კისენოსატო (კ)-კაიო (ო) | სუკუინაგე |
| ჩიოტაიკაი (ო)-კაკურიუ (ს) | ოშიდაში |
| კოტოოშუ (ო)-ტოჩიოძანი (მ 3) | იორიკირი |
| კოტოშოგიკუ (მ 2)-ბარუტო (ს) | იორიკირი |
| **ძურიო** | |
| კასუგანიშიკი (ძ 13)-გაგამარუ (ძ 14) | უვატენაგე |
| ფუტენო (ძ 2)-ჰაკუბა (ძ 1) | იორიკირი |
| მასაცუკასა (ძ 1)-ტოჩინონადა (ძ 2) | იორიკირი |
| საგაცუკასა (ძ 4)-ტოიოძაკურა (ძ 3) | ოშიდაში |

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხრიდოლი

# წარმატება სამ სახეობაში

ტყიბულში გაიმართა საქართველოს თასის გათამაშება კუნფუში, რომელშიც საბრძოლო ხელოვნებათა სხვადასხვა სახეობის გუნდები მონაწილეობდნენ. ქართველთა გარდა, ასპარეზობაში ძალები აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებმაც მოსინჯეს. ტურნირზე ხრიდოლის გუნდიც გამოვიდა რვა მებრძოლით. ამათგან ორმა საქართველოს თასი მოიპოვა, ორი კი მესამე ადგილზე გავიდა.

ყველაზე გამოსარჩევი **რომან ხუნდაძის** წარმატებაა. წლეულს მან ერთბაშად სამ საბრძოლო სახეობაში მიაღწია წარმატებას - პირველი ადგილი დაიკავა ხრიდოლის ეროვნულ ჩემპიონატში, გახდა ხრიდოლის ფედერაციის ყოველწლიური ტურნირის, "იბერიის თასის" გამარჯვებული, პირველობა მოიპოვა ტყიბულის ტურნირზე, ხოლო 1995-96 წლებში დაბადებულ მოზარდ ძიუდოისტთა თბილისის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა.

ლევან ჯანეზაშვილი



ხრიდოლის გუნდი ტყიბულში

რაგბი

საქართველო-იტალია A

# იტალიას უდინეში დაუპირისპირდებით

საქართველოს ეროვნული ნაკრები გუშინ იტალიაში გაემგზავრა. ბორჯღალოსნები უდინეში სასტუმრო „ინტერნაციონალეში" დაბინავდებიან და იტალიის A ნაკრებთან მატჩისთვის მოემზადებიან. თამაში 20 ნოემბერს თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება.

არგენტინის A ნაკრებთან მატჩის შემდეგ გუნდს რვა მორაგბე დააკლდა. **გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, ლევან დათუნაშვილი, მამუკა გორგოძე, რეზო გიგაური, გია ლაბაძე** და **თედო ზიბზიბაძე** კლუბებს დაუბრუნდნენ. **მალხაზ ურჯუკაშვილმა** კი ფეხის კუნთი გაიწყვიტა.

**ტიმ ლეინმა** ამათ ნაცვლად **ვასილ კაკოვინი** (ბრივი), **დავით დადუნაშვილი** (პერიგო), **ჯაბა ბრეგვაძე** (ვისოლი ყოჩები), **დიმიტრი ბასილაია** (ლე ბუგე), **სიმონ მაისურაძე** (ვილერბანი), **ლაშა თავართქილაძე** (ფარული), **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლელო) და **ლაშა ხმალაძე** (ლელო) მიიწვია.

მატჩისთვის ემზადებიან იტალიელებიც. მათი გუნდი მთლიანად იტალიის ჩემპიონატში მოასპარეზე მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. იტალიის A ნაკრებმა გასულ უქმეებზე რუმინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 33:6 დაამარცხა. „სკუადრა აძურამ" მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), ვასილ კაკოვინი (ბრივი), დავით დადუნაშვილი (პერიგო), ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი ყოჩები), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).

მეორე ხაზი: ილია ზედგინიძე (კარკერენი), გიორგი ნემსაძე (მასი), რატი ურუშაძე (ესისეი).

მესამე ხაზი: დიმიტრი ბასილაია (ლე ბუგე), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ლაშა თავართქილაძე (ფარული), ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).

№10: ლაშა მალაღურაძე (ბეზიე).

№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), ლაშა ხმალაძე (ლელო)

№11-14: ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი).

№15: მერაბ კვირიკაშვილი.

### იტალია A

პირველი ხაზი: მიკელე რიძო (ბენეტონი), დავიდ გიაძონი (პარმა) ლორენცო ჩიტადინი (ბენეტონი), ტომაზო დაპიკე (რომა), მასიმილიანო რავალე (როვიგო).

მეორე ხაზი: ანტონიო პავანელო (ბენეტონი), ვალერიო ბარნაბო (რომა), პილინიო სკიამანა (ვიადანა).

მესამე ხაზი: ფრანჩესკო მინტო (პარმა), პოლ დერბიშირი (პადოვა), მანოა ვოსავა (პარმა), მანტვიდას ტვერაგა (პარმა),

№9: ფაბიო სემენზატო (ბენეტონი)

№10: რიკარდო ბოჩინო (როვიგო).

№12-13: ანდრეა პრატიკეტი (როვიგო), მიკელე სეპე (ვიადანა), ტომაზო რეატო (როვიგო).

№11-14: რობერტო კუარტაროლი (პარმა), ტომაზო ბენვენუტი (ბენეტონი), ედუარდო გორი (პრატო).

№15: პაოლო ბუზო (რომა), ენრიკო პატრიციო (პადოვა).

ბესიკ ჯანგავაძე

# კლოდ სორელი ნორჩ მორაგბეებთან

50 წლის იუბილეს დღეებში ქართული რაგბის თემს დიდი სტუმრიანობა ჰქონდა. მრავალთა შორის ერთ-ერთი რაგბის ფრანგი სპეციალისტი **კლოდ სორელია**, ვისი ხელმძღვანელობითაც საქართველოს ნაკრებმა პირველად გააღწია 2003 წლის მსოფლიო თასზე.

რაგბის უდიდეს ფორუმზე მოხვედრამ ოვალური ბურთით თამაში ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტად პოპულარული გახადა. ბევრმა შეიყვარა, გაითავისა და ცხოვრების გზაც დაუკავშირა. გაჩნდა ბავშვთა გუნდები.

ერთ-ერთი ასეთი გუნდია რაგბის კლუბი „თბილისი", რომელიც 1990 წელს სამედიცინო ინსტიტუტის გუნდის ბაზაზე შეიქმნა. გარკვეული მიზეზების გამო 1995 წლის სეზონის შემდეგ კლუბმა არსებობა შეწყვიტა. 2008 წელს კი კლუბის დამფუძნებლებმა **მიხეილ ბურძგლამ** და **მიხეილ რობიტაშვილმა** გუნდის ვეტერან მოთამაშეებთან ერთად კლუბის აღდგენა გადაწყვიტეს და აქცენტი ბავშვთა რაგბიზე გადაიტანეს.



სწორედ ამ კლუბის წევრი გახლავთ კლოდ სორელი, რომელიც ბავშვების ვარჯიშს საქართველოს უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დაესწრო და პატარებს ყველაზე ვაჟკაცურ თამაშთან ზიარება მიულოცა.

*„გილოცავთ, თქვენ უამრავი სპორტის სახეობიდან სწორედ რაგბი აირჩიეთ. რაგბი გუნდური თამაშია. ერთადერთია გუნდური თამაშებიდან, სადაც უშელავათო ორთაბრძოლებია. ამიტომ ყველამ უნდა იმეგობროთ, ერთმანეთს გვერდით დაუდგეთ. თანაგუნდელს რომ გაუჭირდება, საკუთარი ინტერესი უნდა დათმო და მიეხმარო. მხოლოდ ასეა შესაძლებელი წარმატების მიღწევა როგორც რაგბიში, ისე ცხოვრებაშიც.*

*თქვენ პატარა მორაგბეები ხართ. ჩვენი დიდი ოჯახის შვილები. იამაყეთ ამით და თავი არასდროს დახაროთ."*

*მიხეილ რობიტაშვილი, რაგბის კლუბ „თბილისის" პრეზიდენტი:*

*„საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული დარბაზის გარდა, ბავშვთა გუნდებს თემქასა და ნაძალადევში ვწვრთნით. კვირაში ერთხელ ყველას თავს ვუყრით და ერთად ვავარჯიშებთ, ვათამაშებთ. ასე იკვრება ერთ გუნდად და მეგობრდებიან სხვადასხვა უბნის ბავშვები.*

*ბავშვებთან საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობენ ისეთი მაღალი დონის სპეციალისტები, როგორებიც არიან მიხეილ ბურძგლა და ნოდარ რობიტაშვილი"*

ბავშვებს კლოდ სორელთან ერთად საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტი **ბიძინა გეგიძე**, ყოფილი გენერალური მდივანი **გია კუბლაშვილი** და რაგბის განვითარების მენეჯერი **გია ჭუმბურიძე** ეწვივნენ.

ბესიკ ჯანგავაძე

გახსენება



კოტე მახარაძე და ჯამლეტ ხუხაშვილი

# კოტემ დროს გაუსწრო და თაობებიც დააწინაურა

დღეს კოტე მახარაძეს დაბადებიდან 83 წელი შეუსრულდებოდა. ეროსი მანჯგალაძესთან ერთად კოტემ, როგორც სპორტულმა კომენტატორმა, წარუშლელი კვალი დატოვა ქართული და არა მხოლოდ ქართული სპორტის ისტორიაში. ის ერთადერთი იყო, საბჭოთა კავშირში მოკავშირე რესპუბლიკებიდან, რომელსაც მთელ საბჭოთა სივრცეში რეპორტაჟის გაძღოლის უფლებას აძლევდნენ, მათ შორის საერთაშორისო შეჯიბრებებიდან. ყველაზე და ყველაფერზე მაღლა მისი ნიჭიერება იდგა და იმიტომ. მეტიც, მან სპორტული კომენტატორის ხელოვნების თამასა ახალ სიმაღლეზე ასწია და ბოლომდე მხოლოდ ის იდგა ამ სიმაღლეზე.

სპორტს და ხელოვნებას თანაბარი გზნებით ემსახურებოდა. ხელოვნებიდან მოვიდა სპორტში და თან არტისტიზმის ის დოზა მოიტანა, რომელიც კიდევ უფრო გაალამაზებდა ხელოვნებასთან ისედაც წილნაყარ ფენომენს — სპორტს. კოტეს კომენტატორთა თაობა მოჰყვა და უნდა ითქვას, რომ ისინი დიდი ოსტატის ჩრდილში რომ არ მოექცნენ, ეს თვით მაესტროს დამსახურება იყო. ამასთან, ყველამ კარგად იცოდა, რომ კოტეს მიბაძვა შეუძლებელი იყო, უბრალოდ, ვერ მიჰბაძავდი და ამიტომაც. ახალმა თაობამ კლასიკოსის მაგალითზე ადვილად მიაგნო თავის ხელწერას. კოტე მახარაძე დიდი მასწავლებელი და სამაგალითო იყო თავისი ცხოვრებით, საქმისადმი დამოკიდებულებით, ადამიანებთან ურთიერთობით, სიტყვითაც და საქმითაც... არაერთხელ უთქვამს, რომ კომენტატორთა ახალ თაობაში ის ხედავდა ტრადიციების გონიერ გამგრძელებლებს.

არა მხოლოდ ფეხბურთი თუ კალათბურთი, ჭიდაობა ან სპორტის ცალკეული სახეობა, მისთვის ძვირფასი იყო ზოგადად ქართული სპორტი. კარგად ვიცი, როგორ გვქომაგობდა და გვამხნევებდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის თაოსნებს. რა დამავიწყებს 1994 წლის თებერვალს. დამოუკიდებელმა საქართველომ პირველად ნორვეგიის ქალაქ ლილეჰამერში იასპარეზა. იქ ზამთრის ოლიმპიადა ჩატარდა. გამგზავრებისას თბილისის აეროპორტში ბატონი კოტე გამოგვეცხადა. "მიემგზავრებით სადმე თუ ვინმეს აცილებთ?" - ვკითხე. — თქვენ გაცილებთ, ამასთან, თქვენთან ერთად მოვდივარ კიდეცო. მივხვდი, რაც იგულისხმა. საქართველო პირველად გადიოდა როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა ოლიმპიურ სარბიელზე და მოვალედ ჩათვალა თავი, გზა დაელოცა. სხვაგვარად არ შეეძლო. ეს მისი ცხოვრების წესი იყო.

დიდი პატრიოტი გახლდათ და გეხსომებათ, ვერ მოზომა თუ განგებ არ მოზომა, ანდა იმ წუთში ამაზე სულაც არ ფიქრობდა, როცა დიუსელდორფიდან რეპორტაჟისას დაუფარავად (ანდა რატომ უნდა დაეფარა) გაახმოვანა, თუ რას განიცდიდა იმ დროს დინამოელ ფეხბურთელთა და საერთოდ, ქართული ფეხბურთის უდიდესი წარმატებით აღტაცებული თბილისი და მთელი საქართველო. მოსკოვში დაბრუნებულს კი თურმე ახსნა-განმარტება დასჭირდა იმ „გადამეტებული" ემოციურობის გამო.

ჩვეული სიდინჯით კოტე ყველას უსმენდა, შენიშვნებს ითვალისწინებდა გულშემატკივრებისგანაც, ფეხბურთელებისგანაც, მწვრთნელებისგანაც და საერთოდ, სპორტის სპეციალისტებისგან თუ ჩვეულებრივი ადამიანებისგან. ეგ იყო, ზოგჯერ წყენანარევად იტყოდა: ფეხბურთელები კრიტიკას მტკივნეულად განიცდიან, მაგრამ, როცა ერეკლე მეფეს ვადარებ, მაშინ სჯერათ ჩემი და ერთხელაც არ იტყვიან, აჭარბებსო.

კოტემ დროს გაუსწრო და თაობებიც დააწინაურა. მისი ღვაწლით მადლიერი ადამიანები, დღეს 16 საათიდან პირდაპირ ეთერში რადიო „ჯაკოში" (ეს რადიოც მისი სახელის უკვდავსაყოფად შექმნა მისმა შეგირდმა და უმცროსმა მეგობარმა ჯამლეტ ხუხაშვილმა) რამდენიმე საათის განმავლობაში მსახიობები და ქართული სპორტის წარმომადგენლები, სპორტული ჟურნალისტები ილაპარაკებენ კოტე მახარაძის დამსახურებაზე.

დიახ, დღეს კოტე მახარაძეს 83 წელი შეუსრულდებოდა.

თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# წყვილებში ასეულს მივუახლოვდით

ზუსტად ისე მოხდა, როგორც გუშინ ვივარაუდეთ - **ანა ტატიშვილმა** თანამემამულე **ოქსანა კალაშნიკოვას** რეიტინგში 6 ქულით გადაუსწრო და საქართველოს პირველი ჩოგნობა ჩამოართვა. ანა 326 ქულით მსოფლიოს 177-ე ჩოგანია. ეს არ არის ანას საუკეთესო შედეგი კარიერაში, მარტში ის მსოფლიოს 150-ე ჩოგანი იყო. ოქსანას ისევ 320 ქულა დარჩა, რის გამოც მან სამი საფეხურით უკან დაიხია და 179-ე პოზიციაზეა. სხვები: 210 (-2) **მაკა ჩახნაშვილი** - 258 ქულა; 345 (-1) **სოფიო შაფათავა** - 115; 454 (-4) **მანანა შაფაქიძე** - 72; 473 (+20) **სოფიო ქვაცაბაია** - 66; 479 (-1) **თათია მიქაძე** - 63; 535 (-22) **ეკა გორგოძე** - 52; 1023 (-) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6; 1111 (-1) **ანა ჯიქია** - 3. ქვაცაბაია კარიერაში ასე მაღლა არასოდეს ყოფილა.

წყვილთა რეიტინგში ანა ტატიშვილმა 29 საფეხურით წაიწია და 546 ქულით მსოფლიოს 129-ე ჩოგანი გახდა. დიდი ხანია, ქართველი ასე ახლოს არ ყოფილა მსოფლიოს საუკეთესო ასეულთან, თუნდაც წყვილებში. ოქსანა კალაშნიკოვა 149-ე პოზიციაზეა, ხოლო მაკა ჩახნაშვილი - 181-ეზე. ვაჟთა რეიტინგში მხოლოდ **ნიკოლოზ ბასილაშვილს** გამოვყოფთ, რომელიც 48 ქულით მსოფლიოს 570-ე (+2) ჩოგანია.

ანამ ფინიქსის საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი $) ფინალში წყვილთა თანრიგის მატჩი დათმო - მან და **მარი-ივ პელეტიემ** (კანადა, 66 წყვილებში) პირველ ნომრად განთესილებთან, **შერონ ფიჩმენთან** (კანადა, 132) და **მაშონა ვაშინგტონთან** (აშშ, 104 წყვილებში) წააგეს - 6:4, 4:6, 8:10. ამით ქართველის 12-მატჩიანი მოგებათა სერია წყვილებში დასრულდა.

ფრანგულ ეკუორდრევიში (10 ათასი $) **ანა ჯიქიამ** შეძლო ძირითად ბადეში გაღწევა. ჩვენებურმა ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში **ჟეიდ სუვრინი** (საფრანგეთი) დაამარცხა - 6:4, 7:6 (7). ახლა ძირითად ტურნირში ანას მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი ბელგიელი **დავინია ლობინჟერია** (555).

ნიკოლოზ ნეფარიძე

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1

# გაიცანით მერსედეს გრან-პრი

## ბრაუნის ბაზაზე გერმანელები საქარხნო გუნდს შექმნიან

საავტომობილო გიგანტმა „მერსედესმა" გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მომავალ სეზონში საკუთარი გეგმები გაახმოვანა. ჟურნალისტების კითხვებს „მერსედეს-ბენცის" შეფი **დიტერ ცეტშე** და კომპანიის სპორტული დირექტორი **ნორბერტ ჰაუგი** პასუხობდნენ.

შტუტგარტში ოფიციალურად დადასტურდა ის, რაზეც ბოლოს რამდენიმე თვის განმავლობაში ლაპარაკობდნენ - კონცერნმა Daimler AG-მა და საინვესტიციო ჯგუფმა - Aabar Investments PJSC-მა შეიძინეს წლევანდელი სეზონის საუკეთესო გუნდის - „ბრაუნ გრან-პრის" აქციათა 75 პროცენტი. მომავალი წლიდან ამ საჯინიბოს სახელწოდება იქნება - „მერსედეს გრან-პრი" (Mercedes GP).

*„მომავალ წელს „მერსედესს" ფორმულა 1-ში საქარხნო გუნდი ეყოლება. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც „ბრაუნის" აქციათა 75 პროცენტი შევიძინეთ. ჩვენ ვაღიარებთ როს ბრაუნის გამოცდილებასა და დამსახურებებს და ის შეინარჩუნებს გუნდის ხელმძღვანელის პოსტს"*, - განაცხადა ცეტშემ.

გარდა ამისა, გერმანელებმა დაადასტურეს ბრიტანულ საჯინიბო „მაკლარენთან" თანამშრომლობის გაგრძელება. მართალია, McLaren Group-მა გამოისყიდა გუნდის აქციათა 40 პროცენტი, რომელიც Daimler AG-ს ეკუთვნოდა, მაგრამ მინიმუმ ექვსი წელი (ანუ 2015 წლის სეზონის ბოლომდე) „მერსედესი" ბრიტანულ გუნდს ძრავებით მოამარაგებს.

სხვადასხვა

სამთო-სათხილამურო სპორტი

### მოთხილამურეებში განხეთქილებაა

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIS) სანქციების გატარებას აპირებს ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიისა და შვეიცარიის წინააღმდეგ, რომლებმაც გასულ უიქ ენდზე ერთობლივი ძალისხმევით ჩაატარეს ტურნირი დახურულ არენაზე. ამ ღონისძიებას ენოდა - „ევროპის ჩემპიონატი დარბაზებისთვის" და მას საფრანგეთის აღმოსავლეთით Amneville Snowhall-ის გადახურულმა არენამ უმასპინძლა.

საერთაშორისო ფედერაციის საბჭომ გადაწყვიტა, სანქციები დაადოს ნახსენები ქვეყნის სათხილამურო ასოციაციებს, რომლებმაც თვითნებურად შექმნეს საკუთარი ევროპული ფედერაცია. ჯერჯერობით უცნობია, რა სასჯელს გამოიტანს FIS-ის სადისციპლინო კომისია.

მსოფლიოს თასი. ლევი. ფინეთი

სლალომი. კაცები

1. **რაინფრიდ ჰერბსტი** (ავსტრია) - 1:49.79 (56.42+53.37); 2. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 1:50.07 (56.49+53.58); 3. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 1:50.32 (56.35+53.97); 4. **მატიას ჰარგინი** (შვედ) - 1:50.34 (56.48+53.86); 5. **ჟულიან ლიზერუ** (საფ) - 1:50.70 (56.08+54.62); 6. **ლარს ელტონ მიური** (ნორ) - 1:50.77 (57.24+53.53); 6. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 1:50.77 (57.02+53.75).

სლალომი. ქალები

1. **მარია რიში** (გერ) - 1:48.71 (53.92+54.79); 2. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:48.79 (54.14+54.65); 3. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 1:49.87 (54.64+55.23); 4. **სუზან რიში** (გერ) - 1:50.04 (54.89+55.15); 5. **მიხაელა კირხგასერი** (ავსტრია) - 1:50.32 (54.88+55.44); 6. **მარლის შილდსი** (ავსტრია) - 1:50.35 (55.10+55.25).

ჩოგბურთი

### ფედერერის ახალი სპონსორი

შვეიცარიულმა ბანკმა Credit Suisse-მა 10-წლიანი კონტრაქტი გააფორმა მსოფლიოს პირველ ჩოგან **როჯერ ფედერერთან**. ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. როგორც განცხადებაში წერია, ბანკმა მნიშვნელოვანი თანხა შეიტანა (ამას ყოველწლიურად გააკეთებს) ჩოგბურთელის სახელობის ფონდში, რომელიც აფრიკაში უსახლკარო ბავშვებს ეხმარება.

ფონდის წარმომადგენელმა **დანიელა ჰესლერმა** არ დაასახელა ციფრი, რომელიც ფედერერის ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხა. შეგახსენებთ, რომ Credit Suisse შარშანდლამდე ფორმულა 1-ში ახორციელებდა ინვესტიციებს.

კალათბურთი

### რეალი ჰიუსტონის ცენტრს იმატებს

ბრიტანეთის ნაკრების ცენტრი **პოპს მენსა-ბონსუ** უახლოეს დღეებში, შესაძლოა, მადრიდის „რეალში" ჩაირიცხოს. 26 წლის კალათბურთელს „ჰიუსტონ როკეტსთან" არაგარანტირებული კონტრაქტი ჰქონდა, მაგრამ NBA-ის ამ კლუბის ხელმძღვანელობამ მენსა-ბონსუსთან გამოთხოვება გადაწყვიტა.

ცენტრალური თავდამსხმელი ესპანურ კლუბებში - „გრანადასა" და „ხუვენტუდში" გამოდიოდა, აგრეთვე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „ტორონტო რეპტორზისა" და „სან ანტონიო სპურსის" ღირსებას იცავდა.

ფორმულა 1

### მონტანი რენოს უმიზნებს

„სუპერ აგურის" ყოფილი პილოტი **ფრანკ მონტანი** მოლაპარაკებებს აწარმოებს „რენოსთან", 2010 წლის სეზონისთვის ამ საჯინიბოს ბოლიდით გამოსვლაზე. გასულ ჩემპიონატში **რომენ გროსჟანის** წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, 31 წლის მონტანის ფრანგულ გუნდში მოხვედრის შანსები მეტად მაღალი გახლავთ.

*„ასეთი შესაძლებლობა მართლაც არსებობს. ეს მრავალჯერ განვიხილეთ. ვნახოთ, საბოლოოდ რით დამთავრდება ყველაფერი. ჯერ ნაადრევია დასკვნების გაკეთება. არ მეგონა თუ „რენოს" პრეტენდენტთა რიცხვში აღმოვჩნდებოდი, მაგრამ ცხოვრებაში სიუპრიზები ხდება. გადაწყვეტილებას უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მიიღებენ"*, - ამბობს მონტანი Motorsport-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ჰოკეი

### ფორსბერგი ოკეანის გაღმა მიდის

ცნობილი შვედი ჰოკეისტი **პეტერ ფორსბერგი** სავარაუდოდ ისევ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გააგრძელებს კარიერას. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვეტერანი ფორვარდით ორი რუსული კლუბი - „სალავატ იულიაევი" და „აკ ბარსი" არიან დაინტერესებულნი, მაგრამ შვედური პრესის ცნობით, ფორსბერგი ოკეანის გაღმა აპირებს გამგზავრებას. ჰოკეისტს NHL-ში ასარჩევად აქვს საქმე - მას „კოლორადოში" ან „ფილადელფიაში" სურს კარიერის გაგრძელება. ეს საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება, - წერენ შვედი ჟურნალისტები.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონი: 23 ნომერი ჯორდანისაა




„კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდმა **ლებრონ ჯეიმსმა** განაცხადა, რომ **მაიკლ ჯორდანისადმი** პატივსაცემად, მომავალი სეზონიდან სათამაშო ნომრის შეცვლას აპირებს - 2010-11 წლების ჩემპიონატში „მეფე" 23-ის ნაცვლად მეექვსე ნომრით ითამაშებს. გარდა ამისა, ლებრონმა მოუწოდა მის მაგალითს მიჰბაძოს ყველა იმ მოთამაშემ, რომელიც ლიგაში 23-ე ნომერს ატარებს.

*„პატივი უნდა ვცეთ იმას, რაც მაიკლ ჯორდანმა ამ თამაშისთვის გააკეთა. მის გარეშე არ იარსებებდნენ არც ლებრონ ჯეიმსი, არც კობი ბრაიანტი და არც დუეინ უეიდი. იმის გამო, რომ მას არ აქვს საკუთარი ლოგოტიპი, რაღაც სხვა უნდა მოვიფიქროთ. ვფიქრობ, ამიერიდან NBA-ის არც ერთმა მოთამაშემ არ უნდა ითამაშოს 23-ნომრიანი მაისურით. დღეიდან ვიწყებ ამ მოძრაობას და მინდა, რომ მთელი ლიგა შემომიერთდეს ამაში"*, - ამბობს ლებრონი.

ოკეანის გაღმა უკვე გაჩნდა პირველი რეაქცია „კლივლენდის" სუპერვარსკვლავის ამ წინადადებაზე. ჯერჯერობით 23-ნომრიანი მაისურა ხმარებიდან მხოლოდ ჯორდანის მშობლიურ კლუბ „ჩიკაგო ბულზსა" და „მაიამი ჰიტს" აქვს ამოღებული. ჯერჯერობით უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში არ არსებობს პრაქტიკა, როცა ერთი კონკრეტული ნომრის გამოყენება აკრძალულია უკლებლივ ყველა კლუბისთვის. თუმცა მსგავსი მაგალითი არსებობს ბეისბოლსა და ჰოკეიში. MLB-ის ლიგაში არ იყენებენ 42-ე ნომერს (**ჯეკი რობინსონის** საპატივცემულოდ), NHL-ში - 99-ე ნომერს (**უეინ გრეტცკი**). ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელმა **ტიმ ფრენკმა** განაცხადა, რომ მსგავსი გადაწყვეტილება არა ლიგამ, არამედ მასში შემავალმა კლუბებმა უნდა მიიღონ.

დღეისთვის რეგულარულ ჩემპიონატში 13 კალათბურთელი გამოდის, რომლებსაც ზურგზე რიცხვი „23" აწერიათ, მაგრამ ლებრონ ჯეიმსი მათ შორის ერთადერთი სუპერვარსკვლავია. დანარჩენ 12 მოთამაშეს შორის აზრი გაიყო. მაგალითად, „ოკლაჰომა-სიტის" ცენტრმა **ბაირონ მალენსმა** ამ ზაფხულს 23-ე ნომერი მხოლოდ იმის გამო აირჩია, რომ მისი საყვარელი ნომერი (32) კლუბის მიერ ამოღებულია ხმარებიდან. ამავდროულად „ნიუ იორკ ნიქსის" დებიუტანტმა მცველმა **ტონი დუგლასმა** განაცხადა, რომ სამი წლიდან აწერია ზურგზე ეს რიცხვი და მზად არ არის მასზე უარის სათქმელად. აგრეთვე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში არსებობს დაუწერელი წესი: ახალბედა კალათბურთელები სათამაშო ნომერს ხუთ წელზე ადრე არ ცვლიან.

| დეტროიტი-დალასი | 90:95 |
|---|---|

18:22, 28:18, 20:31, 24:24

**დეტ:** სტაკი (28), ბინუმი (27), ვილანუევა (13+10 მოხსნა), უოლასი (9+10 მოხსნა).
**დალ:** ნოვიცკი (25), ბებუა (14), მერიონი (11+7 მოხსნა), გუდენი (11+11 მოხსნა), კიდი (10+7 პასი).

| ოკლაჰომა-კლიპერსი | 93:101 |
|---|---|

23:26, 18:23, 35:26, 17:26

**ო:** დურანტი (40+8 მოხსნა), უესტბრუკი (17+9 მოხსნა+7 პასი), კრსტიჩი (10), სეფოლოშა (4+8 მოხსნა).
**კ:** კამანი (25+7 მოხსნა), დევისი (24+6 პასი), ტორნტონი (20), კემბი (6+9 მოხსნა).

| ფინიქსი-ტორონტო | 101:100 |
|---|---|

31:33, 19:20, 27:26, 24:21

**ფ:** სტაუდმაიერი (30+8 მოხსნა), ნეში (23+9 პასი), ფრაი (20+7 მოხსნა), რიჩარდსონი (8+10 მოხსნა).
**ტ:** ბოში (25+10 მოხსნა), თურქოგლუ (20), ბარნიანი (17), ბელინელი (11), კალდერონი (8+7 პასი), ჯონსონი (7+9 მოხსნა).

| ლეიკერსი-ჰიუსტონი | 91:101 |
|---|---|

29:23, 25:29, 19:28, 18:21

**ლ:** არტესტი (22), ბინუმი (21+11 მოხსნა+5 დაფარება), ბრაიანტი (18), ბრაუნი (12), ოდომი (5+7 მოხსნა+6 პასი).
**ჰ:** ბრუქსი (33), ანდერსენი (19), ლენდრი (15+10 მოხსნა), ბადინგერი (11), არიზა (9+8 მოხსნა), სკოლა (6+9 მოხსნა), ლოური (3+8 პასი), ჰეიესი (2+7 პასი).

# ჰოვარდი და ჯინობილი დაისვენებენ

„დალას მავერიქსის" შემტევი მცველი **ჯოშ ჰოვარდი** ხანგრძლივი დროით დააკლდება თავის გუნდს. ამ კალათბურთელს ზაფხულში ფეხზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ აღდგენითი პროცესის გაგრძელება სჭირდება. კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების სიტყვებით, მოთამაშე დეკემბრის ბოლომდე ვერ დაბრუნდება მოედანზე, თუმცა ამ პაუზის განმავლობაში ჰოვარდი კლუბთან ერთად იმოგზაურებს და არ შეწყვეტს სავარჯიშო პროცესს.

გასულ სეზონში „დალასის" ერთ-ერთმა ლიდერმა 30 მატჩი გამოტოვა ტრავმების გამო. ოპერაციის შემდეგ ამ სეზონში დაბრუნებულმა ჰოვარდმა სამი მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.7 ქულა და 3.7 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■




„სან ანტონიოს სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** განაცხადა, რომ „ოკლაჰომასთან" მატჩის მეოთხე მეოთხედში არგენტინელი ლეგიონერის **მანუ ჯინობილის** სათადარიგოთა სკამზე დატოვება ფეხის ტრავმით იყო გამოწვეული, რის გამოც სამხრეთამერიკელმა ბოლო ორი ვარჯიში გამოტოვა.

*„ტრავმის გამო არ შევუშვი მოედანზე. ვიფიქრე ცოტაოდენი სიფრთხილე არ გვაწყენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ტრავმა გამიზეზდეს და ის ხანგრძლივი დროით დავკარგოთ"*, - თქვა მატჩის შემდეგ პოპოვიჩმა.

სავარაუდოდ, არგენტინელს ერთი-ორი თამაშის გამოტოვება მოუწევს.

ჩოგბურთი

# ესპანეთმა შემადგენლობა დაასახელა



დევისის თასზე ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა **ალბერტ კოსტამ** წლევანდელი სეზონის ფინალისთვის გუნდის შემადგენლობა დაასახელა. გადამწყვეტ მატჩში ჩეხეთის წინააღმდეგ საბრძოლველად შემდეგი ჩოგბურთელები არიან გამოძახებულნი: **რაფაელ ნადალი, დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო** და **ფელისიანო ლოპესი**. თუ ბოლო მომენტში რამე არ შეიცვალა, უკვე ცნობილია, რომ ერთეულთა მატჩებს ნადალი და ფერერი ითამაშებენ, ვერდასკო და ლოპესი კი წყვილებში გამოვლენ.

მეორე ფინალისტს - ჩეხეთს ჯერ არ გამოუცხადებია შემადგენლობა, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ გუნდის რიგებში ვიხილავთ - **რადეკ შტეპანეკს, ტომაშ ბერდიხს, იან ჰაიეკსა** და **ლუკაშ დლუჰის**. შტეპანეკი და ბერდიხი ერთეულებში ითამაშებენ. ჯერჯერობით უცნობია, ვინ გაუწევს პარტნიორობას წყვილთა თანრიგში მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს - დლუჰის.

დევისის თასის ფინალი ბარსელონაში 4-6 დეკემბერს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

კრივი

# ჰოლიფილდი ტაისონის მხარესაა



სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა **ევანდერ ჰოლიფილდმა** თავისი კოლეგისა და ყოფილი მეტოქის **მაიკ ტაისონის** დაცვა გადაწყვიტა. როგორც იცით, „რკინის მაიკს" ლოს ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტში პაპარაციზე თავდასხმაში ადანაშაულებენ. 47 წლის ჰოლიფილდი ტაისონის მხარეს იჭერს და თვლის, რომ საზოგადოება და პრესა შეგნებულად არ აძლევენ მოკრივეს მშვიდი ცხოვრების საშუალებას.

*„ხალხს არ სურს სიმართლე თქვას იმაზე, რაც ხდება, მაგრამ მე გეტყვით სინამდვილეში რა ამბები დატრიალდა ტაისონის გარშემო,* - ამბობს ჰოლიფილდი AllBoxing-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *როცა მაიკმა ციხეში სასჯელი მოიხადა და ყოველდღიურ ცხოვრებას დაუბრუნდა, კარგად იცოდა, რომ ადამიანებისთვის შეურაცხყოფა აღარ უნდა მიეყენებინა. ამიტომაც განუცხადა ხალხს: „არ მინდა ჩემი წარსულის შესახებ ლაპარაკი. საზოგადოების წინაშე ჩემი ვალი მოვიხადე და აღარ ვაპირებ ძველი ცოდვებისა და იმ გოგონას (რომლის გაუპატიურებაში იყო დადანაშაულებული ტაისონი) გახსენებას. მაგრამ რეპორტიორები მაინც აგრძელებდნენ მის გაღიზიანებას, მუდმივად უსვამდნენ კითხვებს ამ თემაზე და ამას იქამდე აკეთებდნენ, სანამ წყობიდან არ გამოიყვანდნენ მას. ამას ისინი სპეციალურად აკეთებდნენ. უბრალოდ თავიანთ საქმეს აგრძელებდნენ. ბოლოს ტაისონი ლანძღვასა და ჩხუბს იწყებდა, შემდეგ კი საზოგადოება და პრესა წერდა: „ხედავთ, ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ ის არ შეცვლილა".*

*მათ არც უნდოდათ, რომ ის შეცვლილიყო, რადგან ამ შემთხვევაში საწერი მასალა არ ექნებოდათ. მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს სურთ ისევ ხედავდნენ მრისხანე ტაისონს, მათ არ უნდათ, რომ ის სხვა ადამიანი გახდეს. არავის მოსწონს, როცა ცუდი ადამიანი კარგ პიროვნებად გადაიქცევა. ისინი თითქოს ეუბნებიან მათ: „შენ ყოველთვის ცუდი იყავი და ახლა გინდა კარგი გახდე? ჩვენ ამის საშუალებას არ მოგცემთ". ხალხი მას შეგნებულად აბრაზებდა, ტაისონი კი ამას ვერ ხვდებოდა. მაიკის მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზის გამო, მას არ ჰქონდა ამის გააზრების საშუალება და უბრალოდ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ასეთ სიტუაციაში.*

*პაპარაცებს არ აინტერესებთ ადამიანებისადმი კეთილგანწყობა. მათ ისინი სჭირდებათ, ვისაც მართლა არ სურთ ფოტოს გადაღება. აი, მათი ამოცანა და ისინი ასეთ ფოტოებში დიდ ფულს იღებენ. მაგრამ არსებობს მეორე მხარე. ცხოვრების რაღაც მომენტში, როცა ჯერ საკმარისად პოპულარული არ ხარ, გჭირდება ვინმემ სურათი გადაგიღოს. მაგრამ როცა სახელგანთქმული ხდები და გარშემო მოძრავ ფოტოგრაფებს უსიამოვნება მოაქვთ, უნდა გახსოვდეს, რომ შენ სწორედ ამის გამო გამოიმუშავებ გაცილებით მეტ თანხას, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები. ეს არის პოპულარობა".*

# ორმაგი ნოკდაუნი

კურიოზული შემთხვევა მოხდა ბრიტანელი მოკრივეების - **პოლ სემუელსისა** და **სელო რენდას** ბრძოლის დროს, - წერს გაზეთი The Sun. ბრძოლის მეორე რაუნდში მათ ერთდროულად მოიქნიეს მარცხენა ხელი და ორივე ზუსტი გამოდგა. სემუელსი და რენდა ერთდროულად დავარდნენ რინგზე, ათი წამის დათვლამდე ერთდროულად წამოდგნენ და ბრძოლა გააგრძელეს.

საბოლოოდ, მესამე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით სემუელსმა გაიმარჯვა. სხვათა შორის, ის ნოკდაუნში პირველ რაუნდშიც აღმოჩნდა. რაც შეეხება რენდს, მას პირველ სამწუთეულში მარცხენა წარბი გაუსკდა.

სემუელსი და რენდი პროფესიულ რინგზე 72-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიან. 36 წლის სემუელსმა 29 ბრძოლა გამართა (20 მოგება, შვიდი წაგება და ორი ფრე), 24 წლის რენდამ - 27 (18-8-1).

■ ■ ■

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **შეინ მოსლი** ერთწლიანი შესვენების შემდეგ ისევ აპირებს რინგზე დაბრუნებას. 38 წლის მოკრივე 30 იანვარს **ანდრე ბერტოს** წინააღმდეგ იბრძოლებს.

თავის ბოლო ბრძოლაში მოსლიმ WBO-ის ტიტული მოიგო, როცა მეათე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა **ანტონიო მარგარიტო**. მას შემდეგ შეინი უშედეგოდ ცდილობდა კრივის ლეგენდებთან - **ფლოიდ მეივეზერთან** ან **მიგელ კოტოსთან** მოლაპარაკებას.

*„კმაყოფილი ვარ, რომ ისევ მომიწევს რინგზე გასვლა,* - მოჰყავს ამერიკელის სიტყვები სააგენტო „როიტერს". - *დარწმუნებული ვარ, კარგი ბრძოლა გამოვა. ბერტო ღირსეული მოწინააღმდეგეა, მაგრამ ძალიან ბევრ დარტყმას ატარებს. უფრო რეიტინგულ მეტოქეებთან მოლაპარაკებას ვაწარმოებდი, მაგრამ მათ უარი მითხრეს. ვფიქრობ, ეშინიათ ჩემი - მე ხომ საუკეთესო ვარ".*



■ ■ ■

**მენი პაკიაოსა** და **მიგელ კოტოს** ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ფილიპინელმა მოკრივემ ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა, მთელი საკრივო სამყარო პაკიაოსა და პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი ფლოიდ მეივეზერის ბრძოლის მოლოდინშია.

ტელეარხ HBO Sports-ის პრეზიდენტმა **როს გრინბერგმა** განაცხადა, რომ საპრომოუტერო კომპანია Golden Boy Promotions-ის აღმასრულებელი დირექტორი **რიჩარდ შაფერი** უკვე ამ კვირას აპირებს პაკიაოს პრომოუტერ **ბობ არუმთან** შეხვედრას და „პაკმენისა" და მეივეზერის მომავალ ბრძოლაზე მოლაპარაკებების დაწყებას.

რაგბი

# IRB-მ ნომინანტები დაასახელა



რაგბის საერთაშორისო კავშირმა 2009 წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე პრეტენდენტები დაასახელა. სიაში შვიდი მორაგბეა შესული: **მეტ გიტო** (ავსტრალია), **ტომ კროფტი** (ინგლისი), **ფრანსუა შტეინი**, **ფური დუ პრი** (ორივე - სამხრეთ აფრიკა), **ჯეიმი ჰისლიპი**, **ბრაიან ო'დრისკოლი** (ორივე - ირლანდია), **რიჩი მაკოუ** (ახალი ზელანდია).

გამარჯვებულები ნომინაციაში - „საუკეთესო მოთამაშე", „საუკეთესო მწვრთნელი" და „საუეთესო გუნდი" ნოემბრის ბოლოს გამოვლინდება. რიჩი მაკოუ შეიძლება გახდეს პირველი მორაგბე, რომელიც ამ პრიზს ორჯერ მოიპოვებს.

*„წლის საუკეთესო მოთამაშის წოდება საპატიო ჯილდოა ნებისმიერი მორაგბისთვის. გამარჯვებული ვლინდება წლის განმავლობაში საერთაშორისო მატჩებში გამოსვლის მიხედვით. მათ შორისაა ექვსი ერის თასი, ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების ტურნე, სამი ერის თასი და ნოემბრის სატესტო მატჩები",* - ამბობს IRB-ის პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

**წინა წლების ლაურეატები**

2001 - კიტ ვუდი (ირლანდია)
2002 - ფაბიენ გალტიე (საფრანგეთი)
2003 - ჯონი უილკინსონი (ინგლისი)
2004 - სკალკ ბურგერი (სამხრეთი აფრიკა)
2005 - დენ კარტერი (ახალი ზელანდია)
2006 - რიჩი მაკოუ (ახალი ზელანდია)
2007 - ბრაიან ჰაბანა (სამხრეთი აფრიკა)
2008 - შეინ უილიამსი (უელსი)

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| პესკარა-ვერონა | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| პორტიმონენსე-ფატიმა | 3:3 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აკადემისკი-ფრედერისია | 0:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეთნიკოსი-კალამატა | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ბრეი-სპორტინგი | 2:2 |
| **არგენტინა** | |
| რასინგი-ესტუდიანტესი | 1:0 |

| პლაჟის ფეხბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| ურუგვაი-სოლომონის კ-ები | 6:7 |
| შვეიცარია-ბაჰრეინი | 6:5 |
| კოტ დ'ივუარი-სალვადორი | 7:6 |
| იტალია-არგენტინა | 2:2 |
| რუსეთი-კოსტა რიკა | 5:1 |
| ესპანეთი-იაპონია | 4:4 |
| პორტუგალია-საემიროები | 7:5 |
| ბრაზილია-ნიგერია | 11:5 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 1:1 |
| ბარისი-ტრაქტორი | 3:5 |
| ს. იულიაევი-ავტომობილისტი | 3:3 |
| ლადა-დინამო (რ) | 3:2 |
| აკ ბარსი-დინამო (მ) | 1:1 |
| ნეფტიხიმიკი-დინამო (მნ) | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| ლულეა-აიკ | 1:1 |
| როგლე-ფერიესტადი | 5:3 |
| ჰვ71-ლინჩოპინგი | 6:4 |

TV პროგრამა

**17 ნოემბერი. სამშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:05** ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. სერო პორტენიო-ფლუმინენსე.
**09:50** სპორტული სამყარო.
**10:15** Libero. ანალიტიკური პროგრამა.
**11:20** ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
**13:20** ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. რივერ პლეიტი-ლდუ.
**15:05** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რომა-ფულჰემი.
**16:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.
**18:45** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**19:10** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**19:20** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-სანდერლენდი.
**21:10** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**21:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სტანდარდი-ოლიმპიაკოსი.
**23:05** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**23:10** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ანაჰაიმი.
**01:05** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**01:10** ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
**01:40** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვილიარეალი-ლაციო.
**03:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**04:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ვაშინგტონი (LIVE).
**06:45** სპორტული სამყარო.
**07:15** ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. რივერ პლეიტი-ლდუ.

**SPORT 2 (უკრაინა)**

**08:10** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ბოსტონი.
**09:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.
**11:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. მიმოხილვა. პარიზი. საფრანგეთი.
**12:50** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ბოლტონი.
**14:35** სპორტული სამყარო.
**15:00** კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური. რეალი-პანათინაიკოსი.
**16:30** ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
**18:35** ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. სერო პორტენიო-ფლუმინენსე.
**20:20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
**22:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ბოლტონი.
**23:50** კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური. მარუსი-კახა ლაბორალი.
**01:35** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ანაჰაიმი.
**03:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.
**05:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. მიმოხილვა. პარიზი. საფრანგეთი.
**06:15** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სპორტი-კრუზეირო.

**EUROSPORT**

**11:35** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი. პლეი ოფი. ირლანდია-საფრანგეთი.
**13:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**13:15** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოსტა რიკა. საემიროები (LIVE).
**14:45** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ურუგვაი. საემიროები (LIVE).
**16:15** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი. პლეი ოფი. პორტუგალია-ბოსნია.
**17:15** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი. პლეი ოფი. რუსეთი-სლოვენია.
**18:00** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-რუსეთი. საემიროები (LIVE).
**19:15** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სოლომონის კ-ები-საემიროები. საემიროები (LIVE).
**20:45** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ბაჰრეინი-ბრაზილია. საემიროები (LIVE).
**22:05** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:15** რალი. დაკარი. ტელეჟურნალი.
**22:30** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი. პლეი ოფი. ირლანდია-საფრანგეთი.
**00:00** პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. საშუალო წონა. სებასტიან სილვესტრი (გერმანია)-ჯოვანი ლორენცო (დომინიკის კ-ები). გერმანია.
**02:00** ექსტრემალური სპორტი.
**02:15** ავტოსპორტი. „რენოს" სპორტული სერია.
**02:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:55** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი. პლეი ოფი. პორტუგალია-ბოსნია.
**03:45** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი. პლეი ოფი.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**კაროლინა-მინესოტა 5:4 (ბ)**

2:0, 2:3, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ი. იოკინენი-4 (ტ. რუუტუ-5, კულენი-5), 2:0 კორვო-3 (როდნი-2, რეი უიტნი-6), 3:0 რეი უიტნი-6 (სატერი-3, კორვო-5), 3:1 მიეტინენი-2 (ბერნსი-8, ბრუნეტი-7), 4:1 სატერი-4 (რეი უიტნი-7), 4:2 ირლი-1 (მ. კოივუ-13), 4:3 სკოტი-1 (კ. იონსონი-2, ნოლანი-4), 4:4 ირლი-2.

**ბულიტები გაიტანეს:** ი. იოკინენი (კაროლინა).

**მეკარეები:** ლეიტონი 28/32 - ნ. ბექსტრიომი 31/35.

**ატლანტა-ედმონტონი 3:2**

1:0, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ბოგოსიანი-8 (კოვალჩუკი-6, ვიაჩ. კოზლოვი-7), 1:1 ჰორკოფი-3 (სტაიოსი-4, ჰემსკი-14), 1:2 პენერი-12 (კოლიანო-5, სტორტინი-2), 2:2 აფინოგენოვი-7 (პევერლი-14), 3:2 ვიაჩ. კოზლოვი-1 (ტ. უაიტი-5, პევერლი-15).

**მეკარეები:** ჰედბერგი 34/36 - ხაბიბულინი 27/30.

**ჩიკაგო-სან ხოსე 4:3 (ო)**

1:1, 2:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სოპელი-1 (ჰენდრი-2), 1:1 ჰიტლი-14 (ჯ. ტორნტონი-19, დემერსი-11), 1:2 დემერსი-1, 1:3 მარლო-12 (პაველსკი-6, ჟოსლენი-1), 2:3 პ. კეინი-7 (ტეუვზი-6, კეიტი-9), 3:3 მადენი-3 (ლედი-5, კეიტი-10), 4:3 სიბრუკი-2 (ტეუვზი-6, ბროუერი-4).

**მეკარეები:** ოუე 20/23 - ნაბოკოვი 26/30.

ფორმულა 1

# ბატონი მაკლარენს ესტუმრა

როგორც ბრიტანული „გარდიანი“ წერს, შესაძლოა, უკვე ამ კვირას ბრიტანულმა საჯინიბო „მაკლარენმა“ კონტრაქტი გააფორმოს მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონთან **ჯენსონ ბატონთან**. შაბათს, ბრიტანელი პილოტი და მისი მენეჯერი **რიჩარდ გოდარდი** უოკინგში გუნდის ბაზას ესტუმრნენ და მის ტერიტორიაზე „მაკლარენის“ შეფ **მარტინ უიტმარშთან** ერთად ექსკურსია მოაწყვეს. თუ მხარეები მოლაპარაკებას შეძლებენ, ფორმულა 1-ში უნიკალური სიტუაცია შეიქმნება - ერთ გუნდში მსოფლიოს ორ ჩემპიონს ვიხილავთ. ბოლოს ასეთი რამ 1989 წელს მოხდა - მაშინ იმავე „მაკლარენის“ რიგებში **ალენ პროსტი და აირტონ სენა** გამოდიოდნენ.

*„უკვე არაერთხელ გვითქვამს, რომ ჯენსონს სურს მიიღოს ისეთი მანქანა, რომელიც მას ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის საშუალებას მისცემს,* - განაცხადა გოდარდმა. - *უკვე დიდი ხანია განვიხილავთ „ბრაუნ გრან-პრისთან“ თანამშრომლობის გაგრძელების ვარიანტებს და ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი მოთხოვნები გადამეტებულია - ბევრ რამეზე მოგვიწია კომპრომისზე წასვლამ“.*

ბატონის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ჯენსონი არ აპირებს თავისი სამსახურისთვის წელიწადში 10 მილიონი ფუნტის მოთხოვნას, როგორც ამას **ლუის ჰემილტონი** ან **ფერნანდო ალონსო** აკეთებენ. მაგრამ ჯენსონს სურს იმ 4 მილიონზე ოდნავ მეტი გამოიმუშაოს, რომელიც მას „ბრაუნ გრან-პრიმ“ წლევანდელი სეზონის წინ შესთავაზა, როცა ლაპარაკი იყო უბრალოდ პილოტის ფორმულა 1-ში დარჩენაზე.

*„ჯენსონს ღირსება აქვს და ამიტომაც ვალდებულნი ვართ ყველა შესაძლო ვარიანტი განვიხილოთ“,* - განაცხადა გოდარდმა.



თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ ჯენსონი არ უნდა წავიდეს ლუის ჰემილტონის მეწყვილედ.

*„დღეს პილოტებს ნებისმიერ შემთხვევაში უფრო ნაკლებს უხდიან, ვიდრე წინა წლებში,* - მოჰყავს „გარდიანს“ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ნიკი ლაუდას** სიტყვები. - *ჯენსონის ადგილას „ბრაუნ გრან-პრიში“ დავრჩებოდი, თუნდაც როს ბრაუნს იმაზე ნაკლები ხელფასი შეეთავაზებინა, ვიდრე „მაკლარენი“ იხდის. მაგრამ თუ უოკინგში მზად არიან გადაიხადონ გაცილებით მეტი, ბატონს ურჩევნია, გუნდი შეიცვალოს. უბრალოდ, მან ერთი მომენტი უნდა გაითვალისწინოს: „მაკლარენი“ ლუისის გუნდია და მოუწევს ამასთან შეგუება“.*

„გარდიანის“ ჟურნალისტების აზრით, თუ ჯენსონი უარს იტყვის „მაკლარენში“ გადასვლაზე, მაშინ ბრიტანული გუნდი **კიმი რაიკონენს** მიიწვევს - გასულ კვირას უოკინგს ფინელი პილოტის მენეჯერები - **დევიდ** და **სტივ რობერტსონებიც** სტუმრობდნენ. მესამე სავარაუდო კანდიდატად **ნიკ ჰაიდფელდს** მიიჩნევენ.

აქვე გთავაზობთ იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როცა ერთ გუნდში მსოფლიოს ორი ჩემპიონი გამოდიოდა:

**1953 წელი. „ფერარი“: ალბერტო ასკარი და ჯუზეპე ფარინა.** 1952 წელს მოქმედმა ჩემპიონმა ჯუზეპე ფარინამ ტიტული „ფერარიში“ თავის თანაგუნდელ ალბერტო ასკარის დაუთმო. ერთი წლის შემდეგ, ეს უკანასკნელი პირველი პილოტი გახდა ფორმულა 1-ის ისტორიაში, რომელმაც მეორედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, ფარინა კი იმ სეზონში მხოლოდ „ნიურბურგრინგზე“ გამარჯვებით დაკმაყოფილდა.

**1967-68. „ლოტუსი“: ჯიმ კლარკი და გრემ ჰილი.** პირველ ერთობლივ სეზონში ყოფილი კონკურენტები - კლარკი და ჰილი არაკონკურენტუნარიანი მანქანებით გამოდიოდნენ: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კლარკმა სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა, ჰილმა კი, რომელიც 1963 წელს გახდა საუკეთესო, საერთოდ მეშვიდე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი. 1968 წელს ჰილი ისევ გახდა ჩემპიონი და მან ეს ტიტული კლარკს მიუძღვნა, რომელიც „ჰოკენჰაიმზე“ ევროპის ფორმულა 2-ის რბოლისას დაიღუპა.

**1989 წელი. „მაკლარენი“: ალენ პროსტი და აირტონ სენა.** 1988 წელს „ლოტუსიდან“ „მაკლარენში“ გადასულმა აირტონ სენამ ალენ პროსტს სამი ქულით გაუსწრო და ჩემპიონობა მოიპოვა. მომდევნო წელს მათი ბრძოლა იაპონურ „სუძუკაზე“ ცნობილი ავარიით დასრულდა, როცა პროსტი შეეცადა გზა გადაეკეტა სენასთვის - ორივე პილოტი ტრასიდან გადავარდა, მაგრამ ბრაზილიელმა შეძლო რბოლის გაგრძელება. მოგვიანებით სენას დისკვალიფიკაცია მისცეს, რამაც პროსტს მესამედ მოუტანა ჩემპიონის ტიტული.

**გია თვალაბეიშვილი**

